ნათელა ყიფიანი-ჯაველიძე

შეხვედრები

გამოჩენილ ადამიანებთან,

მოგონებები

თბილისი
2009

ვუძღვნი ჩემს საყვარელ ძმისშვილებს
მანანა და პაატა ყიფიანებს,
მათ შვილებს: ირაკლისა და ნინოს.

წიგნში თავმოყრილია თანამედროვე რეჟისორების, მსახიობების, პოეტების, მწერლების, საზოგადო მოღვაწეების, ცნობილი სპორტსმენების შეხვედრების ამსახველი წერილები მდიდარი საილუსტრაციო მასალებით და ძვირფასი ადამიანებისადმი მოკრძალებული მოგონებები.

ISBN978-9941-0-1796-4

გამომცემლობა «ვერჟე»

თველის უბრალო მადლობა გერჩივნოს
ყოველ დიდებას!
ილია

წინათქმა

მე, ნათელა ყიფიანი ბედნიერად ვთვლი თავს იმით, რომ დაწყებული ნუცა ჩხეიძისა, ყველა – რუსთაველის თუ მარჯანიშვილის თეატრების ლეგენდარული მსახიობები მინახავს როგორც სცენაზე, ისე ცხოვრებაში. მქონია ბედნიერება შევხვედროდი მათ: მე 21 წლის ასაკიდან სკოლის პედაგოგი გახლდით (85-ე საშუალო სკოლა, 26 კომ. რაიონი). ვხედავდი, ამ მუშათა რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობას აკლდა ის სულიერი საზრდო, რომელიც უნდა შეეძინათ ჩვენი მოწინავე თეატრების დიდებული სპექტაკლების ნახვით. ამიტომ ვაწყობდი ექსკურსიებს თეატრებში, ვუხსნიდი მათ შინაარსს და, ყველაფერ ამის შემდეგ, თვითონ ბავშვებში იბადებოდა სურვილი ამ საინტერესო ადამიანებთან შეხვედრისა.

ჩვენდა საბედნიეროდ, ეს ბუმბერაზი ხელოვანი ხალხი (მსახიობი, რეჟისორი, კომპოზიტორი, დრამატურგი თუ პოეტი) დაუზარელად ღებულობდა ჩვენს მოწვევას, მობრძანდებოდნენ ჩვენს სკოლაში, ყვებოდნენ თავიანთ შემოქმედებაზე, უქებდნენ ბავშვებს თვით შემოქმედებას და ასე ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ იხვეწებოდა მათი გემოვნება, სწორ მიმართულებას იღებდა მათი ესთეტიკური თუ ეთიკური ჩვევები საერთოდ აღზრდის საკითხში.

სწორედ ეს ბავშვები გახლავთ დღესდღეობით ქვეყნის, სამშობლოს ღირსეული შვილები, რომელნიც დაუფლებულნი არიან სხვადასხვა პროფესიას და ემსახურებიან თავიანთ ხალხს. ესენი არიან ექიმები, ინჟინრები, საშუალო სპეციალობის საუკეთესო მუშაკები, კარგი, გამართული, ქართული ოჯახის თავკაცები, რომელნიც, უბრალოდ, ადამიანურად ზრდიან თავიანთ შვილებს ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ხოლო ამ წიგნის გამოცემის მიზანი კი ის არის, რომ დღევანდელმა მოსწავლე-ახალგაზრდობამ წაიკითხოს იგი, მიიღოს იქიდან ის სურვილი და გულისწადილი, რომ თავის შვილებს, თუ შვილიშვილებს გააცნოს მათი წინაპართა დიდი, საინტერესო შემოქმედებითი გზა, გაჯერებული ვაჟკაცობით, სულგრძელობით, ხალხის, მოყვასის სიყვარულით. იღვწოდნენ, შრომობდნენ, იბრძოდნენ სცენიდან, ეკრანიდან, საკონცერტო დარბაზებიდან ლეგენდარული მსახიობები, კომპოზიტორები, მწერლები, პოეტები, სპორტსმენები, სხვები და სხვები. ეს ჩვენი ისტორიაა და მას შესწავლა და დაფასება უნდა.

აი, ამის მოტანა მსურდა თქვენამდე ჩემო ხალხო, ახალგაზრდობავ, რადგან ჩემი ცხოვრების დიდ გზაზე – გზას მინათებდა სურვილი იმისა, რომ ჩვენი ნიჭიერი, კაცთმოყვარე და სულგრძელი ხალხი მენახა ბედნიერი, კმაყოფილი. ხომ არის ასეთი ქართული გამოთქმა:

«ქვეყნად ბელადიც არ ყოფილა,
მასწავლებელი არა ჰყოლოდა.»

სტუმრად დიდი უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმში

ოცი წელი შევწირე სკოლას, ხოლო ბოლო ათი წლის მანძილზე (საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის) –იდეურ-ზნეობრივ-ესთეტიკური კაბინეტის გამგე გახლდით (იმდროისათვის ასე ერქვა). აქ უკვე ფართო გასაქანი მივეცი ჩემს შემოქმედებას, გადავწყვიტე ქ. თბილისის ყველა რაიონის სკოლებში მომეწყო ხელოვანთა (რეჟისორების, მსახიობების, კომპოზიტორების) შეხვედრები მოსწავლე-ახალგაზრდობასთან. ამ შეხვედრებს ერქვა «45 წუთი მშვენიერების სამყაროში», დავდიოდით სკოლებში და მოსწავლეებს, მასწავლებლებს და დირექტორებს ვაცნობდით ჩვენს გეგმებს: ვაძლევდით სპეციალურ გაკვეთილებს სახელოვან მამულიშვილებზე.

უ.ჩხეიძე უ. გაფარიძის
ნახატი

აი, 1979 წელს სათანადო მომზადების შემდეგ, გავბედე და მოსწავლეებთან (თბ. მე-17 სკოლა იმ დროისათვის) ერთად მივადექით დიდი უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმს.

ბატონი უშანგის დამ, ამ მუზეუმის ბატონ-პატრონმა, რომელიც იქვე ცხოვრობს, დიდი პატივით, სიყვარულით მიგვიღო. ავუხსენი ქალბატონ ნინოს ჩვენი იქ მისვლის მიზანი და ჩავატარე გაკვეთილი: «45 წუთი მშვენიერების სამყაროში» _ დიდი უშანგის შემოქმედება. სცენარის მიხედვით მშვენივრად წარიმართა გაკვეთილი; გაკვეთილის ბოლო ნაწილი დაეთმო ბავშვებს; ისინი გატაცებით კითხულობდნენ ლექსებს სხვადასხვა პოეტებისას _ მიძღვნილს ბატონ უშანგისადმი. ქალბატონი ნინო

აღფრთოვანებული გახლდათ ახალგაზრდობის ნიჭიერებით. იმ შეხვედრის მოსაგონებლად ქალბატონმა ნინომ ყველა მონაწილე მოსწავლეს და მე, მათ ხელმძღვანელს, გვაჩუქა წიგნები, სადაც იყო ასეთი სათაური: «ვერიკო ანჯაფარიძე _ უშანგი ჩხეიძე».

ათი წლის მანძილზე მომყავდა სხვადასხვა ასაკის (კლასების მიხედვით) მოსწავლეები და ვაზიარებდი იმ დიდ ხელოვნებას, რომელსაც ერქვა «დიდი უშანგის ცხოვრება და შემოქმედება».

ამასთან დაკავშირებით ქალბატონმა ნინომ თავისი ლამაზი მჭევრმეტყველებით დაგვიწერა წერილი გაზეთ «სახალხო განათლების» ფურცლებზე, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

აქვე ვუთმობ ადგილს ჩემს წერილს, ქალბატონ ნინოს წერილის ირგვლივ, სათაურით: «ის კაცი იყო ვით შეჰფერის კაცსა კაცობა» (შექსპირი – «ჰამლეტი»).

პ.ს. დღემდე გრძელდება ჩემი და ქალბატონ ნინოს ურთიერთმეგობრობა, სიყვარული და პატივისცემა.

«ის კაცი იყო ვით შეჰფერის კაცსა კაცობა».

შექსპირი «ჰამლეტი»

წავიკითხე 1999 წელს გამოსული ქალბატონ ნინო ჩხეიძის, მშვენიერი 195 გვერდიანი წიგნი «უშანგი _ 100 წ». რომლის უმთავრესი ღირსებაა სცენის მშვენების – ბატონ უშანგის წარმოჩენა. მისი, როგორც ზეადამიანის, შემოქმედის, მოქალაქის და პიროვნების სრულყოფილი სახის ჩვენება. ამ ნაწარმოებში სიმართლით სავსე, ფაქტების სიზუსტითა და ლოგიკური მსჯელობის სისადავით გადმოცემულია დიდი ხნის მანძილზე ბურუსით მოცული საიდუმლოების გამხელის შესაძლებლობანი (თუ რატომ დატოვა ბატონმა უშანგიმ კოტე მარჯანიშვილის სახ. თეატრი, რომელიც მისთვის წმინდა ტაძრის ტოლფასი იყო), რასაც ცხადია ნათელ შუქს ჰფენს მისი მოგონებები.

წიგნში ნათლად ჩანს ავტორის სულისშემძვრელი გულისტკივილი იმაზე, რომ თანაგრძნობისა და გამხნევების მაგივრად, პირიქით, უმადურობის სინდრომმა იჩინა თავი (რომელიც მეტნაკლებად თან სდევს ყოველი დროის საზოგადოებას). ტყვიაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა უდიერად გამოყენებული ენის იარაღი, რომელიც ბატონ უშანგის სიკვდილის ტოლფასი იყო. ეს წიგნი მიუთითებს მკითხველს, რომ ყოველმა გულბოროტმა კაცმა ჩაიხედოს თავის სულში, განიწმინდოს უმადურობის, უზნეობის მავნე სენისგან, რათა არ მიაყენოს სულიერების ის უდიდესი ტრავმა, რაც ბატონ უშანგის სპეტაკ სულს მიაყენა და მერე ვინ? მასთან თანშეზრდილმა «სიყრმის მეგობარმა» დოდო ანთაძემ, რომელიც დღენიადაგ «წმინდა» მეგობრობას ეფიცებოდა (რაც უშანგი ჩხეიძისადმი მოსკოვში გაგზავნილ მის წერილშიც ჩანს). მაგრამ დახეთ ბატონ უშანგის რაინდულ სულს, მის დიდსულოვნებას, მან არაფერი უკადრისი არ აკადრა «სიყრმის მეგობარს». საერთოდ სიტყვა არ დაუძრავს, იმ დღიდან დოდო ანთაძე მისთვის აღარ არსებობდა ფიზიკურად. ეს იყო ვაჟკაცური და გონიერი გადაწყვეტილება, იმავე დღეს დასტოვა თეატრი და განერიდა მათ.

მადლობა ქალბატონ ნინოს, რომ ამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა, ხალხმა ყოველთვის სიმართლე უნდა იცოდეს მისი სათაყვანებელი ადამიანის შესახებ, რომელიც ხალხს უყვარს, ეკუთვნის მას და მისი დამფასებელია.

მე ვფიქრობ დროული იქნება, აქ მოვიყვანო ციტატა დიდი რეჟისორის და ნათელი პიროვნების ბატონ ვახტანგ ტაბლიაშვილის წიგნიდან «რეჟისორის მოგონება», რომელიც მკითხველმა მიიღო 1996 წელს. აი, რას ბრძანებს იგი: «კოტე მარჯანიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე და უშანგი ჩხეიძე თეატრის ერთარსებად მიმაჩნია. მარჯანიშვილი

უ.შექსპირი, "ოტელო" დადგმა კ. მარჯანიშვილისა

თავის რეჟისორულ გენიას ვერიკოთი და უშანგით ავლენდა, მათი ამ სამი ადამიანის თეატრი არ იყო რეზონიორული ხედვა სიცოცხლისა, ძველ ქართულ ისტორიკოსების გამოთქმას თუ დავუჯერებთ, ეს იყო «მდუღარებაი სულისა».

უშანგის მკვრივმა ჯანმა (აგრძელებს ავტორი) ვერ გაუძლო სულის მდუღარებას და სცენას ადრე ჩამოსცილდა. ეს არავითარ შემთხვევაში არ იყო სულიერი დაავადება. უშანგი საღად მოაზროვნე ადამიანად დარჩა მთელი სიცოცხლე. იგი იყო საკაცობრიო კულტურის ყველა დარგში გათვიცნობიერებული, უაღრესად ერუდირებული პიროვნება. ჩვენი ერის ისტორიის საფუძვლიანმა ცოდნამ განაპირობა მისი ისტორიული დრამის «გიორგი სააკაძის» შექმნა. (გვერდი 146).

იმდროინდელი მაყურებლის მეხსიერებაში ჯერ კიდევ ნათლად არის შემორჩენილი ტრიუმფი და არ გაგონილი გამარჯვება ბატონი უშანგი ჩხეიძის პიესისა «გიორგი სააკაძე» - რომელიც პირველად დაიდგა 1940 წლის 3 აპრილს რეჟისორ ბატონ ვასო ყუშიტაშვილის მიერ, სადაც ბრწყინავდნენ გიორგი სააკაძე – შალვა ღამბაშიძე, მზევინარი _ ვერიკო ანჯაფარიძე, ხოლო ბახუტა _ ს. ზაქარიაძე, ხოლო 1953 წლის 17 თებერვალს ბატონ უშანგის თხოვნით ბატონმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა მშვენიერი საჩუქარი გაუკეთა მის ერთგულ მაყურებელს, ბრწყინვალე სპექტაკლი შექმნა «გიორგი სააკაძის» სახით, რითაც გამოხატა უდიდესი სიყვარული და პატივისცემა ბატონ უშანგის მიმართ, აუსრულა სურვილი და კიდევ ერთხელ, 13 წლის შემდეგ, უშანგი ჩხეიძის თაყვანისმცემლებს სიამოვნება და სიხარული მოჰფინა ამ სპექტაკლის

დადგმით, სადაც სერგო ზაქარიაძის მოურავი, მედეა ჯაფარიძის მზევინარი და ედიშერ მაღალაშვილის ბახუტა ტაშის გრიალით მიდიოდა. აღფრთოვანებული მაყურებელი მადლობას უხდიდა ავტორს, რეჟისორს და მსახიობებს ესოდენ დიდი სიამოვნებისთვის.

«ყველა გონიერი კაცი იგივე წიგნია» _ ბრძანებდა ილია და თუ ეს ასეა, ქალბატონ ნინოს წიგნი «უშანგი» _ 100 ფეხადგმული გონიერებაა.

ამ წიგნით ძირეულად ვეცნობით ბატონ უშანგის პიროვნებას, მის ადამიანობას, უზადო და რაფინირებულ იუმორს, დამოკიდებულებას მეგობრების, ადამიანების, ახალგაზრდების მიმართ, თეატრის მიმართ, რომლის უერთგულესი მსახური გახლდათ მთელი ცხოვრების მანძილზე, ხოლო ქალბატონი ნინო მსუბუქად, სხარტი იუმორის თანხლებით გვთავაზობს იმას, რაც ლეიტმოტივად, წითელ ზოლად გასდევს მის ნაშრომს, მისი უდიდესი თაყვანისცემა საფიცარი ძმის მიმართ, მისი ზეღვთაებრივი მოკრძალება, სიყვარული და პატივისცემა, რამაც შეაძლებინა, შეექმნა ეს წიგნი და დიდი მოკრძალებით მოერთმია ჩვენთვის (ესოდენ ძვირფასი საჩუქარი) ბატონ უშანგის, ამ გენიოსის თაყვანისმცემლებისთვის.

ქალბატონმა ნინომ შეძლო დაენახვებინა ყოველივე ეს ჩვენთვის.

ქალბატონი ნინოს ძალისხმევით, რომელმაც «რკინის ქალამანი» ჩაიცვა, «რკინის ჯოხი» დაიჭირა, შეაჯერა ცა და დედამიწა და საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე შეძლო ცხოვრების ამ უმძიმეს პერიოდში, მოსწრებოდა იმას, რომ მისი სათაყვანებელი ძმა, ბატონი უშანგი აებრძანებინათ უწმინდეს ადგილს, ღირსეულ მამულიშვილთა გვერდით, რომელთა ჭკუა და გონება სამშობლოს ბედ-იღბალზე ფიქრობდა და მისი ნათელი სული შეერთებოდა ერისკაცთა ნატანჯ სულებს. ეს რჩეულთა ხვედრია და ასეთი რჩეული, დიახაც, ბატონი უშანგი გახლდათ.

ღრმა პატივისცემით მადლობას გიხდით ქალბატონო ნინო ყველაფერ ამისთვის, დიდი მადლობა.

ნათელა ყიფიანი
(პერსონალური პენსიონერი _ პედაგოგი)
2000 წელი, 19 დეკემბერი

ჩემი მღელვარების დღეები

(გაზეთი «სახალხო განათლება»)

დეკემბერში, როცა თეატრალური კვირეულის დღეები მოახლოვდება, წარმოუდგენელი მღელვარება მომიცავს ხოლმე. რადგან ვიცი, ამ დღეებში ჩემი უშანგის სახლ-მუზეუმი უჩვეულოდ გამოცოცხლდება, მისი ომახიანი ხმა აავსებს აქაურობას, თეატრზე შეყვარებული ბავშვები მოვლენ და უშანგი ჩხეიძის მონოლოგებს, მის მიერ წაკითხულ ლექსებს მოისმენენ …

თბილისის მე-17 საშუალო სკოლის პედაგოგს ნათელა ყიფიანს, უსაზღვროდ უყვარს თეატრი და მისადმი სიყვარულს თავის მოწაფეებშიც აღვივებს. კვირეულის დღეებში მოსწავლე-ახალგაზრდობა უშანგის სახლ-მუზეუმში მოჰყავს და აქ ატარებს გაკვეთილს «45 წუთი მშვენიერების სამყაროში». ეს არის მეტად ამაღელვებელი სანახაობა. ბავშვები კითხულობენ უშანგის ლექსებს, მსახიობისადმი მიძღვნილ თავიანთ სტრიქონებს,

მუზეუმს აჩუქებენ საკუთარი ხელით ლამაზად გაფორმებულ სტენდებს, უშანგის დიდ შემოქმედებას რომ ასახავენ.…

ნინო ჩხეიძე

ნათელა ყიფიანი ათეული წლების განმავლობაში იღვწის იმისათვის, რომ მომავალ თაობებს შეაყვაროს ჩვენი ერის საუნჯე _ თეატრალური ხელოვნება, ბავშვობიდანვე აღზარდოს ადამიანებში ფაქიზი და სათუთი დამოკიდებულება მისადმი, ყოველივეს იგი დიდი მონდომებითა და სიყვარულით აკეთებს. უშანგი ჩხეიძის უკვდავი ნიჭისადმი თაყვანისცემა, რაზეც უკვე ვთქვი, მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ საქმიანობისა, რომელსაც ნათელა ეწევა მოსწავლე-ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდისათვის.

მრავალი ახალგაზრდა აზიარა მან ხელოვნების მშვენიერ და ამაღლებულ სამყაროს. მრავალს გადასდო თეატრის დიდი სიყვარული და ჩვენი გამოჩენილი მსახიობებისადმი თაყვანისცემა.

ახლა კვირეულის დღეებია. კვლავ უშანგის ხმით ავსებულა მისი სახლი და ვღელავ იმ ბავშვების მოლოდინში, რომელთაც ნათელა ყიფიანისთანა პედაგოგებმა შეაყვარეს თეატრი.

საოცარი წყვილი
(ვერიკო ანჯაფარიძე, მიხეილ ჭიაურელი)

1958 წელს, ქართული დეკადის წინ ქ. მოსკოვში, 85-ე საშ. სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობამ შეხვედრა მოუწყო ქართული თეატრისა და კინოს გამოჩენილ

მოღვაწეებს _ სსრ კავშირის არტისტებს, მრავალგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატებს: ქალბატონ ვერიკო ანჯაფარიძეს და ბატონ მიხეილ ჭიაურელს.

საღამოს წინ უსწრებდა ჩემი და რამდენიმე მოსწავლის სტუმრობა ქალბატონ ვერიკო ანჯაფარიძესთან, სუმბათაშვილ-იუჟინის ქუჩაზე.

მიხეილ ჭიაურელი

მასპინძლებმა გულღიად მიგვიღეს, მოისმინეს ჩვენი თხოვნა, მოგვიწონეს ჩანაფიქრი. ბატონმა მიხეილმა ბრძანა, რომ ყოველი შეხვედრა მოსწავლეებისა პროფესიონალ ადამიანებთან, სულერთია, ეს ვინ იქნება მჭედელი ილურიძე თუ სცენის მშვენება ვერიკო ანჯაფარიძე, ორივე კეთილ კვალს დასტოვებს მოსწავლე-ახალგაზრდობაში და მათი გულახდილი ლაპარაკი მათთან ხელს შეუწყობს პროფესიის არჩევაში და იქვე დასძინა, ხვალ თქვენთან ვართო.

მართლაც დანიშნულ დროს საპატიო სტუმრები მობრძანდნენ. სააქტო დარბაზი სკოლისა გადაჭედილი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობით, მშობლებით, პედაგოგებით, რაიონული ხელმძღვანელი მუშაკებით, ინტერესი მათდამი დიდი იყო.

საღამო გავხსენი მე და საზოგადოებას მოვახსენე, რომ ამ სკოლაში, რომელიც ცენტრიდან შორს არის და ბავშვებიც მოკლებულნი არიან კინო-თეატრების ფუფუნებას, გადავწყვიტე, მათთან სტუმრად მომეყვანა თეატრისა და კინოს უდიდესი მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე და ასევე ძალზე დიდი პიროვნება და ხელოვანი მიხეილ ჭიაურელი.

ქალბატონ ვერიკოს შესახებ მოვუყევი, რომ 40 წელზე მეტია იწვის, იტანჯება, ხარობს სცენაზე თითქმის ყოველ დღე და მეორე დღეს ახალი ენერგიით ხვდება სავსე დარბაზს და უხარებს გულს ნამდვილი, ჭეშმარიტი, ხალასი ნიჭით შესრულებული როლებით. როლები კი ძალზე ბევრი აქვს და თითქმის ყოველ დღეა დატვირთული. გინდაც ორი პიესა დავასახელო მრავალ პიესათა შორის, რომ მისი ბუნებრივი სიკვდილით სცენაზე

დარბაზი ცრემლად იღვრება. ეს ორი პიესაა: «ურიელა კოსტა» _ ივდითი და «მარგარიტა გოტიე» მარგარიტას როლში.

ვერიკო ანჯაფარიძე

სცენის ეს ორი მარგალიტი, ისევე ძნელი შესასრულებელია, როგორც უკიდეგანო ოკეანის ფსკერზე ნამდვილი მარგალიტის ძიება. ამ რთულ როლებს ასრულებს მსუბუქად, ლამაზად, ღრმა ლირიზმით და მთელი დარბაზი ხედავს მხოლოდ მას, მეტს არავის. ამ სიტყვებზე მთელი დარბაზი ფეხზე ადგა და დიდხანს უკრავდა ტაშს მისთვის ძვირფას სტუმარს, შეუდარებელ ქალბატონ ვერიკოს.

შემდეგ პატარა მიმოხილვით ვესაუბრე დარბაზს ბატონ მიხეილ ჭიაურელზე. მიხეილი მრავალმხრივ დაჯილდოებული ადამიანია ისეთი საოცარი სახით, როგორიც არის: მხატვრობა, მსახიობობა, რეჟისორობა, სიმღერა თუ ქანდაკების ძერწვა და ამას ყველას ისეთი გულმოდგინებით, დიდი შრომით და გარჯით ასრულებს, რომ გაგიკვირდებათ. მაგრამ რეჟისორობა ყველას ჯობნის და მისი შედევრები მსოფლიოს ნებისმიერ ეკრანს ამშვენებს.

რუსეთის დიდმა რეჟისორმა (კინოს დარგით) ბატ. სერგეი გერასიმოვმა რომ გაიცნო და დაუმეგობრდა ამ ოჯახს, იუბილეზე (მ. ჭიაურელისა) საკავშირო ტელევიზიით მიულოცა და თქვა:: ეს ორი სასწაული, რომ არ გყავდეთ, თქვენი ხელოვნება ძალზე ღარიბი იქნებოდა. დიახაც სწორია.

ჩემი შესავლის შემდეგ ეს შეხვედრა დიდ ზეიმად გადაიქცა. გამოსული მოსწავლეების ახალგაზრდულ, ექსტაზურ ლექსს ცვლიდა სიმღერა, ცეკვა და მთელი დარბაზი გუგუნებდა.

საპასუხო გამოსვლაში ვერიკო ანჯაფარიძემ მადლობა გადაუხადა ყველას, ხოლო მოსწავლე-ახალგაზრდობას შემდეგი სიტყვებით მიმართა;

«მე მიხარია ამდენ ნიჭიერ ახალგაზრდას რომ ვხედავ. ჩვენს თვალწინ თავიანთი მრავალსახოვანი შემოქმედების ჩვენებით. მაგრამ, ბავშვებო, ყველაფერი ფუჭი იქნება,

თუ პირველ რიგში თქვენ არ იქნებით სრულყოფილი მოქალაქეები და ჭეშმარიტი მამულიშვილები.

როდესაც ამ სკოლის კედლებს დასტოვებთ და ცხოვრების დიდ გზაზე გახვალთ, მაშინ ნიჭთან ერთად დაგჭირდებათ პატიოსანი შრომა, თქვენ მიერ დასახული მიზნების განხორციელებისთვის მიზანსწრაფვა და თქვენი ქვეყნის ბალახის თითო ღერის სიყვარული და მოვლა-პატრონობა.

სწორედ ასეთი მოქალაქეები მინდა გნახონ თქვენმა აღმზრდელ-მასწავლებლებმა, რომელთა ცოდნა და მონდომება თვალნათლივ ვიხილეთ თქვენდა საკეთილდღეოდ დახარჯული, რათა პირნათლად შეგხვედროდით ჩვენ, თქვენს სტუმრებს. (ეს ყველაფერი ასე უბრალოდ არ მოდის. ეს მათი უანგარო შრომის შედეგიც არის და მაშ, ასახელეთ თქვენი სკოლა და მათი მასწავლებლები. მე კმაყოფილი ვარ დღეს ამ კედლებში სტუმრობით და მინდა გისურვოთ შემდგომი გამარჯვებები.»

ბატონი მიხეილ ჭიაურელი ფეხზე ადგა, ღიმილით გადაავლო თვალი იქ მყოფ ხალხს და თქვა: სიტყვის ოსტატი ჩემი მეუღლეა. მე სოფელ დიღმიდან გლეხის ოჯახიდან ვარ. იცით, რა მახსოვს ცხადლივ ჩემი ყრმობიდან, ბალღობიდან? დედაჩემის, უბრალო გლეხის ქალის, ტკბილი ხმით ნამღერი რაღაც საოცარი, ხალხური, საამური და ტკბილი იავნანა, მემრე, რომ არსად არ მომისმენია. და მიხეილი წამით ჩაფიქრდა:

«აგრემც გენაცვლებიან
ირან_თურანიანი.
ზურაბ_ყაფლანიანი,
დედის ალათ_მალათო,
მამის ციხე_ქალაქო,
ბებიას ოქროს ჯინჯილო
გულზე ჩამოსაკიდო,
ძიას ქამარ-ხანჯალო
წელზე შემოსარტყავო...
შენაც გენაცვლებიან
ირან_თურანიანი...»

ამ ჭაღარა კაცმა დედის იავნანა ისეთი, რაღაც საოცარი ინტიმით წაიკითხა, რომ ყველას, როგორც ერთი გასუსული, მოსმენისას თვალზე ნამი ჩაუყენა და დამთავრებისთანავე მქუხარე ტაშით და ფეხზე ადგომით გამოხატა მისდამი პატივისცემა. ბატონმა მიშამ თავი დაუკრა მადლობის ნიშნად და მხოლოდ ორი სიტყვით დაამთავრა თავის გამოსვლა:

«გაუფრთხილდით დედას, ის ერთია ქვეყნაზე».

«ფუფალა»
(სოფიკო ჭიაურელი)

ქალაქ თბილისის მე-100 სკოლის სააქტო დარბაზში დიდი გამოცოცხლება იყო, ელოდნენ სანატრელ სტუმარს და ეს სტუმარი გახლდათ მშვენიერი ქალბატონი – სოფიკო ჭიაურელი.

დარბაზში, კედელზე ჩამოკიდებული იყო დიდზე-დიდი სურათი სოფიკოსი როლში «ბაფთიანი გოგონა». იდგა ამ სურათში მოხდენილი სოფიკო და გულღიად გვიღიმოდა. (ეს იყო მისი პირველი როლი მარჯანიშვილის თეატრში). ამის დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა და ტაშით გამოხატა მადლობა.

იმ დღეს სოფიკოსთან შეხვედრა სულ სხვა სტილში წარიმართა. სცენაზე გამოდიოდნენ ყველა ის პერსონაჟები, რომლებიც უთამაშნია მას თეატრსა და კინოში. ხოლო ამ ყველაფერზე სცენის გვერდიდან კომენტარს მე ვაკეთებდი. (ბავშვები კოსტუმირებულნი იყვნენ).

სოფიკო ჭიაურელი

როდესაც ერთ-ერთი მოსწავლე გოგონა (2 კლასის მოსწავლე ნინო მაღლაკელიძე) სცენაზე ფუფალას ფორმით (დახეული ქოლგით, ხელთათმანებით და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით რწევა-რწევით შემოვიდა) დარბაზში სიცილი ატყდა (ბავშვები ყიჟინით შეხვდნენ: ფუფალა, ფუფალა)

სოფიკოს განსაკუთრებულად მოეწონა გოგონა და კალთაში ჩაისვა. მეორე განყოფილება დაეთმო ბავშვების თვითშემოქმედებას. ქალბატონ სოფიკოს სიტყვა გაჯერებული იყო სიყვარულით ბავშვების მიმართ და უხაროდა მათი ნიჭის გამოვლინება. ძალზედ კმაყოფილმა მე-100 სკოლა დატოვა, თან წაიღო ხალხის სიყვარული. მეტი რა არის საჭირო?

განუმეორებელი გიგანტური დუეტი

(აკაკი ვასაძე, აკაკი ხორავა)

პირველად შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში «ოტელოს» პრემიერა რომ შესდგა, მე არ მინახავს ეს იყო 1937/8 სათეატრო სეზონი. შოთა აღსაბაძის რეჟისორობით.

შემდეგ 1947 წელს განაახლეს ეს სპექტაკლი და აი, მაშინ კი რამდენჯერმე გამიჩნდა სურვილი მენახა, რათა ამ ორი ბუმბერაზი აკაკის შერკინება მენახა. ეს იყო, რაღაც ბუნებისმოვლენილი წარღვნა თუ ზვავი, რომელსაც აზღვავების ჟამს მიაქვს და მილეწავს ყველაფერს. ასეთი ბუნების სტიქიის ქარ-ბორბალს ატრიალებდნენ სცენაზე ორი ლეგენდა, ორი აკაკი და მათი შემხედვარე პარტერიან-ლოჟიან კედლებიანად ზანზარებდა, ინგრეოდა შენობა, ასეთი შეგრძნება გქონდა.

აკაკი ხორავა - ოტელო

აკი თავის წიგნში აკაკი ვასაძე «მოგონებები, ფიქრები» ყვება, რომ ომის პერიოდი იყო, ჩვენ მე და აკაკი სცენაზე ვართ, მე-იაგო გამარჯვებული ოტელოზე _ ოტელო-აკაკის, რომელიც ძირს არის დაგორებული, ზევიდან ვაზივარ და ჩემი მონოლოგით ვზეიმობ მასზე და ამ დროს მეორე იარუსიდან იარაღის სროლის ხმა ისმის, ისე მძლავრად, რომ მე უნებურად მუცელზე ვისვამ ხელს. ქვევიდან ოტელო_აკაკი ჩურჩულით მეკითხება: «დაგჭრეს?»

(ადმინისტრაციამ გაარკვია საქმე და აღმოჩნდა სამხედრო ოფიცერი ახალი ჯვარდაწერილი ცოლით, რომელიც მეორე დღეს ფრონტზე მიდიოდა, ყველაფერი მართლად აღიქვა და ესროლა ბოროტებას). მსახიობისთვის ამაზე მეტი ჯილდო რა არის _ კაცმა სინამდვილედ აღიქვა იაგოს გამაოგნებელი თამაში, ხალხს, რომ შოკში აგდებდა.

მე, მაგალითად ბევრი რამ მქონდა წაკითხული ამ პიესის შესახებ, მაგალითად პუშკინის აზრით _ ოტელო თავისი ბუნებით არ არის ეჭვიანი, პირიქით, მიმნდობია. ადამიანისადმი მისი ნდობა კი გულუბრყვილობისა და უნდობლობისგან არ მომდინარეობს, არამედ მისი მაღალსულოვნებისა და კეთილშობილებისგან, ცხოვრებისადმი მისი ოცნებიანი დამოკიდებულებისგან».

ოტელოს სწამს ყოველგვარი ადამიანური სიკეთე და ღირსება, იაგოს კი არ სწამს, არ სჯერა ადამიანის სიკეთის.

ოტელომ ვერ მოინელა, რომ შეცდა დეზდემონაში, მას ხომ უფალივით სწამდა მისი სიყვარულის. ეს ვერ აპატია და არა ის, რომ «იეჭვიანა». მის თვალწინ დაიმსხვრა ის ბროლის განძი, რომლის სახით დეზდემონას ხედავდა და მოკლა კიდეც.

აკაკი-იაგო ზეიმობს თავის გამარჯვებას და მერე როგორ ზეიმობს. ამის გადმოცემა ენით შეუძლებელია. ის უნდა ნახოს მაყურებელმა.

აკაკი ვასაძე - ფრანც მოორი

მათი დუეტი გაგრძელდა პიესა «ყაჩაღებში» უფროსი ძმა კარლოსი-აკაკი ხორავა და უმცროსი ძმა ფრანცი-აკაკი ვასაძე. აქაც, როგორც ოტელოში გამძვინვარებულ ორთაბრძოლაში ორივე მსახიობი უმაღლეს კულმინაციას (თავიანთი ფანატიკური, ზებუნებრივი თამაშით) აღწევდა და მაყურებლის ტაშის გრიალში სპექტაკლს შეჩერება უხდებოდა. ეს იყო გამაოგნებელი თამაში ორივე მსახიობისა.

ასეთივე ერთობლივი მუშაობა იყო გაჩაღებული პიესაზე ვლადიმერ სოლოვიოვის «დიდი ხელმწიფე» (1945/6წ. აკაკი ვასაძის დადგმით) აკაკი ხორავა იოანე მრისხანის როლში და აკაკი ვასაძე ვასილ შუისკის როლში. ეს იყო სპექტაკლის დიდი სერიოზული გამარჯვება. სცენა ზანზარებდა, დარბაზში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. აკაკი ვასაძის შუისკის ყოველი ფრაზა, სახის მოძრაობა, ცალყბა ღიმილი და თვალების ლიცლიცი თითქოს ვერაფერს ხედავსო. მაგრამ ყველაფრის მნახველი და მსმენელი თავის ბოროტ ბადეში ახვევდა იოანეს შვილს ივანეს, აღწევდა მიზანს _ ხელმწიფე ჰკლავდა საკუთარ ძეს.

შუისკის შინაგანი ზეიმი და გარეგნულად საპირისპირო მოქმედება კულმინაციას აღწევდა და ბევრს აღარ შეეძლო ამ ხელმწიფისთვის ფარული ბოროტების ატანა და დროზე ადრე სტოვებდა სპექტაკლს. ამაზე დიდი ოსტატობა წარმოუდგენელია, ხომ. აი, ასეთ დიდოსტატების ორივე აკაკის კიდევ ბევრი შედევრები ცოცხლობდა შ. რუსთაველის ფართო სცენაზე და ჩვენ ვიყავით (მუდმივი მაყურებელი). ამის მომსწრე ხან ვიცინოდით, ხან ვტიროდით, ვიტყუებოდით და აღმაფრენას ვერ ვმალავდით მათი შემხედვარე. ასეთი შემთხვევები კი ბევრი იყო. ყველას ვერ აღვწერ და ჩამოვთვლი, ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება.

სამი საოცრების მომსწრე
(სესილია თაყაიშვილის გახსენება)

ქალბატონი სესილი თაყაიშვილი, რომ დიდზე დიდი მსახიობია და თეატრისმცოდნენიც არ იშურებენ შესასიტყვ ქება-დიდებას. ეს ყველამ ვიცით, მაგრამ მე ჩვეულებრივი მაყურებელი გამოვყოფდი სამ შემთხვევას:

1955 წლის 1 მარტს დიდი თოვლით იყო დაფარული თბილისის ქუჩები, მოძრაობა შეჩერებული იყო, მაგრამ კ. მარჯანიშვილის თეატრი იყო გაჭედილი მაყურებლით (მე იქვე ვცხოვრობდი და დედასთან ერთად ვიყავი მისული).

სესილია თაყაიშვილი - ელისაბედი.
უ. შექსპირის " რიჩარდ III"

ხალხისთვის, მაყურებლისთვის, რომ თვალი გადაგევლოთ, იქვე მიხვდებოდით, რომ არც ერთი არა ფიქრობდა აქედან, როგორ მივიდოდა სახლში. მაყურებელი მხოლოდ და მხოლოდ აქ დატრიალებულ ტრაგედიას ხედავდა: ბოროტი ზრახვებით შეპყრობილი ელისაბედ დედოფალი, რა ბნელ საქმეებს ატრიალებდა დედოფალ მარიამ სტიუარტის (ვერიკო ანჯაფარიძე) წინააღმდეგ და არ მოისვენა, სანამ მისი თავი დაგორებული არ დაინახა დედამიწაზე.

ეს ბოროტებით სავსე ქალი, სადღაც მხდალი იყო, ისე, ჩუმად თავისთვის, სხვას რომ არ შეემჩნია, რის დასტური იყო ის, რომ ყოველ ნაბიჯზე მარიამის ცოცხალი საყვედურით სავსე სახე ელანდებოდა და ძრწოლით, სანთლით ხელში უკან-უკან იხევდა, კანკალებდა. საოცარი გარდასახვა ქალბატონი სესილის აკვირვებდა მაყურებელს, რამდენიმე საათის წინ სახის მთელი ნაკვთები ზეიმობდა, უხაროდა დედოფალ მარიამის გილიოტინაზე ფერმკრთალი სახის დანახვა და უცებ რამდენიმე წუთში, პიესის შემდეგ სურათში შემკრთალი, მობუზული, მარიამის აჩრდილის გაქრობასა და მოშორებას ცდილობს და ძირს ენარცხება. ეს იყო ნამდვილი საოცრება, ამ სპექტაკლს

ესწრებოდნენ მოსკოვიდან, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდების მიმნიჭებელნი და უყოყმანოდ, დადებითად გადაწყვიტეს იქვე, იმავ დღეს.

სესილია თაყაიშვილი - ბებია

1960 წლის 25 ნოემბერს რეჟისორ გ. ლორთქიფანიძის პიესამ კ. მარჯანიშვილის თეატრში ყუმბარასავით იფეთქა და მოიცვა მთელი თბილისის მოსახლეობა. ასაკის მიუხედავად ყველას «პირზე ეკერა» პიესა «მე, ბებია, ილიკო და ილარიონი» ნ. დუმბაძის მოთხრობის საფუძველზე შექმნილი.

ყველა კარგი იყო, მაგრამ ქალბ. სესილია ბებია იყო კაშკაშა, როგორც დიდი, ძალზე დიდი ვარსკვლავი, ჩაუქრობელი, ყოვლისმომცველი (მოგვიანებით კინოეკრანის მშვენება).

მესამე, რამაც მთელი თბილისი აალაპარაკა, ეს იყო იგივე გ. ლორთქიფანიძის ნამუშევარი კინო სერიალში «დათა თუთაშხია» _ ასინეთას პატარა, ერთი ციცქნა როლი.

ასინეთა ქალბ. სესილის შესრულებით გამაოგნებელი იყო, რაღაც საოცრება. სხვა, რომ არაფერი შეექმნა (შექმნა კი ბევრზე-ბევრი), საკმარისი იქნებოდა მისი უკვდავებაში გადასვლა ამ სამი როლით და გადავიდა კიდეც.

დიდი მსახიობის შეგონება
(სერგო ზაქარიაძე)

1965 წელს, მოსკოვის საერთაშორისო კონოფესტივალზე კინოფილმ «ჯარისკაცის მამის» ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ დიდი ტრიუმფით დაბრუნდა უკვე ლენინური პრემიის ლაურეატი, ჩვენი სასიქადულო მსახიობი სერგო ზაქარიაძე. მისმა ასეთმა

წარმატებამ ყველა აღაფრთოვანა და ჩვენ დიმიტროვის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა და 26 კომისრის რაიონის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა, რაიონის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, გადავწყვიტეთ, საზეიმო შეხვედრა მოგვეწყო მისთვის.

საღამო დიმიტროვის სახელობის ქარხნის კლუბში ჩატარდა. ბუნებრივია, უხვად იყო მილოცვები, მისალმებები, მოგონებები, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი იყო თვით სერგო ზაქარიაძის სიტყვა, რომელიც დღემდე არ წაშლილა ჩემი მეხსიერებიდან.

შუაში სერგო ზაქარიაძე. მარცხნივ ნინო ლაშხია, მარჯვნივ ნათელა ყიფიანი

სახელმმოხვეჭილმა მსახიობმა თვალი გადაავლო დარბაზს, დაინახა მოსწავლეთა გაბრწყინებული სახეები და თქვა: მე ვხედავ, რომ აუდიტორია უმთავრესად მოსწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლებისაგან შედგება, ამიტომ მინდა ყურადღება ერთ გარემოებაზე გავამახვილო. აღმზრდელ-მასწავლებლებსა და ჩვენ, მსახიობებს, ერთი მისია გვაკისრია _ აღვზარდოთ მომავალი თაობა ღირსეულ მოქალაქეებად, გავუფაქიზო მას სული, დავუხვეწოთ გემოვნება, ჩავუნერგოთ ეროვნული კულტურის სიყვარული და პატივისცემა. ამ მისიის შესრულება ადვილი არ არის. საწადელს მაშინ ვეწევით, თუ ბავშვი ირწმუნებს ჩვენსას, დაგვიჯერებს და გამოგვყვება. ხოლო რომ დაგვიჯეროს და გამოგვყვეს, ამას გარკვეული პირობა სჭირდება. ეს პირობა ისაა, რომ უპირველეს ყოვლისა თვითონ ჩვენ ვიყოთ მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ, საუკეთესო მაგალითს ვაძლევდით ჩვენს გარშემო მყოფთ და არ დავკარგოთ მათ თვალში მიმზიდველობა და თუნდაც იდუმალება.

მაგონდება ომის მძიმე დღეები _ გაჭირვება, შიმშილი, სიცივე. ომი ადამიანურ ღირსებათა მკაცრი გამოცდაა. დიდი ვაჟკაცობა იყო საჭირო, რომ ყველაფრისთვის გაგეძლო ადამიანური ღირსებების დაუთმობლად. გვიჭირდა ჩვენც, მე და ჩემს ოჯახს, მაგრამ არც მე და არც ჩემი მეუღლე მერი ქორელი არ ვმდგარვართ ნავთის რიგში, რაც მაშინ ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოვლენა იყო. ვიყინებოდით, ხშირად ერთმანეთს

ხელებს ორთქლით ვუთბობდით, მაგრამ რიგში არ ვდგებოდით, იმიტომ კი არა, რომ არ ვკადრულობდით, არა. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი მაყურებლის თვალში, იმ მაყურებლისა, რომელიც ახლა ნავთის რიგში იდგა, არ დაგვეკარგა ის იდუმალება, რაც, ჩვენი გმირების წყალობით, შარავანდედად გვადგა. ეს ხალხი, ნახევრად მშიერი და გათოშილი, მოდიოდა თეატრებში, რათა ამაღლებული განწყობილების თანამოზიარე ყოფილიყო, მოდიოდა, რათა ენახა ამაღლებულ, მძაფრ გრძნობათა ჭიდილი და თვითონაც ამაღლებული და განწმენდილი დაბრუნებულიყო შინ. მას რწმენა უნდა წაჰყოლოდა თან და ჩვენ არ გვქონდა უფლება მისი გაწბილებისა. მას უნდა ერწმუნა, რომ მე უბრალო მოკვდავი კი არ ვიყავი, გუშინ მათთან ერთად ნავთის რიგში სიცივილისაგან მხტუნავი, არამედ დავით აღმაშენებელი _ საქვეყნო საქმისთვის მზრუნველი, ერის მეთაური და ჩემი მეუღლეც იყო არა ჩვეულებრივი დიასახლისი, არამედ მეფე ერეკლეს ასული თეკლა. ერთი სიტყვით, ჩვენ მათ თვალში არ უნდა შემოგვცლოდა იდუმალების, მიუწვდომლობის საბურველი.

სერგო ზაქარიაძე

იგივე მართებს ყველა აღმზრდელს, პედაგოგს. ბავშვის თვალში ის უნდა იყოს ამაღლებული, სპეტაკი, ნათელი პიროვნება, მიუწვდომელიც კი, რათა მოსწავლემ უყოყმანოდ ირწმუნოს მისი.

ეს უნდა ახსოვდეს ყოველ მასწავლებელს, რომელიც სკოლის კარს აღებს და ამ კეთილშობილური პროფესიის მსახურებას იწყებს. ეს უნდა ახსოვდეს ყოველ მსახიობს, რომელიც სცენაზე ადის და თეატრალური ხელოვნების მეოხებით ხალხის გულთან მისვლას ცდილობს. უნდა ახსოვდეს, რადგან ეს არის წმიდათწმიდა ვალი ყოველი ჭეშმარიტი მოქალაქისა, ვისაც კი ხელი მიუწვდება ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისა და მისი მრწამსის ჩამოყალიბების რთულსა და საპატიო საქმეზე.

დღეს, როგორც არასდროს, გაზრდილია პასუხისმგებლობა იმ პირთა მიმართ, ვისაც მომავალი თაობის სწავლა-აღზრდისა და მისი ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბება ევალებაო. და ვფიქრობთ, მათ სამაგალითოდ გამოადგებათ დიდი მსახიობისა და პედაგოგის სერგო ზაქარიაძის ეს შეგონება და ყურადაც იღებენ მას.

ნათელა ყიფიანი,
პედაგოგი.

«ჭეშმარიტი ხელოვნება»
(ვასო გოძიაშვილი)

ერთ მშვენიერ დღეს, ჩემს მოსწავლეებს გამოვუცხადე: ბავშვებო, ვისთან გინდათ შეხვედრა? ერთხმად, თითქოს წინასწარ შეთანხმებულები იყვნენ, მითხრეს: ნათელა მასწავლებელო ძალიან გთხოვთ, შეგვახვედროთ ვასო გოძიაშვილს და სანდრო მირიანაშვილს (მთელი თბილისი ხომ მღეროდა: «ისევ ის ბიჭი ვიყავი ხუჭუჭა პატარა»). კვირის ბოლოს მე და მოსწავლე მზია ნადირაძე ვესტუმრეთ ვასო გოძიაშვილს ბინაზე (ფილარმონიის პირდაპირ სახლში). კარები ქალბატონმა ევგენიამ გაგვიღო, ცოტა გაკვირვებულმა შემოგვხედა, მაგრამ მიზეზი რომ გაიგო, ღიმილით შეგვიძღვა შინ.
ბატონი ვასო მაგიდასთან იჯდა და რაღაცას კითხულობდა, რომ დაგვინახა, ადგა, მოგვესალმა და სკამები შემოგვთავაზა.

ვასო გოძიაშვილი ფილმიდან "ქეთო და კოტე"

ჩვენს წინადადებაზე, ჩვენთან (85-ე საშუალო სკოლის მოსწავლეების თხოვნით) საპატიო სტუმრად მობრძანებულიყვნენ თვითონ, მისი მეუღლე ცნობილი პიანისტი ევგენია გოძიაშვილი და კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილი ხალისით დაგვეთანხმა. მიყვარს ახალგაზრდები და მათთან შეხვედრაო და იქვე დაგვპირდა, სანდროსთან მე შევთანხმდები, თქვენ ნუ შეწუხდებითო.
და აი, დათქმულ დღეს, თბილისის 85-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ფართოდ გაუღეს კარი საპატიო სტუმრებს: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტ ვასო გოძიაშვილს და ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილს. ამ საღამოს დასწრებაზე დიდი ინტერესი იყო: აქ მობრძანდნენ რაიონის ხელმძღვანელობა,

განათლების სამინისტროს თანამშრომლები, მშობლები (ჩვენი მოსწავლეებისა), ისე ცნობისმოყვარე აქ ქუჩის მცხოვრებლები (მათ ახლოს ცოცხლად უნდოდათ ენახათ ვასო გოძიაშვილი). მოკლედ, სკოლის სააქტო დარბაზი გადაჭედილი იყო მაყურებლით, ვასოზე ნათელმა ღიმილმა დაგვარწმუნა, რომ კმაყოფილი იყო ასეთი ფართო მასშტაბიანი ყურადღებით.

სააქტო დარბაზის კედლების ექსპონატები გვაუწყებენ, რომ ვასო გოძიაშვილის მრავალფეროვანი როლები (რომლებიც კედელზე იყო წარმოჩენილი საჭირო წარწერებით _ თვით ბავშვების მოძიებული და სათუთად გაკეთებული სტენდები) ადასტურებდნენ მის უკიდეგანო ნიჭს, მსახიობის პლასტიკას, მიმიკას თუ ცეკვის ილეთს. მე, როგორც ამ შეხვედრის ინიციატორმა და ხელმძღვანელმა თავს მივეცი უფლება გამეცნო ბატ. ვასო გოძიაშვილის თვალით ნანახი და ყურით მოსმენილი ერთმანეთზე უკეთესი როლები კ. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე.

მე შევჩერდი სამ სასწაულზე, ერთმანეთისგან განსხვავებული როლების შესახებ, ესენი იყო: ი. ჭავჭავაძის «ლუარსაბ თათქარიძე» _ ლუარსაბის როლში, ავეტიქა ავქსენტი ცაგარელის პიესაში «რაც გინახავს, ვეღარ ნახავში» და შექსპირის რიჩარდ III-ის როლში.

ეს სამი დიამეტრულად განსხვავებული როლები მის მიერ გენიალურად შესრულებული უცხო მაყურებელს დააეჭვებდა; ნუთუ ამას ერთი და იგივე მსახიობი ასრულებსო და როცა რწმუნდებოდა სინამდვილეში, ოვაციებს და ტაშის გრიალს საზღვარი არ ჰქონდა.

ვასო გოძიაშვილი ფილმიდან "ქეთო და კოტე"

აი, წარმოიდგინეთ თეატრის რეპერტუარი 40-50-60-იან წლებში: ორშაბათი თეატრის გამოსასვლელი დღე იყო. ვასოს განრიგი იწყებოდა: სამშაბათს _ ლუარსაბ თათქარიძე (ი. ჭავჭავაძის პიესა «ლუარსაბ თათქარიძე»), ოთხშაბათს _ ავეტიქა (ავქსენტი ცაგარელის «რაც გინახავს ვეღარ ნახავ»), ხუთშაბათს _ მეფე ერეკლე (გოთუას «მაია წყნეთელი»), პარასკევს _ ნაპოლეონი (სპექტაკლი «მადამ სანუკ»). შაბათს _ ბახა (ვ. ფშაველას _ «მოკვეთილი»), კვირას _ რიჩარდ III (შექსპირის პიესა «რიჩარდ III»). და ასე კიდევ სხვადასხვა მარგალიტები, რომელთა ნახვა ამდიდრებდა ადამიანის, მაყურებლის გემოვნებას, აოცებდა, ანცვიფრებდა და ბადებდა სურვილს კიდევ დაგენახა იგი. როდესაც მე ამას ვყვებოდი, დარბაზი ტაშით მაწყვეტინებდა თხრობას და ბოლოს ფეხზე ადგომით და ტაშის გრიალით ერთხელ კიდევ გამოხატეს თავინთი სიყვარული და პატივისცემა ამ ლეგენდად ქცეული არტისტის მიმართ. ასევე თბილად ვილაპარაკეთ სანდრო მირიანაშვილის შემოქმედებაზე. მეორე ნაწილში ამ შეხვედრისა თვით ბავშვების თვითშემოქმედებას დაეთმო ადგილი. ორი მოსწავლე ცეკვის

ხელმძღვანელმა ვანო ქსოვრელმა გამოიყვანა და კინტაური აცეკვა, თან კუპლეტები ამღერა «ქეთო და კოტედან».

ვასო წამოხტა, ორივე ბიჭს გადაეხვია და აკოცა. სკოლის გუნდის ხელმძღვანელმა ბიძინა წულაძემ გუნდს ამღერა სანდრო მირიანაშვილის სიმღერები. დარბაზს ზანზარი გაჰქონდა, ყველა კმაყოფილი იყო.

ბოლოს ვასომ ინება სიტყვის თქმა. დარბაზში სამარისებური სიჩუმე დადგა. მან ბავშვებს მიმართა, რომ თეატრი, მხატვრული სიტყვა, სიმღერა – ეს არის ის აუცილებელი ნაწილი ჩვენი ცხოვრებისა, რომელიც ხვეწს, ზრდის, ასაზრდოვებს ბავშვობიდან ყოველი ბავშვის ფაქიზ ბუნებას ესთეტიკურად, ეთიკის ყოველგვარი წესის ჩათვლით. მე ვხედავ ეს საკითხი კარგად დგას. თქვენმა მრავალფეროვანმა შემოქმედებამ (ბავშვები ამბობდნენ ლექსებს, მღეროდნენ, ცეკვავდნენ) ამაში დამარწმუნა. ეს თქვენი პედაგოგების, მშობლების დამსახურებაა, მაგრამ მინდა გამოვყო თქვენი პატივცემული ნათელა მასწავლებელი. აი, ხომ დაინახეთ ეს საღამო როგორი ზეაწეული, კარგი აღმოჩნდა, მე დარწმუნებული ვარ, აქედან გასული ყოველი ბავშვი ეცდება, რომ ხვალ ყველაზე ადრე მოვიდეს სკოლაში, ბეჯითად ისწავლოს, რათა ნათელა მასწავლებელმა მორიგ ღონისძიებაში მიაღებინოს მონაწილეობა, როგორც დღეს იყო. მშვენივრად მიჰყავდათ საღამო, ყველა ნორმის დაცვით. (ბატონმა ვასომ იგულისხმა მოსწავლეების საოცარი დისციპლინა და მათზე დაკისრებული საქმის კეთება).

ნათელა მასწავლებელმა ხომ ხვდებით რამდენი ენერგია, ჯანი, ნიჭი და მონდომება გამოავლინა ამ საღამოს მოწყობა _ გამართვაში. მე დიდად კმაყოფილი მივდივარ ყველაფრით: სკოლით, ბავშვებით, მშობლებით, ხოლო ქალბ. ნათელას ვთხოვ კვირას სამ გამორჩეულ ბავშვთან ერთად მესტუმროს სპექტაკლზე «ძველი ვოდევილები». იქ მე ვიქნები მასპინძელი და ვეცდები ცოტათი მაინც გადავუხადო «სამაგიერო» ამ მშვენიერ ქალბატონს. ადგა, მოვიდა, ხელი ჩამომართვა და მოსაწვევები გადმომცა (ემჩნევა ადრევე დაიჭირა თადარიგი), ტაშის გრიალმა შეაზანზარა დარბაზი.

რა თქმა უნდა, ვეწვიეთ ბატონ ვასოს მე და ჩემი მოსწავლეები და ახლა ჩვენ მივიღეთ უდიდესი სიამოვნება ნახულითა და გაგონილით.

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს!
(გიორგი (ჟორა) შავგულიძე)

ბატონი გიორგი (ჟორა) შავგულიძე. მისი ვრცელი ბიოგრაფია წიგნად გამოსცა ქალბ. ლიზიკო ვაჩნაძემ (ძალიან უხდებოდნენ ერთმანეთს, ტანადი, ლამაზი წყვილი გახლდათ). ამიტომ ამით თავს აღარ შეგაწყენთ. მე მოგიყვებით პირადად ნახულ, განცდილ სიხარულს რომელსაც განვიცდიდი მისი სცენაზე ყურების დროს. კ. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე უნიჭიერეს მსახიობთა გუნდის შესრულებით, ჟორა შავგულიძე სასწაულებს ახდენდა. გადის ათი, ოცი, ოცდაათი წელი და მე აჩრდილივით თან დამდევს მისი ლეგენდად ქცეული იერსახე, ოსტატობა და გამაცვიფრებელი ხიბლი, რომელიც შარავანდედად ადგა მის პიროვნებას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი შავგულიძე (სრულიად ჯანმრთელი და ჯანსაღი) სწორედ იმ დროს დააკლდა ქალაქს, როდესაც მას აღმერთებდნენ და თაყვანს სცემდნენ.

გიორგი (ჟორა) შავგულიძე

ტელევიზია ახალფეხადგმული იყო და სცენები მისი მონაწილეობით ვერ შემოგვინახა ისე, რომ მას დღევანდელი მაყურებელი, მოსწავლე-ახალგაზრდობა არ იცნობს, მხოლოდ თითო-ოროლა კინოფილმებიდან თუ იცნობენ და ამითაც დიდად არ ანებივრებენ მაყურებელს (არ სწყალობენ კინოთეატრები და ტელევიზიის მესვეურები ძველ ქართულ ფილმებს) სულ ერთი და იგივე «საბუდარელი ჭაბუკი», «არაჩვეულებრივი გამოფენა», თითქოს მეტი არაფერი დაედგას ჩვენს ქართულ კინოსტუდიას ათეული წლების მანძილზე. ყოველი წარსულის მოგონება თუ გახსენება ამ ნიჭიერ მსახიობზე, დიდად ასიამოვნებს მის თაყვანისმცემელს, ამიტომ ვბედავ მასზე მოყოლას: ომის წლებია _ გარეთ ცივა, ბნელა, ყინავს, მარჯანიშვილის თეატრში კი ხალხის ჭედვაა, ნემსი არ ჩაიგდება. მიდის არდაზიანის პიესა: «სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი». სრულიად ახალგაზრდა ბატონ ვახტანგ ტაბლიაშვილის პირველი სცენური ნათლობა.

ჟორა შავგულიძე _ მხიარულ, უსაქმური თავადის როლს ასრულებს. პიესის მიხედვით ის არ არის მთავარი როლის შემსრულებელი, ერთი რიგითი ეპიზოდური როლი აქვს. მაგრამ აღვწეროთ ჯერ გარეგნობა: აცვია თეთრი ჩოხა-ახალუხი, ფეხზე უძიროები ისე აქვს შემოტმასნილი, როგორც ლაიკის ხელთათმანი მანდილოსნის ხელზე, რწევა-რწევით შემოდის სცენაზე და იწყება სპექტაკლი სპექტაკლში. ეს არის კაშკაშა ფეიერვერკი იმ მოქმედებისა, რასაც თავადი ლუარსაბი _ გიორგი კულმინაციის წერტილს აღწევს ოქრომჭედელ ოჰანეზ ნიკიტიჩთან (მსახიობი _ უნიჭიერესი ნიკო გოცირიძე) პაექრობა, ანცობა სხვა თავადებთან (მისებრ მოქეიფეებთან) ერთად (ფულის დაცანცვლის მიზნით) განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. ხალხი სცენაზე მის მეტს ვერავის ხედავს (თუმცა სცენა სავსეა უნიჭიერესი, ულამაზესი მსახიობებით). ის, რომ თავადი ლუარსაბი - გიორგია მთავარი და ხალხის სიცილი გადადის ხარხარში, ფეხზე დგებიან, ტაშს უკრავენ. არა, ამის აღწერა არ შეიძლება, ეს



გიორგი (ჟორა) შავგულიძე - ხარიტონი, "კოლმეურნეს ქორწინება"

უნდა ნახოს კაცმა. ეს არის თეატრის, დასის, მსახიობის, რეჟისორის ტრიუმფალური გამარჯვება. ყველა, ყველა მსახიობი ბრწყინავს და თეატრი ზეიმობს დიდ გამარჯვებას. მომდევნო პრემიერა ისევ კოტე მარჯანიშვილის თეატრში, ისევ ბატონ ვახტანგ ტაბლიაშვილის დადგმა ლევან გოთუას პიესისა «მეფე ერეკლე». პიესა ზეაწეულად მიდის, სცენა ბობოქრობს, ვასო გოძიაშვილის ერეკლე ბრწყინავს. იწყება მესამე მოქმედება და მას ეწოდება «სალაღობო». სცენაზეა ქართული მოსირმული «კაბით» საიათნოვა თასით ხელში. მას ეპაექრებოდა ირანის აშუღი. (აგესატრე გომელაური) საიათნოვა შავგულიძე გულის შემკვრელად მღერის: «ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა, არ მინდა». აშუღი კი დასცინის «ვისი დედალ-ქათამი ხარ რომ კაკანებ, დამაცადე». საიათნოვა პასუხობს «ვინა ვარ და მეფის საზანდარი ვარ» ამის აღწერა შეუძლებელია. მარტო ამ მესამე მოქმედებისთვის მივდიოდით თეატრში ჩვენ, ახალგაზრდობა და ყველას პირზე გვეკერა «ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა», თუმცა მთლიანობაში ის სპექტაკლი მორიგი გამარჯვება იყო ბატონ ვახტანგ ტაბლიაშვილისა.

ბატონ გიორგის დიაპაზონი ისეთი ფართე, მრავალმხრივი და უკიდეგანო იყო, რომ ძნელია რომელიმეს გამოყოფა: მაგრამ მაინც სამი პიესა იყო განსაცვიფრებელი: ლევან გოთუას «დავით აღმაშენებელში» (ვ. ტაბლიაშვილის დადგმით) _ მეფე დავითის აღმზრდელი ბრძენი ჭყონდიდელი, «ანტონიუს და კლეოპატრაში» (ისიც ვ. ტაბლიაშვილის დადგმა) კეისარი, რომელიც მიქელანჯელოს ნამუშევარს გაგახსენებდა მაყურებელს (ისე მოხდენილად ატარებდა თეთრ მატას ლამაზ მხრებზე მორგებულს, გეგონებოდათ მთელი ცხოვრება ამ სამოსელში გაატარა), ახლა შესრულება უზადო და დიდებული. ბოლოს ჩაროზად შემოვინახე მისი ხარიტონი «კოლმეურნეს ქორწინებიდან» (შალვა ღამბაშიძის დადგმა). როგორც კი სცენაზე ფეხს შემოსდგამდა ჟორა _ ხარიტონი, ხრინწიანი, საქმით «დაღლილი» ხმით გაშლიდა «საქმიანად» ხელებს, მეტი არ იყო არაფერი საჭირო, ხალხი ხარხარებდა და ტაშის გრიალში აღარ გვესმოდა მისი ნათქვამი. ეს იყო როლი გროტესკში გადაწყვეტილი, რომლის ზევით აღარაფერია. ეს არის გვირგვინი გიორგი შავგულიძის სცენიური განსახიერებისა. ეს არის მწვერვალი.

ერთი ორი სიტყვით მინდა შევახსენო ჩვენს მაყურებელს გიორგი შავგულიძის ის როლები ფილმებში, რომლის სახელები დაუვიწყარია მრავალ და მრავალ ასეული ხალხის გულში. «დავით გურამიშვილი». ამავე სახელობის კინო სურათში (რეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი), აქ გიორგი შავგულიძე ისეთი სრულყოფილი და დიდებულია,

რომ სხვა ვერც კი წარმოგვიდგენია. ის კი არა და ვინაიდან არ აქვს ისტორიას შემორჩენილი პოეტ დ. გურამიშვილის პორტრეტი (როგორც ხალხში არის, ეს ხმა გავრცელებული) სწორედ ხალხმა; მაყურებელმა ისეთი იწამა და შეიყვარა, როგორიც გ. შავგულიძის მიერ არის შექმნილი. ეს მსახიობის უდიდესი გამარჯვებაა.

საოცარი სიმსუბუქით, იუმორით, დასავლეთ საქართველოსთვის ჩვეული სილამაზით არის შექმნილი ერემოს სახე ნიკოლოზ სანიშვილის ფილმში «ბედნიერი შეხვედრა». ერთ ნახვად ღირს მისი პროვინციალური ცეკვა ცალ ფეხზე, რომელიც ისე ამშვენებს მთელ ფილმს, რომ დიდხანს გახსოვს იგი. ხოლო ვ. ტაბლიაშვილის ლეგენდადქცეულ – აღიარებულ ფილმში «ქეთო და კოტეში» ვასო გოძიაშვილისა და გიორგი შავგულიძის დუეტი. ხოლო ჟორას მიერ შესრულებული «კინტაური» ცალკე საკონცერტო ნომერია, ფანტასტიკური შედევრია, მსახიობის ოსტატობის სრულყოფაა. ჩემს მოგონებას ამ ლეგენდად ქცეულ კაცზე დავამთავრებდი ჩვენი თანამედროვე, საყვარელი პოეტის მიხეილ ქვლივიძის ლექსის ბოლო სიტყვებით, რამეთუ ეს სტრიქონები გაისმის მოწოდებად ყოველი ადამიანის მიმართ:

«და ღმერთს ვთხოვთ: ღმერთო გვაცოცხლე ისე,
რომ ჩვენც ოდესმე დავაკლდეთ ქალაქს».

სიკეთე არ იკარგება
(ეროსი მანჯგალაძის გახსენება)

პატივცემული ეროსი მანჯგალაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ბევრი მოგონება, სითბო და სიყვარული იქნა აღნიშნული პრესის ფურცლებზე, რომელთა კითხვამ გულწრფელი ცრემლი მოჰგვარა მკითხველს, ალბათ ბევრს დარჩათ სათქმელი საყვარელ მსახიობზე და დროთა განმავლობაში დაწერენ, გაიხსენებენ, იტყვიან თავიანთ სათქმელს.

ეროსი მანჯგალაძე

მე კი დღეს გადავწყვიტე თქვენი გაზეთის მეშვეობით გავუზიარო მკითხველს ის სიხარული და ბედნიერი წუთები, რომელიც განვიცადეთ იმ დროს, როდესაც ბატონი ეროსი ჩვენ 85-ე საშუალო სკოლას ესტუმრა. სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობამ გადაწყვიტა მოეწყო სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან შეხვედრა თემაზე «დაგვეხმარეთ პროფესიის არჩევაში». სტუმრებიდან აქ იყვნენ დამსახურებული მასწავლებლები, მხატვრები, პოეტები და მსახიობი ეროსი მანჯგალაძე. როდესაც მე და რამდენიმე მოსწავლე დელეგაციის სახით ვეწვიეთ ბატონ ეროსის თეატრში და მან როცა გაიგო ჩვენი მისვლის მიზეზი, გაკვირვებული სახით შემოგვხედა და მორიდებით გვითხრა, რომ იქ სადაც აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე და სერგო ზაქარიაძეა, უხერხულია ჩემი ამორჩევაო და უარი გვითხრა. ჩვენ მოვახსენეთ, რომ მთელი სკოლის მოსწავლეების სურვილია თქვენთან შეხვედრა. თქვენს პერსონაჟებზე უკვე მონტაჟია გაკეთებული, აღელვებული გრძნობით გელოდებიან ჩასუქებული ბიჭუნა (გვადი), მსუნაგი «ესპანელი მღვდელი» და სხვები, გთხოვთ ნუ გაგვაწბილებთ.

მიხვდა, უარით ვერ მოგვიშორებდა მის თაყვანისმცემლებს და დაგვეთანხმა.

დადგა შეხვედრის დღე, იყო მოლოცვები, გამოსვლები მოსწავლე ახალგაზრდობისა. დადგა დრო როცა სტუმრებს უნდა ეთქვათ თავისი სიტყვა.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიდნენ ლენინის ორდენოსანი მარიამ მასწავლებელი, მხატვრები ნელი ოქროპირიძე, პოეტი ხუტა ბერულავა და სხვები, რომლებიც ბავშვებს დიდი შთაგონებით ესაუბრებოდნენ პროფესიის არჩევის საკითხებზე, თავიანთ გეგმებზე და სხვ. დადგა ეროსი მანჯგალაძის გამოსვლის დროც.

ეროსიმ თავისი მადლიანი ღიმილით გადაავლო თვალი დარბაზს, ჩაახველა და დაიწყო: «ბავშვებო! მე საერთოდ ვიბნევი, როდესაც გამოსვლა მიხდება სიტყვით ხალხთან, ხოლო თქვენთან, ბავშვებთან ორჯერ უფრო დაბნეული ვარ, სიტყვისა რა მოგახსენო, მაგრამ ერთ შემთხვევას მოგიყვებით ჩემი ცხოვრებიდან და იქნებ ის იყოს პასუხი აქ დასმული საკითხის.

ერთხელ ჩემი თანასოფლელი ყმაწვილი ბიჭი, რომელთანაც მე ახლო მეგობრობა მქონდა, მოვიდა ჩემთან და მთხოვა _ «ქალის გასასინჯად მივდივარ, წამოდი, შენც მხარი დამიმშვენეო».

მე ამ შემთხვევაში, ბავშვებო, მადლობის მეტი რა მეთქმოდა, მაგრამ შევნიშნე, რომ ცოტა გაცვეთილი პიჯაკი ეცვა (ომის შემდგომი წლები იყო) და გუნებაში სწრაფად გადავწყვიტე ჩემი პიჯაკი (რომელიც უკეთესად გამოიყურებოდა) მეთხოვებინა და შევთავაზე კიდეც _ მე მაინც ჩაწერა მაქვს და ვერ შევძლებ წამოსვლას-მეთქი ვუთხარი (ბავშვებო, არ გეგონოთ, რომ მე ტყუილი მიყვარდეს, პირიქით, ძალიანაც მძულს, მაგრამ მოგეხსენებათ სტრატეგიული ტყუილი დასაშვებია, იცით ეს თქვენ, ისტორიიდან).

ნათესავს უარი არ გაუვიდა, ჩვენ გავცვალეთ პიჯაკები და აი, მერე რაც მოხდა ის არის ყურადსაღები. ის ორი დღე ბავშვებო, სხვის სამოსელში რომ ვიყავი, ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. ვწვალობდი, თითქოს ქვეყანამ იცოდა, რომ ჩემი არ იყო. მოკლედ ბევრი რომ არ გავაგრძელო, ბავშვებო, ძალზედ უხერხულად ვგრძნობდი თავს (არა იმიტომ, რომ თითქოს გული არ მიმივიდა, არა, ბიჭი ჩემი ძალზედ ახლობელი იყო, თანაც სასიამოვნო ახალგაზრდა). უბრალოდ ისე, რადგან ჩემი არ იყო, სხვისას ვერ შევეჩვიე.

ასე მოუხდება ბავშვებო ყველა თქვენგანს, მთელი ცხოვრება შეწუხებული იქნება და ივლის, რომელიც ამ სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელს მიაკითხავს არა თავისი მოწოდების მიხედვით, არამედ ისე, რომ იქ უფრო შესძლო იოლად მოწყობა, ან მისმა მშობლებმა ასე ისურვეს და სხვადასხვა მიზეზებით. მე მგონი, ბავშვებო, მიმიხვდით თქვენ რის თქმაც მსურს»... პატ. ეროსის სიტყვები მქუხარე ტაშმა დაფარა.

ეროსი მანჯგალაძე - გვადი, (პიესა "გვადი ბიგვა")

აქ იყვნენ არა მარტო მოსწავლეები, არამედ მშობლები, პედაგოგები, რაიონული ხელმძღვანელობა.

ეროსი მანჯგალაძის ამ პატარა ეპიზოდმა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს ერთსულოვანი ტაშიც ამის გამომხატველი იყო.

რუსთაველის თეატრთან პატივცემული ეროსის დაკრძალვის დღეს შემხვდნენ ჩემი ყოფილი მოსწავლეები: ბუთხუზა «გვადი» და ეშმაკთვალება «ესპანელი მღვდელი». ისინიც მოსულიყვნენ უკანასკნელ გამოსათხოვარზე საყვარელ მსახიობთან. გავიხსენეთ მისი სტუმრობის მომენტი. ამ ბიჭებმა (რომელიც ერთი ინჟინერია და მეორე იურისტი) მითხრეს, იცით ნათელა მასწავლებელო, არცერთ აგიტაცია-პროპაგანდას, რომელსაც ჰქონდა ადგილი სკოლაში პროფესიის არჩევის ირგვლივ (ლექციები, თათბირები, სემინარები და სხვ.) ისე არ უმოქმედია ჩვენზე, ახალგაზრდობაზე, როგორც პატ. ეროსის პატარა ეპიზოდის გახსენებამ ჩაგვაფიქრა. მართლაც რა საშინელებაა მთელი ცხოვრება «სხვისი სამოსელით იყო და ის აკეთო, რაც შენი მოწოდება არ არის. ჩვენი სკოლიდანაც ხომ იყვნენ ზოგიერთები რაღაცა საშუალებებით სხვისი ადგილი რომ დაიჭირეს უმაღლესში, სამაგიეროდ ახლა როგორ უჭირთ, ძალზე სუსტი სპეციალისტები არიან, ნანობენ კიდეც, მაგრამ უკვე გვიან არის და დამისახელეს რამდენიმე მოსწავლის სახელი და გვარი.

მომავალ წელს ხომ მოვა გაზაფხული, რამდენი ათასი ბავშვი დაამთავრებს სკოლას და მიაკითხავს უმაღლეს სასწავლებელს, იქნება ამ ჩემმა გახსენებამ რითიმე დახმარება გაუწიოს ახალგაზრდას თავისთავის პოვნაში, მაშინ ბატონ ეროსი მანჯგალაძის მრავალ სიკეთეს, რომელსაც ასე უხვად ურიგებდა სხვებს, სიკვდილი არ უწერია და ალბათ, ეს არის თვით მისი უკვდავება.

«ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა»
(ნოდარ (ბიჭიკო) ჩხეიძის გახსენება)

რამდენიმე თვის წინათ რადიოთი მოვისმინე ნოდარ (ბიჭიკო) ჩხეიძისადმი მიძღვნილი გადაცემა. მე მას პირადად ვიცნობდი. ამიტომ გადავწყვიტე, ზოგიერთი ჩემი მოგონება გავუზიარო დღევანდელ თაობას, რომელმაც ძალზე ცოტა რამ იცის ამ შესანიშნავი მსახიობისა და ადამიანის შესახებ.

1947 წელს ნოდარის მამა, ჩვენი საყვარელი პოეტი გიორგი ქუჩიშვილი (ჩხეიძე) გარდაიცვალა. იმ დღეებში რუსთაველის თეატრში გადიოდა პიესა, რომელშიც ნოდარი მხიარული მეზღვაურის როლს ასრულებდა. სამწუხაროდ, წარმოდგენა არ შეცვალეს, რადგან მას რუსეთიდან ჩამოსული სტუმრები უნდა დასწრებოდნენ. ნოდარს კი ამ როლში შემცვლელი არ ჰყავდა.

ნოდარ (ბიჭიკო) ჩხეიძე

საღამოობით შვილი მამის ცხედართან იდგა და სამძიმარს იღებდა, ხოლო შემდეგ თეატრში მიდიოდა და მხიარული მეზღვაურის როლს თამაშობდა. მახსოვს, ამ ამბით შეწუხებული ბადრი კობახიძე ამბობდა: «ბიჭიკო სცენაზე როცა მღეროდა, მისი მეგობრები და პარტნიორები კულისებში ვტიროდით». ყველა მისი მეგობარი აღშფოთებული იყო, რომ სპექტაკლი არ შეცვალეს. თვითონ კი იდგა თავჩაღუნული და ერთი საყვედურიც არ დასცდენია. თითქოს ჯიბრზე, მთელი ოთხი დღე ზედიზედ ეს პიესა გადიოდა.

1948 წელია. ეკრანზე გამოვიდა «ქეთო და კოტე». მთელი თბილისი «გინდ მეძინოს» ისმენს თემო ნაცვლიშვილისა და ნოდარ ჩხეიძის შესრულებით. ნოდარს მოცლა არ ჰქონდა, ყველა ვაჟთა და ქალთა სკოლა სწორედ მას იწვევდა გამოსაშვები საღამოს დასადგმელად. თხოვდნენ, ეხვეწებოდნენ: «ფიგარო იქ, ფიგარო აქ» ... ერთ-ერთი ასეთი შესანიშნავი საღამო ჩატარდა ჩემი მეგობრის სკოლაში. სამი დღის შემდეგ ეს გოგონა და მე საღამოზე შემოსული თანხით ხელში ნოდარს შინ ვეწვიეთ. ოთახში მისი უახლოესი მეგობარი გივი ძნელაძე დაგვხვდა. გოგონამ დიდი მოკრძალებით ნოდარს კონვერტი

მიაწოდა. ერთხელ კიდევ ბოდიში მოუხადა და უნდა მოტრიალებულიყო, რომ მასპინძელმა დაგვადევნა: «მე მაგ ფულს არ ავიღებ და საერთოდ, მე მხოლოდ ჩემი სურვილით ვაკეთებ ამ საღამოებს და არა ანგარებით». გოგონას თვალებზე ცრემლი მოადგა, დაიბნა. ნოდარს შეეცოდა და უთხრა: «თუ მაინცდამაინც დაგაბარეს, აუცილებლივ გადმოგვცე ეგ თანხა, აი, ამ ჩემს მეგობარს მიეცი, მას უფრო ეკუთვნის». გოგონამ სწრაფად ჩაუდო გივის ხელში კონვერტი და ორივე გამოვედით გარეთ, თანაც გაუკვირდა: «ეგ ახალგაზრდა სულ ორჯერ მოჰყვა ნოდარს, ათ-ათი წუთის განმავლობაში გვიჩვენა რაღაც მიზანსცენა, მეტი არ გვინახავს და ნოდარი ასე რატომ მოიქცა?» მე ვუთხარი: «სხვაგვარად არ შეეძლო, იცის, რომ მისი მეგობარი გაჭირვებაშია, დახმარება სჭირდება, მას მიეცა საშუალება და რაინდულად მოიქცა». ამ სიტყვების დამთავრება ვერ მოვასწარი, რომ პირველი სართულის კიბეებზე დაგვეწია ნოდარის ბიძაშვილი კაკი რამიშვილი (შემდგომში ცნობილი მხატვარი) და კონვერტი უკან დაგვიბრუნა, თან სხაპასხუპით მოგვაყარა: «ბიძია გივიმ თქვა, ნოდარმა გასამრჯელო არ მიიღო და მე რა შუაში ვარ, დიდი მადლობა, მაგრამ უმჯობესი იქნება, მაგ თანხით თქვენი სკოლის ბავშვებს დაეხმაროთ, რითაც ჩვენც დიდად კმაყოფილნი დაგრჩებით». კაკიმ ისე სწრაფად აირბინა კიბეები, რომ სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარით.

1954 წელს, გიორგი ქუჩიშვილის გარდაცვალებიდან მეშვიდე წლის თავზე (ამ დროს პედაგოგად ვმუშაობდი) სკოლაში მოვაწყვეთ პოეტის ხსოვნის «დილა» და მოვიპატიჟეთ მისი ერთგული მეგობარი და სათნო მეუღლე ვასასი რამიშვილი _ ჩხეიძე. მან ჩვენს პატარებს ძალზე თბილი, სამადლობელი წერილი გამოუგზავნა, _ ბოდიშს იხდიდა, შეუძლოდ ვარ, ვერ დავესწრებიო და ბავშვები ბინაზე მიგვიპატიჟა. ჩვენც არ დავაყოვნეთ და ვესტუმრეთ. მთელი ოჯახი შინ დაგვხვდა: ვასასი, ციალა (ქალიშვილი), ნოდარი, ნოდარის ვაჟი, მაშინ ალბათ, მე-5-6 კლასის მოსწავლე – თემურ ჩხეიძე (დღეს ცნობილი რეჟისორი) და მასთან ძმასავით შეზრდილი კაკი რამიშვილი, რომელიც შემდგომში, წლების მანძილზე თემურთან ერთად მოღვაწეობდა თეატრში. სამწუხაროდ, იგი უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან. მაგრამ ეს შემთხვევა იქ მყოფთ სხვა მხრივ დაგვამახსოვრდა, სახელდობრ: ერთმა მოწაფემ ხმამაღლა დაიწყო იმ ლექსის კითხვა, რომელიც ძალიან უყვარდა ნოდარს და შესანიშნავადაც კითხულობდა. მეორე სტროფის შემდეგ ბავშვი შეფერხდა და წამოწითლდა. მაშინ ნოდარმა ხელში აიტაცა, შუბლზე აკოცა და თავისებური რიხით თვითონ დაამთავრა ეს ლექსი. შემდეგ ბავშვებმა ცეკვა გააჩაღეს, საერთო მხიარულებაში ნოდარი ფანჯრისკენ მიბრუნდა. შევნიშნე, თვალზე ცრემლს იწმენდდა. ეს იყო სინანულისა და ამავე დროს, სიხარულის ცრემლი. მას ახარებდა, რომ საყვარელი მამის სახელი ცოცხლობდა. შვილისთვის ამაზე მეტი ბედნიერება რა უნდა ყოფილიყო.

და აი, გარდაიცვალა ნოდარის დედა, უსათნოესი და უსაყვარლესი მანდილოსანი «მამიდა ვასასი» (როგორც ჩვენ მას ვეძახდით). მაშინ სამგლოვიარო განცხადებებზე მკაცრი რეგლამენტი იყო დაწესებული. სამძიმრის გაზეთში გამოქვეყნება მხოლოდ ოჯახის წევრებს შეეძლოთ. ნოდარს დედა საოცარი სიფაქიზით უყვარდა, მაგრამ ისე იყო გამშრალი, ტირილსაც ვერ ახერხებდა. პანაშვიდის დღეს გაზეთით ხელში შემოვიდა კაკი რამიშვილი და გაზეთი ნოდარს მიაწოდა. ნოდარმაც წაიკითხა. გაზეთი ხელიდან გაუვარდა და ... ცრემლები წასკდა... ნანატრი ცრემლები ... აი, რა ეწერა გაზეთში «შვილები დოდო აბაშიძე და გივი ძნელაძე იუწყებიან დედის _ ვასასი რამიშვილი-ჩხეიძის გარდაცვალებას». ამ ფაქტმა ყველანი შეგვძრა: ორივე მათგანს იმ დროისთვის ხომ საკუთარი დედები ცოცხლები ჰყავდათ.

ახლა ჩვენს შორის აღარც ნოდარია და აღარც ბადრი. აღარც გივი და არც დოდო. მათ კაცურად იცხოვრეს ამ ქვეყანაზე. დღევანდელმა ახალგაზრდობამ კი, სამწუხაროდ,

ძალზე ცოტა რამ იცის თავის სახელოვან წინაპრებზე. ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ ეს მცირე მოგონება ამ ხარვეზს ოდნავ მაინც შეავსებს.

ნათელა ყიფიანი: შევყურებ ახალგაზრდობას
და ვამბობ: «კიდევაც დაიზრდებიან. . .»

დამსახურებული პედაგოგი, შრომის ვეტერანი, ქალბატონი ნათელა ყიფიანი უზომოდაა შეყვარებული ხელოვნებაზე. მას არაერთი შემოქმედებითი საღამო გაუმართავს და ახალგაზრდები ჭეშმარიტ ხელოვნებას უზიარებია.
ქალბატონი ნათელა მოგონებებით ცხოვრობს. მის სახლში უამრავი წიგნი, წერილი თუ ნივთია თავმოყრილი, რომლებიც მას ახალგაზრდობაში აბრუნებს. იგი ამაყია იმით, რომ თავისი ულამაზესი წლები სწორედ ამ პროფესიას, _ პედაგოგობას შეალია. იგი ამავე დროს, იხსენებს დიდ მსახიობს, დოდო აბაშიძეს და მასთან გატარებულ დღეებს. სათნო, თბილი, დახვეწილი ქალბატონი ჟურნალ «ქარავანს» სხვა ბევრ საინტერესო ისტორიასაც უყვება.

_როგორ გაიცანით დოდო აბაშიძე?

_ჩემმა მეგობარმა ლია რამიშვილმა მითხრა, დღეს მამიდაჩემი ფელამუშს აკეთებს, ბევრი საინტერესო ადამიანი მოიყრის თავს და წამოდიო. მეც დავთანხმდი და იანვრის სუსხიან, თოვლიან დღეს, მის მამიდას ვესტუმრეთ. ჩვენ, 17-18 წლის გოგონები, თოვლის ფანტელებით თმადამშვენებულები მხიარულად შევიჭერით ოთახში. იქ დაგვხვდნენ: გოგი გეგეჭკორი, გივი ძნელაძე, ბადრი კობახიძე. დანახვისთანავე მაშინვე

ფეხზე წამოდგნენ, ხოლო დოდო აბაშიძე (რომელიც იმ დროს თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი იყო) «ჯორკოზე» იჯდა, მანაც მოინდომა ადგომა, მაგრამ პატარა სკამმა ვეღარ გაუძლო ამხელა «ტვირთს», გადატრიალდა და დოდო გადავარდა.

ვასასი მამიდა (ასე ვეძახდით ლიას მამიდას) მაღალ ნახშირის ღუმელზე დადგმულ დიდ ქვაბში ადუღებდა თათარას. დოდოს ბადრი კობახიძემ უთხრა: «რა იყო, ბიჭო, ეს 47 ზომა «ბათინკები» კინაღამ ამ მშვენიერ გოგონას რომ მოარტყი, არ გრცხვენიაო?» ამას გოგი გეგეჭკორის რეპლიკა მოჰყვა: «აბაშიძე მაინც არ იყო, მოგვჭერი თავი და ესაა». ვასასი მამიდამაც არ დააყოვნა და დაამატა: «მერე ვის წინ? თავადის ასული ნათელა ყიფიანის წინ». დოდომ ბოდიში მოიხადა და ბუზღუნით თქვა: «რაა, ეს ასე პარკეტის გაპრიალება როგორ შეიძლება? ჯორკო კი არა, მე ვერ დამიდგამს ფეხი, წაიქცევა აბა რა იქნება». ყველამ გულიანად გავიცინეთ, მხოლოდ დოდო იდგა დატუქსული ბავშვივით, მერე მოუბრუნდა ვასასი მამიდას და საყვედურ-იუმორის კილოთი უთხრა: რას შვრება ეგ ქვაბი, თათარა არ მოიხარშა? ვასასის უთქვამს დოდოსთვის, რომ თათარამ «ფურთხვა» უნდა დაიწყოს და მაშინ იქნება მზადო. 10 წუთი გავიდა და უცებ გვესმის დოდოს ბუხუნა ხმა: ვაშა, თათარა «იფურთხება», მოიტანეთ ჯამები, პირველი მე ვარ, პირველიო.

დოდო იყო გულიანი, იუმორით, სიყვარულით სავსე ადამიანი.

_ იქნებ გაიხსენოთ დოდო აბაშიძესთან დაკავშირებული სხვა ისტორიებიც ...

_ მე და ლიამ დავამთავრეთ პედაგოგიური სასწავლებელი და სრულიად ახალგაზრდები შევებით რთულ და საპასუხისმგებლო პროფესიას – პედაგოგობას. მე თბილისის №85 სკოლაში ვმუშაობდი. იმ დროს დოდო რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო. თეატრის აფიშიდან გავიგე, რომ რუსთაველის თეატრში «ოთარაანთ ქვრივის» პრემიერა იმართებოდა _ სადაც გიორგის როლს ახალგაზრდა მსახიობი დოდო აბაშიძე ასრულებდა. მოველაპარაკე უფროსკლასელებს და სპექტაკლზე წავიყვანე. მოსწავლეები კმაყოფილნი დარჩნენ.

მეორე დღეს მთელი კლასი მომადგა სამასწავლებლოში და მთხოვეს, პიესა «ოთარაანთ ქვრივის» გარჩევის საღამო მოგვეწყო. თან დაგვეპატიჟა მსახიობები, მათ შორის დოდო აბაშიძე. დოდომ გამიხსენა, იმ დღეს რა დამავიწყებსო, მითხრა და ხელი ჩამომართვა. ვუთხარი ჩემი იქ მისვლის მიზეზი და მითხრა: როგორ გეკადრებათ, მე რა დამსახურება მიმიძღვის საზოგადოების წინაშე, რაღაც ერთი როლი ვითამაშე, როგორ წარვდგე ბავშვების წინაშე. არა, ძვირფასო ნათელა, თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, დამწყები პედაგოგი ბრძანდებით. ცოტა მეც და თქვენც მოვიცადოთ, ჩვენ-ჩვენი საქმე ვაკეთოთ და ამის დროც დადგებაო.

ერთხელ მსახიობმა ვანიჩკა საყვარელიძემ დაინახა, რომ დოდო კინოსტუდიაში შედიოდა. მე ამომეფარა და მითხრა, ერთი წუთით ასე იდექით, არ მინდა დოდომ დამინახოს, მრცხვენიაო. ვკითხე: რაშია საქმე-მეთქი. მიპასუხა: ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ, დიასახლისს ვერ გადავუხადე სამი თვის ფული და სახლიდან მაგდებდა. ეს იცოდა საშა კუპრაშვილმა და ჰონორარის აღების დროს (ჰონორარს მასთან ერთად დოდოც იღებდა) უთხრა: უჰ! როგორ მეცოდება ვანიჩკა, მალე ალბათ გარეთ მოუწევს დაძინებაო.

დოდო შეშინებულა და უკითხავს: რაშია საქმეო? საშას მდგომარეობა აუხსნია. დოდოს აუღია ჰონორარი, მიუცია საშასთვის და უთქვამს: თუ ძმა ხარ, ჩემგან შეიძლება არ მიიღოს, აჰა, ეს ფული და ვანოს მიეციო.

კიდევ გავიხსენებ ერთ ისტორიას, რომელიც ბატონმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა მომიყვა დოდო აბაშიძეზე. «დიდოსტატის მარჯვენას» ვიღებდით, უამინდობის გამო გადაღებები გაჭირდა. გამოვიდოდა თუ არა ამინდი, გადაღებას ვიწყებდით. მოგეხსენებათ, დოდო ფილმში მამამზის როლს თამაშობდა. საკმაოდ რთული, ფსიქოლოგიურად დატვირთული როლი ჰქონდა. ერთ დღესაც დოდომ მთხოვა, თბილისში უნდა წავიდე, დედა მოვინახულოო. წვიმიანი დღე იყო და უარი აღარ ვუთხარი, დოდომ ისე თბილად მოიხსენია დედა, რომ იმ წამსვე დავთანხმდი. გზაზე დაინახა ქალი, რომელსაც არავინ უჩერებდა მანქანას. დოდოს გაუჩერებია და უკითხავს: რაშია, ქალბატონო საქმე? ქალს მოუყოლია. რომ მის 13 წლის შვილიშვილს ფეხბურთის თამაშის დროს მუცელი ასტკივებია და ოთხადმოკეცილი მიუყვანიათ სახლში, რომელიც სასწრაფოდ საავადმყოფოში იყო გადასაყვანი, საწყალ ქალს კი მანქანას არავინ უჩერებდა. დოდოს ჩაუსვამს ქალი მანქანაში, გაუვლიათ სახლში და ბავშვი საავადმყოფოში მიუყვანიათ. ბიჭს თურმე ბრმა ნაწლავის შეტევა მოსვლია. ლოცავდა დოდოს: იცოცხლოს მისმა გამჩენმა, ღმერთმა გამომიგზავნა მისი თავი, თორემ რა მეშველებოდა მე უბედურსო, ვერ იცნო თურმე.

_ როგორც გამოცდილი პედაგოგი, რა რჩევას მისცემთ ახალგაზრდებს?

_ დღევანდელი ახალგაზრდების ბირთვი ცუდი არ არის. იგრძნობა წიგნისადმი გულის აცრუება, მაგრამ ვფიქრობთ, ეს დროებითია. ეს დრომ მოიტანა. ვფიქრობ, აქ სკოლებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა თქვან თავიანთი სიტყვა. მე გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ, მართალია, მივუახლოვდი რვა ათეულს, მაგრამ ახალგაზრდობა ძალიან მიყვარს და მჯერა, მათი მომავალი ნათელი იქნება, ცოტა მოთმინება გვმართებს. ჩემი რჩევა ახალგაზრდებისადმი ასეთია: რაც უნდა სიძნელეები შეხვდეთ ცხოვრებაში, უკან არ დაიხიონ, ჰქონდეთ სურვილი, გახდნენ თავიანთი საქმის კარგი სპეციალისტები; იყვნენ ისეთები, როგორიც ჩვენ გვინდა იყვნენ, მიიღონ სრულყოფილი განათლება და გამოადგნენ თავიანთ ერსა და ქვეყანას. მე მწამს მათი. ჭკვიანი, ზრდილი თაობა მოდის. სწორედაც რომ გვეყოლებიან მომავალი ივანე ჯავახიშვილები, ვიქტორ კუპრაძეები ... რომელთა შარავანდედი გვიცავს სიავისგან. ჩვენ ყველანი იმედით შევყურებთ მათ და ვამბობთ: «კიდევაც დაიზრდებიან ... «

(ნინო ამირეჯიბი)
ჟურნალი «ქარავანი» 2006 წ.

აი, რა თქვა ბატონმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა ბატონ დოდო აბაშიძეზე

2000 წლის 3 ივნისს ბინაზე (მოსაშვილის №5) ვესტუმრეთ მე და ჩემი ძმისშვილი დიდ რეჟისორსა და სწორუპოვარ მამულიშვილს, ბატონ ვახტანგ ტაბლიაშვილს და მივულოცეთ დიდად საპატიო ჯილდო შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატობა.

ბატონი ვახტანგი და მისი სათნო მეუღლე ქალბატონი ანა წერეთელი (ცნობილი ბალერინა რესპ. დამსახურებული არტისტი, დღესაც ნინო ანანიაშვილთან მუშაობს მეთოდისტად ოპერაში) ქართული სტუმართმოყვარეობით შეგვხვდნენ და მადლობის

ნიშნად ბატონმა ვახტანგმა საკუთარი წიგნები (რომელიც დიდი ხანია მაღაზიის თაროებზე აღარ არის) «რეჟისორის მოგონებანი» და «ეპილოგი» თბილი წარწერით მისახსოვრა.

ჩვენ შორის საამო საუბარი გაიმართა. მისი მისაღები ოთახის ნაწილი კინოსურათ «ქეთო და კოტეს» და «დიდოსტატის მარჯვენის» სურათებით იყო მოფენილი, მაგიდაზე კი ალბომი იდო.

ბატონმა ვახტანგმა ალბომი მომაწოდა და მითხრა, რომ აქაც ბევრი საინტერესო სურათებია მსახიობებისა და შეგიძლიათ ნახოთო.

ვახტანგ ტაბლიაშვილი

მე, ალბომის დათვალიერების დროს ჩემი ყურადღება შევაჩერე ცნობილ ქართველ მსახიობ ბატონ დოდო აბაშიძეზე («დიდოსტატის მარჯვენიდან»), რამეთუ ბატონი დოდო ჩემი კუმირია და მივმართე ბატონ ვახტანგს თავისი პირუთვნელი აზრი გამოეთქვა მის შესახებ.

ბატონმა ვახტანგმა ცნობისმოყვარეობით შემომხედა და მკითხა:

_ რატომ მაინცდამაინც დოდოზე გაინტერესებთ ჩემი აზრი, აქ ხომ მთელი ვარსკვლავეთის კასკადია?

მე ავუხსენი, რომ ბატონ დოდოს დიდი ხანია პირადად ვიცნობ, მყავდა სკოლაში მოწვეული ბავშვების თხოვნით ფილმ «ბაში-აჩუკის» მონაწილეობის გამო აბდუშაჰილის როლის შესრულებისთვის.

ბატონი ვახტანგი დაინტერესდა და მთხოვა, მომეყოლა ეს როდის და სად მოხდა.

მე ვუპასუხე, თუკი მას ჩემი ნაამბობი არ გადაღლის. სიამოვნებით მოვუყვები.

მან ღიმილით მითხრა: _ «გისმენთ გულისყურით».

მეც დიდი მონდომებით მოვყევი, რომ ფილმ «ბაში-აჩუკის» გამოსვლის შემდეგ უფროსკლასელების დაჟინებული თხოვნა იყო, ისინი შემეხვედრებინა ამ ფილმის შემქმნელ კოლექტივთან, მსახიობებთან. ასეც მოვიქეცი. 1957 წელს დიდი ზარ-ზეიმით მოხდა ჩვენი შეხვედრა.

ბევრი კარგი, კეთილი სიტყვები იქნა მათ მიმართ თქმული, განსაკუთრებით ბატონი დოდო ააღელვა სურათმა როდესაც მე-5-6 კლ. გოგო-ბიჭები გამოვიდნენ მათ როლებში, იმ დროინდელ ფორმაში გამოწყობილნი. ბაში-აჩუკი, აბდუშაჰილი, პირიმზისა და მელანო განასახიერეს. უცბად ბატონ დოდოს წინ გაითამაშეს ჭიდაობის სცენა ბიჭებმა. არცერთი არ დამარცხდა და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ამ სცენამ ბატონი დოდო აღაფრთოვანა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, აღელდა, თვალზე ცრემლი მოერია, პატარა «ბაში-აჩუკი» და «აბდუშაჰილი» ხელში აიტაცა, გადაკოცნა და შესძახა: «კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი» და იქუხა დარბაზმა, ტაში, ოვაციები დიდხანს გაგრძელდა.

დოდო აბაშიძე აბდუშაჰილი, ფილმიდან
”ბაში-აჩუკი”

ბატონი ვახტანგი ნასიამოვნები დარჩა ჩემი ნაამბობით და აი, რა მითხრა მან.

_ მე დოდოს აღნაგობაში საქართველოს ძლიერებას ვკითხულობ, ასეთი მხოლოდ დიდი სულისა და ძლიერი ზნეობის ადამიანები არიან, რომელთაც სიცოცხლის ფეხვები ღრმად აქვთ გადგმული მშობლიურ მიწაში. ეს როგორც ადამიანზე, მოქალაქეზე, ხოლო როგორც შემოქმედზე, ვიცნობ რა მის შემოქმედებას და მქონია ბედნიერება მასთან მუშაობისა, ყოველთვის მაოცებდა როლის, ხასიათისა და მსახიობის საოცარი დამთხვევა. უმეტეს შემთხვევაში, რის გამოც მისი გმირები არიან რბილი, ადამიანური, მართალი. უყურებ მის როლებს: «სინათლე ჩვენს ფანჯრებში», «ფესვები», «რაჭა ჩემი სიყვარული», «ხევსურული ბალადა» და სხვა, გული გითბება, მისი შემხედვარე გინდა ბევრი, ბევრი კეთილი საქმე გააკეთო.

და ღმერთს შეჰღაღადო:

«ძლევა მეც ღმერთო!»

(ამ დროისათვის ბატონი დოდო ათი წლის გარდაცვლილი იყო, იგი გარდაიცვალა 1990 წლის იანვარში).

მე წამოვდექი, მივუახლოვდი ამ ღმერთისტოლა კაცს და შუბლზე ვეამბორე, მან ხელზე მაკოცა.

მე ვუთხარი _ ბატონო ვახტანგ, თქვენი ეს უმაღლესი შეფასება – ბატონ დოდოს ცაში ააფრენდა, ვარსკვლავებს ხელს შეახებინებდა! იცოდა თუ არა ეს მან?

ბატონმა ვახტანგმა კეთილად გაიღიმა და მითხრა:

_ არა, არ იცოდა, მაგრამ გრძნობდა და მისგანაც მოდიოდა ჩემთან სამაგიერო ...

მართლაც მასზე უკეთესად ვერ შეაფასებ (და არც ყველას ხვედრია ეს) და ვერ მოეფერები სანუკვარ მსახიობს, კოლეგას, ადამიანს, მეგობარს.

ბატონ ვახტანგის შეფასება ბატონ დოდოს მიმართ ყოვლისა და ყველაფრის მომცველია. სრულყოფილია, ეს ჩვენი დიდი მწერლების ენაა, უკვდავი და მშვენიერი.

ასეთივე უკვდავი და ლამაზია თვით ბატონ ვახტანგის ხანგრძლივი ცხოვრება (ამ დროისათვის 80-ს გადაცილებული გახლდათ).

არც ბატონ ვახტანგ ტაბლიაშვილს და არც ბატონ დოდო აბაშიძეს არ უწერიათ დავიწყება. ისინი ცოცხლობენ, არიან ჩვენთან და გვეხმარებიან სიცოცხლის ლამაზ აღქმაში.

დიდი მადლობა მათ!

ნათელა ყოფიანი (ფილოლოგი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, შრომის ვეტერანი)

რა უთხრა კონსტანტინე გამსახურდიამ ვახტანგ ტაბლიაშვილს ბელადის შესახებ

2000 წლის 3 ივნისს სახლში ვესტუმრე ცნობილ ქართველ რეჟისორს, ბატონ ვახტანგ ტაბლიაშვილს და მივულოცე დიდი ჯილდო _ შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატობა. მადლობის ნიშნად მან მისახსოვრა საკუთარი წიგნები «რეჟისორის მოგონებანი» და «ეპილოგი» თბილი წარწერით.

როდესაც ეს წიგნები წავიკითხე წავაწყდი ასეთ დიალოგს ბატონ ვახტანგსა და დიდ კონსტანტინე გამსახურდიას შორის.

_ თუ არ გამიწყრებით, თამამი კითხვით მინდა მოგმართოთ.

_ ბრძანე.

_ნაპოლეონი დიდი იყო თუ სტალინი?

გაოცებულმა შემომხედა, ასეთ შეკითხვას არ მოელოდა. არაფერი თქვა: განუყრელი სიგარეტით ნელა წავიდა უშველებელი კაბინეტის სიღრმეში, უკან დაბრუნდა, ხელში კალამი არ ეჭირა, მაგრამ აზრს ეჭიდებოდა და ხვეწდა ისე, როგორც ეს წერისას ხდება.

_სტალინი რომ არ მწამს, ამან არ უნდა გაგაკვირვოს, მაგრამ ნურც ის გაგაკვირვებს, რასაც ახლა გეტყვი.

სტალინი დიდი იყო ვიდრე ნაპოლეონი, გაცილებით დიდი. ბატონი კონსტანტინე გაჩერდა. კიდევ დიდხანს ჩაფიქრდა და უფრო დაბალი ხმით ნელა წარმოთქვა – ბევრი ასი წელი ჩაივლის, ალბათ, სანამ მსოფლიოს მისი მსგავსი პიროვნება მოევლინება (გვერდი 266).

ბრწყინვალე შეფასებაა, ვერაფერს უკეთესს ვერ დაუმატებს კაცი. რაც შემეხება მე _ დავიბადე და გავიზარდე სტალინის ეპოქაში. მიყვარს იგი და დღემდე ურყევად ვარ მისი თაყვანისმცემელი. ხაზგასმით ვიტყვი, აუცილებელია ბელადის ოფიციალური რეაბილიტაცია, თუმცა, ამის გარეშეც მრავალი ხალხისა და მათ შორის ჩემს გულში იგი ყოველთვის დარჩება დიდ და გენიალურ პიროვნებად.

ნათელა ყიფიანი
რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი
გაზეთი «ასავალ-დასავალი» 2000 წ.

ჩემი სოსო!

სოსო ხაინდრავას სახელი ქართველი მაყურებლისთვის უცხო არ არის და მოდი, მოვუსმინოთ თვით მას: «თეატრი ბავშვობიდან შევიყვარე. იმ დროიდან პიონერთა სასახლის დრამწრეზედაც დავდიოდი _ ამბობს სოსო. სკოლა რომ დავამთავრე, სწორედ

მაშინ რუსთაველის თეატრის სტუდიამ მიღება გამოაცხადა. მეც ვცადე ბედი და სამსახიობო ჯგუფში ჩავირიცხე. სტუდიაში მიხეილ თუმანიშვილი, დოდო ალექსიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე მასწავლიდა.



სოსო ხაინდრავა

ამის დამთავრების შემდეგ 10 უბრწყინვალესი წლები გავატარე რუსთაველის თეატრში. ვიყავი რეჟისორის ასისტენტად და მსახიობად.»

შემდეგ იყო კინო სტუდიაში მიწვევა, რეჟისორები ელდარ შენგელაია, დავით რონდელი, შოთა მანაგაძე სხვადასხვა ფილმებზე იწვევდნენ. ჰქონდა რუსეთის რეჟისორებთანაც სამუშაო. შემდეგ ტელევიზია, სადაც 35 წელი მონდომებით, შრომით, რუდუნებით თვალსაჩინო თანამშრომელი გახლდათ და ისეთი, როგორც დიდი საპასუხისმგებლო სამუშაოა – ტელევიზიაში «ოქროპირი» და აუქციონის თავკაცობას მხოლოდ მას ანდობდნენ. ასე მივიდა პენსიის ასაკამდე.

ახლაც, როცა ყველაფრისგან თავისუფალია ჩვენი სოსო, სახალისოდ, მონატრებულ სცენას უარს არ ეუბნება მიწვევაზე და ნ. დუმბაძის სახელობის საბავშვო თეატრში, 3-4 პიესაში ერთდროულად არის დაკავებული და არცთუ ცუდად, პირიქით, მისი თამაში, პროფესიონალიზმი, ახალგაზრდობისთვის მაგალითის მიმცემია.

ეს სოსოს მედლის ერთი მხარეა, მეორე როგორც ოჯახის თავკაცის, შესანიშნავი ოჯახი ჰყავს. შვილი დიდი ინტელექტი და ერუდიტი, ცოლი უცხო ენების პედაგოგია. სოსო ნათესავების გული და სულია. მხოლოდ იმის კითხვაშია, სულ ხომ ყველა კარგადაა, მერე მშვიდდება, როცა გაიგებს, რომ არავის არაფერი უჭირს. განსაკუთრებით მისი დის, დოდოს და დისშვილის დიტოს კითხვაშია. ჩემთვის სოსო, არა მარტო დისშვილი, უფრო მეტი, მეგობარი, ამხანაგი, თანამოზიარე და პატივისმცემელია.

აი, როგორია ჩემი სოსო. მისი სუფთა-ნათელი ცხოვრება ახალგაზრდებისთვის, ვინც ახლა იწყებს ცხოვრებას, მითუმეტეს ხელოვნებაში პირდაპირი მაგალითია, რომ ჩამოყალიბდნენ კაცურ კაცებად როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებით სფეროში.

«სიტყვის ძალა»

(შეხვედრა შალვა დადიანთან და ალექსანდრა ჯაფარიძესთან)

1959 წლის 5 მარტი დიდხანს ახსოვდათ 85-ე საშ. უფროსი კლასის მოსწავლეებს. ამ დღეს სკოლაში სტუმრად ელოდნენ ორ ცნობილ ადამიანს: მხცოვან მწერალს, დრამატურგს და საზოგადო მოღვაწეს ბატონ შალვა დადიანს და სპორტის დამსახურებულ ოსტატს ალექსანდრა ჯაფარიძეს.

ამ ორ სრულიად სხვადასხვა პროფესიის ადამიანს ჰქონდათ ერთი საერთო: მწერალმა დაწერა პიესა «თეთნულდი» (რომლის შესწავლა მეათეკლასელებმა ახლახანს დაამთავრეს) და (1933 წ. დაიდგა ეს პიესა ს. ახმეტელის ხელმძღვანელობის დროს, რომელიც წაღებულ იქნა მოსკოვში საგასტროლო რეპერტუარით).

შალვა დადიანი

ალპინისტი ქალის (ალექსანდრა ჯაფარიძის) ოჯახის წევრებმა კი პირველებმა დაიპყრეს თეთნულდი.

სკოლაში სამზადისი დიდი იყო: გამოუშვეს კედლის გაზეთის ორი სპეციალური ნომერი: «შალვა დადიანის შემოქმედებითი გზა» და «ქართველი ალპინისტების ბრძოლა მწვერვალთა დაპყრობისთვის».

ამ შეხვედრას წინ უსწრებდა ჩემი სტუმრობა ბატონ შალვა დადიანთან, რომელსაც მე და ორმა მოსწავლემ მოწიწებით გადავეცით ჩვენი მოსწავლეების თავმდაბალი თხოვნა, რათა თვითონ ფიზიკურად დასწრებოდა ამ ღონისძიებას, მობრძანებულიყო ჩვენთან.

ბატონმა შალვამ თავისი მადლიანი ღიმილით გაგვიღიმა, სავარძლიდან წამოიწია, ბავშვებს თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერა, მე კი შუბლზე მეამბორა. მერე სევდა ჩაუდგა თვალებში და გულდაწყვეტილმა გვითხრა: «მინდა, როგორ არ მინდა მოსვლა ახალგაზრდებთან, რომელთაც არ ავიწყდებათ აღა-მაჰმად-ხანის დროის მწერალი და მას შეხვედრას უწყობენ, მაგრამ ჯანი მღალატობს, თუ ცოტა უფრო უკეთესად ვიგრძენი თავი, აუცილებლივ გეხლებით». (მე გამაკვირვა ამ ბუმბერაზი ადამიანის უბრალო ცხოვრებამ _ ერთი დიდი ფარდაგგადაფარებული ტახტი, საშუალო ზომის მაგიდა ოთხი სკამით და ერთი დიდი ბუფეტი). დადგა სანატრელი საღამო. მოვიდა თეთნულდივით თმაგათეთრებული ქალბატონი ალექსანდრა ჯაფარიძე, მას თან ახლდა თავისი დისშვილი, კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის ცნობილი მსახიობი ტარიელ საყვარელიძე (ალექსანდრა არ იყო გათხოვილი და დასთან ცხოვრობდა სადგურთან ჩელუსკინელების (თამარ მეფის გამზირზე) ქუჩაზე. ტარიელს თან ჰყავდა თავისი ვაჟი, ასე 10-11 წლის ბუთხუზა ბიჭი, ამჟამად ცნობილი პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე).

ბატონმა შალვამ მანქანით რომ მივაკითხეთ, ბოდიში მოგვიხადა, ავადმყოფობამ იმძლავრა და ვერ გეახლებითო. სამაგიეროდ წერილი გადმოგვცა მოსწავლეების მისამართით, სათაური ასეთი იყო: «მალხაზებო, თქვენ გენაცვალეთ» (და თვით შინაარსი იყო სითბოთი და სიყვარულით გაჯერებული).

მიუხედავად ამისა, საღამომ საინტერესოდ ჩაიარა: მოსწავლე მედეა ბაჩილავამ დამსწრეებს მოუთხრო შ. დადიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ლ.

შაკიაშვილმა წაიკითხა მოხსენება «ქართული ალპინიზმის ფუძემდებლების ბრძოლის შესახებ მწვერვალთა დაპყრობისთვის».

ალექსანდრა ჯაფარიძემ და ტარიელ საყვარელიძემ ბავშვებს აჩვენეს დოკუმენტური სურათი, თუ როგორ დაიღუპა ალიოშა ჯაფარიძე თეთნულდზე შერკინების დროს (ეს ყველაფერი მოწყობილობა თვითონ მოიტანეს) რამაც დიდი, ემოციური შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვებზე.

დასასრულს, სიტყვით გამოვიდა ქალბატონი ალექსანდრა ჯაფარიძე, რომელმაც ახალგაზრდებს ბევრი საინტერესო რამ უამბო ალპინიზმის ისტორიიდან. მისი საუბრით თვალანთებული გოგო-ბიჭები საღამოს დამთავრების შემდეგ დიდხანს ვერ დაიშალნენ: უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ შთაბეჭდილებებს და არ მალავდნენ აღტაცებას ამ სათნო, დახვეწილ მანდილოსნის მიმართ, რომელმაც ათასგვარი ფიქრი და სურვილი გაუჩინა მათ მხურვალე გულებს.

მაგრამ მესამე დღეს რაც მოხდა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: დილით, როგორც კი შევედი სკოლის ეზოში, ბავშვების დიდი ჯგუფი შეგროვილიყო წერაქვებითა და ზურგჩანთებით და გამომიცხადეს: გვიშუამდგომლეთ ქალბატონ ალექსანდრა ჯაფარიძესთან, ვინმე გამოგვაყოლოს, «მყინვარზე» მაინც ვცადოთ ჩვენი ბედიო.

მე მყინვარის მაგივრად პიონერთა სასახლეში წავყევი და ქალბ. ალ. ჯაფარიძეს ალპინისტურ ჯგუფში ჩავარიცხინე გულანთებული ბიჭები.

ასეთია სიტყვის ძალა, (როდესაც საქმე გვაქვს კვალიფიციურ, ნამდვილ სპეციალისტთან), რომელიც გაჯერებულია მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით, საქმის ცოდნით და ერის სიყვარულით.

«21 საუკუნის საოცრება»

(ეძღვნება ახალგაზრდა ნიჭიერ მუსიკოსს ნიკა მემანიშვილს)

დიდ სითამამეში თუ არ ჩამომართმევთ, მინდა სრული გულწრფელობით შემოგთავაზოთ ჩვეულებრივი მაყურებლისა და მსმენელის ის დიდი, ზეაწეული შთაბეჭდილება, რომელმაც (კარგი გაგებით) შემძრა სულით-ხორცამდე. ეს იყო სახელოვანი კომპოზიტორის – გია ყანჩელის ცნობილი ნაწარმოებების (კინო და თეატრი) ნიკა მემანიშვილის საოცარი ახალი ჟღერადობის ინტერპრეტაცია – მისებური წვდომის სიღრმისეული უნარი და გაგება, რომელიც ახალგაზრდა კომპოზიტორს ბუნებით ფართოდ აქვს მომადლებული.



გია ყანჩელი

ცნობამ იმის შესახებ, რომ ჩვენი დედაქალაქის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარდებოდა ეს საღამო, ნაღმისებური სიძლიერით იფეთქა. მიუხედავად ბილეთების მაღალი ფასებისა, სრული ანშლაგი იყო. ხალხი საფეხურებზე იჯდა. დიდი იყო მუსიკის მოყვარულთა ინტერესი ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსის შეხებისა მსოფლიოში განთქმული გია ყანჩელის შემოქმედებასთან და მოუთმენლად ელოდნენ მის პულტთან გამოჩენას.

მაგრამ, რომ იტყვიან შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დიდი გამოცდა ახალგაზრდა მუსიკოს ნიკა მემანიშვილისა ხუთზე იქნა შეფასებული (მარტო ის, თუ რა ლამაზად იქნა ხელები ზევით აწეული). რაც მთავარია, თვით ავტორი დარჩა ეგზომ კმაყოფილი, მისი მადლიერი ღიმილი ხომ ამის დასტური იყო და იყო ...

ნიკასთვის და მთლიანად შემოქმედი კოლექტივისთვის, როგორც თავად აღნიშნეს, მართლაც ყველაზე დიდი და მთავარი ჯილდო იყო ის, რომ შრომა დაფასებულ იქნა, როგორც ავტორის, ისე ფართო აუდიტორიის მიერ _ ვაშა და დიდება მათ.

არც ადგილობრივ პრესას დაუკლია ქება-დიდება მათთვის.

ყველასთვის ხომ ცნობილია, რომ ხელოვანის, დიდი მაესტროს (ამ შემთხვევაში გ. ყანჩელის) სიცოცხლე სცენაზე თუ კინოში თავისი შედევრების შექმნის დროს არის ემოციებით დატვირთული მღელვარე დღეები, ოცნებით აღსავსე მოუსვენარი ღამეები, სიხარული აურაცხელი, წუხილი გაუმხელელი და ტკივილი გაუყუჩებელი.

მისი (ბ-ნ გ. ყანჩელის) სიცოცხლის ყოველი დღე მუსიკაში ახლის გამუდმებული ძიებაა, შემდეგ კი უთვალავ ადამიანის გულში ჩასახვა – მათი დაფიქრება, აღელვება, გამხნევება. . .

ამიტომ მუსიკოსის ხელოვნება ღრმად შთამბეჭდავი, ზემოქმედი, მოულოდნელობით აღსავსე უნდა იყოს. ასეც არის, მისი შემოქმედება სცილდება საკუთარი ქვეყნის ფარგლებს.

სწორედ ასეთ სისხლსავსე ზეაწეულ შემოქმედებას შეეჭიდა ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსი ნიკა მემანიშვილი და მის სასახელოდ უნდა ითქვას, ბრწყინვალედ გაართვა თავი და საერთო აღიარება, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ნიკა მემანიშვილი

ახალგაზრდა მაესტროს პულტთან ხელების ზეაწევით გამოსახული შემოქმედების დაწყება იყო საოცრად ემოციურად დატვირთული ლამაზი ჟესტი და მქუხარე ტაშმაც არ დააყოვნა, რასაც მოჰყვა სრული სიჩუმე, დარბაზი მზად იყო მოსასმენად. ორკესტრმა იგრძნო ახალგაზრდა დირიჟორის ხასიათის სიმტკიცე, ძლიერი ძალით გამსჭვალული შემოქმედება, რომელსაც საოცარი სიმსუბუქით ასრულებდა დირიჟორი პულტთან და თვითონაც (ორკესტრი) დიდი აღმავლობით პასუხობდა საოცრებად ქცეულ მაესტროს.

ეს იყო ზეიმი: კომპოზიტორის, დირიჟორის, ორკესტრის და მთლიანად შემოქმედი დასის, მისი მთავარი სოლისტის ქალბატონ ნატო მეტონიძის, ყველას, ყველას დიდი გამარჯვება (ქ-ნ ნ. მეტონიძეზე საუბარი ცალკე თემაა). ასეთი ზეაწეული განწყობილებით, შთაბეჭდილებებით სავსე გონებით დაყურსულნი ვტოვებდით თეატრის დარბაზს.

ყველა ერთ რამეში ერთნაირად დარწმუნდა – ამ საღამომ საბოლოოდ გვამცნო, რომ იშვა 21-ე საუკუნის საოცრება – მუსიკოსი ნიკა მემანიშვილის სახით, რომელიც სულ ახლო მომავალში მრავლნახულ მსოფლიოს, მუსიკის თაყვანისმცემელ საზოგადოებას, განცვიფრებაში მოიყვანს და ათქმევინებს: ვაშა, ვაშა, ვაშა საქართველო!

დიახ, ეს სწორედ ასე იქნება.

დიდი მოკრძალებით, მადლიერი მსმენელი
ნათელა ყიფიანი

ქალბატონო ლამარა!

ვინაიდან წილად მხვდა ბედნიერება და გაგიცანით შაბათს - 24 თებერვალს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, თქვენი ვაჟიშვილის ნიკა მემანიშვილის შემოქმედებით საღამოზე, გითამამდებით და გთავაზობთ ჩემს მოკრძალებულ

შეხედულებას ამ დიდებული საღამოს ირგვლივ, რომელიც მუსიკალურ სამყაროში მოვლენად იქცა და დაგვარწმუნა ქართულ სიბრძნეში, რომ «კიდევაც დაიზრდებიან... «

ყველამ კარგად ვიცით, რომ ამ დიდებული ტაძრის კედლებს ახსოვთ ათეული და ასეული წლების მანძილზე ქართველთა ნიჭის გაელვება და შემდგომ მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავების მოვლენა. სწორედ ასეთ შემთხვევას ჰქონდა დღეს ადგილი აქ, გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას.

პირველ რიგში თვალშისაცემი იყო ამ ახალგაზრდების მაღალი პროფესიული დონე, სადაც მკაფიოდ და ორგანულად გამოვლინდა ქართული მუსიკის ეროვნული ხასიათი.

აქ ნათლად ჩანს მუსიკის ხალხურობის თვალსაზრისი და ამტკიცებს იმას, რომ ნამდვილი პროფესიული ხელოვნება ეროვნული ნიადაგიდან იღებს სათავეს.

ახალგაზრდა მუსიკოსმა ნიკა მემანიშვილმა ხომ ქართული მუსიკის პროფესიული საწყისები ბუნებრივად დაუკავშირა თანამედროვე მუსიკალური აზროვნების იმ პროგრესულსა და სისხლსავსე ნაკადს, რომელიც ნათელი მომავლისკენ არის მიმართული, რაშიც ადვილად რწმუნდება დარბაზში მყოფი მსმენელი და იმედით სავსე ტოვებს მას.

მე აქ მოწმე გავხდი იმისა, რომ ნიკა მემანიშვილი ახალი ჟანრის მუსიკალურ ნაწარმოებების შექმნასთან ერთად ღრმად წვდება წარსულსა და თანამედროვე ქართული ფოლკლორის საფუძვლებს და გვაძლევს შესწავლისა და დამუშავების მკაფიო ნიმუშებს (მაგ: «შატილი»). ეს გვაძლევს იმედს, რომ მომავალში ნიკა მემანიშვილის რედაქტორული მოღვაწეობა, შეუნარჩუნებს ქართველ ერს ეროვნულ, ხალხურ, მუსიკალური კულტურის მარგალიტებს.

მისმა შემოქმედებითმა ინტუიციამ და მოქალაქის სწორმა პოზიციებმა სიცოცხლე შთაბერეს მუსიკოსის თვითმყოფად შემოქმედებას, რომელიც მშობლიური მუსიკალური კულტურის თვალსაჩინო შენაძენია (მაგალითად, ქალაქური, თბილისური მოტივები).

თავისი მაღალი ღირსებებით არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს ახალგაზრდა მუსიკოსის საფორტეპიანო ნაწარმოებები, (რომელთაც შედარებით ნაკლები დრო დაუთმო ნიკა მემანიშვილმა) (მაგ. ვალსი და სხვ.). ახალგაზრდა მუსიკოსი ნიკა მემანიშვილი ბუნებით ინტერნაციონალისტია, თავისუფალი და ლაღი, მისი და უნიკალური მუსიკოს-ფლეისტის დათო ოძელაშვილის (ეს ცალკე სასაუბრო თემაა) დიდი დამსახურებაა მათი მუსიკალური ორკესტრის მთლიანი შემადგენლობის გაგება-სოლიდარობა, ნიჭი და შთაგონება, ესთეტიკური დახვეწილობა და არტისტული შემართება, რომელსაც დაწყების წუთიდან, ორი საათის განმავლობაში მონუსხული მაყურებელი, მსმენელი თავის ტყვეობაში ჰყავს და უდიდეს, განუზომელ სიამოვნებას ანიჭებს.

ამაღლებული განწყობილებით და სულიერად განწმენდილ მსმენელს მქუხარე ტაშის გრიალში ატოვებინებს დარბაზს, რომელსაც გულში აფიქრებინებს გრიგოლ ორბელიანის ბრძნულ სიტყვებს: «მიეცი ნიჭსა გზა ფართო.....»

ასეც იქნება. ნიკა მემანიშვილი მუსიკის სამყაროში ახალი მოვლენაა და მისი სახელი ქართული კულტურის დიდება და სიამაყე იქნება 21-ე საუკუნეში. ამიტომ დაბლა გიხრით თავს, ქალბატონო ლამარა, გმადლობთ, რომ ჩვენს ქვეყანას აჩუქეთ ნიკა მემანიშვილი.

პატივისცემით ნათელა ყიფიანი, პედაგოგი,
პერსონალური პემსიონერი,
2001 წ. 24 თებერვალი, ღამის 22 საათი

პოეზიის დედოფალი!
(ანა კალანდაძე)

დიდი, დიდი ხნის წინ ჩემმა მოსწავლეებმა მთხოვეს ანა კალანდაძესთან შეხვედრა.

მეც არ დავაყოვნე და ორი აქტიური მოსწავლით ვაჟა ფშაველას ვგონებ 16-ში (ზუსტად აღარ მახსოვს, დასაწყისი რომ იყო, მახსოვს) მივადექით თაიგულებით ხელში ანა კალანდაძის კარებს.

კარები თვითონ ანამ გაგვიღო, იმ წუთში მიხვდა, ჩვენი სტუმრობის მიზეზს და ღიმილით შეგვიპატიჟა. მე მოვახსენე ქალბ. ანას, რომ ჩვენი სკოლა მდებარეობს 26 კომ. რაიონში, ეს ბავშვები ფაბრიკა-ქარხნების მშრომელი ხალხის შვილები არიან. მათ მშობლებს არ აქვთ საშუალება ისეთი «ფუფუნების», ბავშვები კინო-თეატრში, მუზეუმებში და ლიტერატურულ საღამოებზე ატარონ და მე ვცდილობ და ვიწვევ სკოლაში საინტერესო (ბავშვების თხოვნის მიხედვით) ხელოვან ხალხს, პოეტებს, მწერლებს. ირაკლი ციციშვილიც (საბჭოთა კავშირის გმირი) კი მოვიპატიჟეთ, ძალიან საინტერესო შეხვედრა გამოგვივიდა, როგორც თქვეს მოწვეულმა სტუმრებმა და მასპინძლებმა _ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახით.

აი, დღეს კი ქალბატონო ანა არჩევანი თქვენზე შეაჩერეს ამ თვალხატულა გოგო-ბიჭებმა და იმედია, უარით არ გაგვისტუმრებთ.

ანამ გაიღიმა და გვითხრა: მე მიყვარს ახალგაზრდობა, მათთან შეხვედრა (არც თუ ისე იშვიათია ჩემს ცხოვრებაში) და ამაზე უარს როგორ გეტყვით.

თარიღზე შევთანხმდით, თაიგულებისთვის მადლობა გადაგვიხადა და ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

დათქმულ დღეს ჩვენი სკოლა გადაჭედილი იყო ხალხით (მოსწავლე-ახალგაზრდობით. მშობლებით, პედკოლექტივით, რაიონული ხელმძღვანელობით).

ყველას ძალიან უნდოდა ახლოს ენახა პოეზიის ღმერთი. ქალბატონი ანა გაბადრული სახით და დიდი ჩანთით დატვირთული მობრძანდა ჩვენს სკოლაში.

ლოტბარი ბიძინა წულაძე სკოლის გუნდით შეხვდა კარებთან, რომელმაც მშვენივრად შეასრულა ს. მირიანაშვილის სიმღერა (შეცვლილი ვარიანტით «ისევ ის გოგო ხარ, ხუჭუჭა პატარაო»). ანას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ეს იყო ბიძინას სიურპრიზი. ანამ ყველას დიდი მადლობა გადაუხადა ასეთი თბილი შეხვედრისთვის და სკოლის ბიბლიოთეკას გადასცა თავისი წიგნები, სხვადასხვა დროს გამოცემული იაკობ გოგებაშვილის «დედა ენა» და ჟურნალი «ჯეჯილი».

ბავშვების კითხვაზე, თუ რას უსურვებდა მათ ცოცხალი ლეგენდა ქალბატონი ანა, მან უპასუხა: არ არსებობს უნიჭო ბავშვი, მაგრამ ამ ნიჭს ვინც შრომას შეუერთებს, აუცილებლივ მიაღწევს მიზანს _ ისე ნიჭი უშრომლად არაფერია. იცოდეთ ეს. ტაშის გრიალში დაიფარა მისი სიტყვები.

მერე გაიმართა მოსწავლეთა თვითშემოქმედების დემონსტრირება. იყო შეჯიბრი ანას ლექსების უკეთ გამოთქმაში, ხოლო ვანო ქსოვრელის ცეკვის ანსამბლმა მოლოდინს გადააჭარბა, ისეთი კარგები იყვნენ ჩვენი მოსწავლე გოგო-ბიჭები, ბოლოს ანას დაეთმო სცენა. იგი დინჯად, ნათელი ღიმილით კითხულობდა ლექსებს და ბავშვები ერთად ამთავრებდნენ: «ლამის სახლში შემოიჭრას თუთა . . .» და ბავშვებმა ერთხმად იქუხეს «ლამის თავზე გადამისვას ხელი». ეს იყო დიდი, ამაღლებული ზეიმი 85-ე საშუალო სკოლის კედლებში.

თუთა

ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
ლამის თავზე გადამისვას ხელი. . .
დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ
ხე მაღალი, ხე ზურმუხტის ფერი . . .
რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა!
რა ჩურჩული! დამდაგველი, მწველი . . .
ლამის სახლში შემოიჭრას თუთა!
ლამის წელზე შემომხვიოს ხელი!

«ქარი ქრის, ქარი ქრის...»

(პატარა ეპიზოდი დიდი
გალაკტიონის წარსულიდან)

იდგა 1945 წელი. მე სტუმრად ვიყავი გიორგი (ჩხეიძის) ქუჩიშვილის ოჯახში (რომლებიც მარჯანიშვილის №4-ში, მეოთხე სართულზე ცხოვრობდნენ) და კიბეებზე ჩამოვდიოდი. უცებ მომესმა პირველ სართულზე, კიბეებთან საუბარი, რომლის ცნობისმოყვარეობამ და ნაცნობმა ხმამ ადგილზე გამაშეშა და საუბარს ყური მივუგდე.

პირველი სართულის კიბეებზე, სადაც დიდი გალაკტიონი ცხოვრობდა, იმ ტერიტორიაზე ხელიხელგადახვეული ბატონი გიორგი ქუჩიშვილი და ბატონი გალაკტიონ ტაბიძე, ორივენი რაღაც ამაღლებული, აწეული ტონით ლაპარაკობდნენ. უცებ ბატონი გალაკტიონი მობრუნდა და გიორგის ასეთი სიტყვებით მიმართა: «ჩემო გიორგი, არ შემოდიხარ, არ შემოდიხარ! (თურმე ამაზე იყო ხმამაღალი ლაპარაკი) ერთი კუპლეტი წამიკითხე შენებურად, რიხიანად, მე რომ მიყვარს იმ ლექსიდან და გაგიშვებ».

გიორგიმაც არ გააწბილა მეგობარი და დაიწყო მართლაც რიხით, პათოსით (ორივე ნუნუას გავლენის ქვეშ იყვნენ, ალბათ).

«ვინც ეწვევა საქართველოს
საოცნებო სერებს,
სიმღერაც, რომ არ იცოდეს,
მაინც დაამღერებს.
საარაკო სილამაზე,
ხალხიც სასახელო,
მტერსაც კი მოინადირებს
ტურფა საქართველო!..»

«უფ, შენ გენაცვალე, ჩემო კარგო, რა მალამოსავით მოქმედებს ხოლმე ეს სიტყვები: «მტერსაც კი მოინადირებს, ტურფა საქართველო» რა ლამაზად არის ნათქვამი, ჩემო გიორგი, რაც კარგია, კარგია».
«ახლა ჩემო გალა, შენი ჯერია, აბა რით გამახარებ, რომელ ლექსს გაიხსენებ?» გალაკტიონს გაეღიმა და დაიწყო, რიხით, შემართებით თითქოს მის წინაშე მარტო მისი მეზობელი, მეგობარი გიორგი კი არ იდგა, არამედ გადაჭედილი დარბაზი უსმენდა:

ქარი ჰქრის!

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ,
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ ვპოვებ ვერასდროს ... ვერასდროს!
შენი მე სახება დამდევს თან

ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!...
შორი ცა ნისლიან ფიქრებს სცრის...
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის!

– და სულმოუთქმენლად ჩავიდა ბოლომდე.

მაინც მათქმევინე, ჩემო გიორგი, იცი შენ, რომ ეს ლექსი ჩემი სულია, ჩემი აღმაფრენაა. «

მერე ისევ ერთმანეთის პატიჟზე გადავიდნენ: გალაკტიონი თავის სახლისკენ, ხოლო გიორგი თავისისკენ. თან გიორგი ახარბებდა: «ავიდეთ, ჩემი ვასასი, სახელდახელოდ სუფრას გაგვიწყობს, (ხომ იცი გურულია, წამში იქნება ის, რაც გვაქვს ახლა სახლში) და ჩვენი საუბარი იქ გავაგრძელოთ». მაგრამ გალაკტიონი არ დაეთანხმა. «– რახან არ იშლი და არ შემოდიხარ, შევალ სახლში, ცოტას დავისვენებ, ცოტა დავიღალე, ბიძიკო, ცოტა». გიორგი მეგობრულად გადაკოცნა და შინ შევიდა.

ვიდექი ზემო საფეხურებზე (მართალია სხვისი ყურისგდება ცუდია, მაგრამ ეს ხომ ღმერთკაცის ტოლი კაცის ხმა იყო) და გულისფანცქალით ვუსმენდი, არ გამომრჩეს რამე-მეთქი, რომ მეორე დღეს ამხანაგებში «დამეტრაბახა» ორი პოეტის პაექრობის უნებლიე მოწმე ვიყავი და მათი ცოცხალი ხმა მესმოდა-მეთქი. არ იყო თუ სატრაბახო? – კი იყო, მით უმეტეს, გალაკტიონის პოეზიაზე შეყვარებული 16-17 წლის გოგონასთვის.

«მამყოფე შენთან»

1965 წლის 24 დეკემბერს ნავთლუღის სადგურის რკინიგზის კლუბში ჩატარდა გამოჩენილ ქართველ პოეტთან და საზოგადო მოღვაწესთან ბატონ ირაკლი აბაშიძესთან შეხვედრა. 26 კომ. სახელობის რაიონის მშრომელთა შეხვედრის საღამო მიძღვნილი მისი დაბადების 60 წლისთავისადმი.

ხალხით გაჭედილი დარბაზი გულმხურვალედ მიეგება თავის საყვარელ პოეტს, რომელიც ოვაციაში გადაიზარდა.

მე მქონდა სიტყვა მისი შემოქმედების შესახებ დავალებული. სიტყვა დავიწყე ლექსით, რომელიც ბატ. ირაკლის ძალიან უყვარდა.

«შენ მხოლოდ ერთად,
შენ მხოლოდ ერთად,
არ გწამდა ჩემგან ნაწილ-ნაწილი,
მაცოცხლე შენთვის,
მამყოფე შენთან,
მე კიდევ დამრჩა შემოსაწირი.»

პოეტი აღელდა, მომიახლოვდა, ხელი ჩამომართვა მადლობის ნიშნად და შუბლზე მეამბორა.

დღესასწაული გაგრძელდა ... გამოვიდნენ სხვებიც: მუშები, პედაგოგები, მოსწავლე-ახალგაზრდობა, მაგრამ თვით ბატონ ირაკლის გამოსვლა იყო თითქოს უჩვეულო, რაღაც ძალიან ლირიული, თბილი. მისმა იმჯერად წაკითხულმა ლექსებმა ააღელვა ხალხი, გაუთბო მათ გულები და თითქოს ერთ ადამიანად გააერთიანა, ყველა თვალანთებული და აღგზნებული ჩანდა, კიდევ და კიდევ სთხოვდნენ ბატონ ირაკლის წაეკითხა ლექსები და ისიც დაუზარებლად კითხულობდა, მას ეს ძალიან ბუნებრივად,



ირაკლი აბაშიძე

ჰაეროვნად გამოსდიოდა და ალბათ, ამით იყო გამოწვეული მისი ხალისი და შემართება, ხოლო როდესაც მისმა ბაგემ წარმოთქვა **«დედაო ენავ, «...** თითქოს ცა ჩამოინგრაო, ისეთი ტაშის გრიალი ატყდა.

ვფიქრობ, როგორც ჩვენ, მასპინძლებს, ისე ჩვენს სათაყვანებელ სტუმარს - ბატონ ირაკლის, ეს დღე მახსოვრობაში დიდხანს შემორჩება.

დარბაზს მისი გაშვება არ უნდოდა და მასაც ეძნელებოდა ჩვენთან განშორება. ასეა, როდესაც ორმხრივი სიყვარულია, ხალხს უყვარს ბატონი ირაკლი და მასაც უზომოდ უყვარს თავისი ერი, სამშობლო, ვითარცა დედა საფიცარი.

პ.ს. ბატონ ირაკლის ხალხის, სამშობლოს, ერის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის, ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ჩვენი საამაყო პოეტის შოთა რუსთაველის საფლავი სხვა მეცნიერებთან ერთად აღმოაჩინა წმინდა მიწაზე და მიიღო კიდევაც სახელმწიფოსგან შოთა რუსთაველის სახ. პრემია.

შემდეგ, როგორც ერისკაცი სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის ხელიხელსაგოგმანებ გამოცემას «ქართული ენციკლოპედია» და თავის ნიჭიერ თანამშრომლებთან ერთად დაიმსახურა «სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა» და ასე ვალმოხდილმა მოქალაქემ, პოეტმა, საზოგადო მოღვაწემ და ერისკაცმა დატოვა თავისი საფიცარი ქვეყანა, რომელსაც საქართველო ჰქვია.

85-ე საშუალო სკოლის მოსწავლეების, პედაგოგებისა და მშობელთა საზეიმო შეხვედრა ცნობილ მწერალ, დრამატურგ და დიდ პიროვნებასთან ბატონ ლევან პართენის ძე გოთუასთან

«ღონე ქვეყნისა ნიჭიერი და მხნე კაცია,
ნიჭიერ კაცთა უყოლობა ჰქმნის ერს
უღონოდ»

ბავშვებო, დამსწრე საზოგადოებავ!

როგორც იცით, დღეს ჩვენ ვხვდებით მწერალს, დრამატურგს, საზოგადო მოღვაწეს, გამოჩენილ პიროვნებას, ბატონ ლევან გოთუას, თავის სამშობლოზე, მის ყოველ მტკაველ მიწაზე უკიდეგანოდ შეყვარებულ ადამიანს, რომლის მარჯვენა არ იღლება და საოცარ, ხანდისხან დაუჯერებელ პირობებში ქმნის შედევრებს, გვიყვება მთელ საქართველოს იმერ-ამიერ. გვამდიდრებს, გვამაღლებს და სრულყოფისკენ გვიბიძგებს, რათა ჩვენც დავემსგავსოთ ჩვენს გამორჩეულ წინაპრებს: გვიყვარდეს მამული, ენა, სარწმუნოება, ვიყოთ მისი დამცველი და მტკიცედ ვიდგეთ მის სადარაჯოზე. ამისი ბრწყინვალე ნიმუშებია: «გმირთა ვარამი» ოთხტომეული, «მეფე ერეკლე», «დავით აღმაშენებელი» და სხვ.



ლევან გოთუა

ბატონმა ლევანმა თუ არა, მასზე უკეთ ვინ იცის, რა უმძიმესი იყო ჩვენი სიცოცხლე დასაბამიდან დღემდე, მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ მაშინ როდესაც უძლიერესი ეგვიპტე მოკვდა და კართაგენიც აღიგავა დედამიწის პირთაგან, ჩვენი პატარა საქართველო, მცირედი ერი არ მომკვდარა.

რამ გადაგვარჩინაო რომ ვკითხოთ დიდებულ მწერალს, იგი უყოყმანოდ გვიპასუხებს: «თამარის, ქეთევანის და დავით აღმაშენებლის დიდმა ზნეობრივმა სიმტკიცემო» და მართალიც იქნება, რამეთუ მის ისტორიულ რომანში «გმირთა ვარამი», რომელიც «ლიტერატურულ წრის» შეკრებაზე დამუშავებული გაქვთ და კარგად გახსოვთ, როგორ



არის აღწერილი დიდებული დედოფლის – ქეთევან წამებულის სურათი. სწორედ მისმა რწმენის სიმტკიცისთვის მტრისგან შანთით დამწვარმა და გაჩეხილმა გულ-მკერდმა სამშობლოს აღუზარდა სამშობლოსთვის, რწმენისთვის თავგანწირული მებრძოლი თმაქოჩორა ბიჭები, რომლებიც უყოყმანოდ სწირავდნენ თავს და საქართველოს დროშის ქვეშ სტოვებდნენ თავიანთ ჭაბუკურ სიცოცხლეს.

(იმ დროს სცენაზე გამოვიდნენ კოსტუმირებულ ფორმებში გამოწყობილი ლევან გოთუას ნაწარმოების მთავარი გმირები _ დავით აღმაშენებელი, თამარი, ქეთევანი, მეფე ერეკლე, თეკლა ბატონიშვილი, ბესიკი, ბერუჩა და სხვები. მათ სიმბოლურად გამოიტანეს იმდროინდელი დროშები, ბატონ ლევანის წინ დააფინეს მაგიდაზე და იმღერეს «ჩაკრულო»).

აღელვებული, თვალზე ცრემლმომდგარი ბატონი ლევანი ადგა, მივიდა და ყოველი მათგანი მამაშვილურად გადაკოცნა. ხოლო მე თავისი გულთბილი წარწერით წიგნი მისახსოვრა.

ბატონ ლევანს დიდი აღელვება (სიამოვნებისგან, რა თქმა უნდა) ემჩნეოდა, სული მოითქვა და მოსწავლე-ახალგაზრდობას მიმართა: «ძალიან მიხარია, იმედით მავსებს თქვენი ასეთი ინტერესი ჩვენი წარსულის მიმართ, მისი ისტორიის სიყვარული, გულით ვხარობ და ამ დარბაზიდან, რომელიც სავსეა ახალგაზრდობით, სილამაზით, საჩაუქით, იმედიანად მივდივარ, რომ «კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი».

დიდი, დიდი მადლობა ჩემი ასეთი დაფასებისთვის.»

ასეთი გახლავთ ჩემი მოკრძალებული აზრი ბატონ ლევან გოთუაზე, ადამიანზე, რომელიც უყვარს ხალხს, აფასებენ მას და სჯერათ მისი.

ნ. ყიფიანი
1964წ. 10 მარტი

«იმწიმნი» მოგონება
სოსო გრიშაშვილზე

ჩემი მოგვარე, დარბაისელი ქალბატონი მარიამ ყიფიანი, წარმოშობით ქვიშხეთელ ყიფიანთა გვარს ეკუთვნოდა და მისი ახალგაზრდობა იმ მიდამოებში გაუტარებია, რომელთა სახლში ხშირი სტუმარი ყოფილა ცნობილი ქართველი მომღერალი, სილამაზით განთქმული ქეთო ჯაფარიძე, მეგობრობა მარიამსა და მას შორის დღემდე გრძელდებოდა.

და აი, ერთხელ ქალბ. მარიამმა (ჩვენ ერთ სკოლაში ვიყავით პედაგოგად) შემომთავაზა წავყოლოდი სტუმრად ქეთო ჯაფარიძისა და სოსო გრიშაშვილის ახლადშექმნილ ოჯახში (საკმაო ხანდაზმულნი იყვნენ ორივე)

მე, როგორც თეატრის და მსახიობების, პოეტების და პოეზიის ტრფიალი (მით უმეტეს სოსო გრიშაშვილის პოეზიის) იმ წუთშივე დავთანხმდი და წავედით.

ბატონ სოსოს სახლ-კარი თავისთავად მუზეუმი გახლდათ და მათი მესვეურნი კი კეთილი მასპინძლები.

ბატონმა სოსომ დიდად მოილხინა, წაგვიკითხა (ჩვენი თხოვნით) «უჰ, რამდენი ქალია». «ხელთათმანი» თავისებური ღიღინით, განუმეორებელი ხმით და დიდი სიამოვნება მოგვანიჭა, შემდეგ ადგა, ხელი გაუწოდა ქალბ. ქეთოს და ინსტრუმენტთან მიიყვანა, რომელმაც ძველი რომანსები მოგვასმენინა. ქალბატონმა მარიამმა, ბატონ სოსოს სთხოვა ის კურიოზი მოეყოლა, მაშინ, მთელი მწერალთა კავშირის წევრები რომ გაამხიარულა.

სოსომ დაირცხვინა, მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, თავში მტრედები მყავდა და ხანდისხან ვაფრენდი, ახლა, უხერხულია ამ ქალიშვილთან, მაინც, რას იფიქრებსო?

ახლა ქალბატონმა ქეთომ სთხოვა, მიდი, მიდი, ეს «იმწიმნი სლუჩი» მოჰყევიო. მეც შევუერთდი მათ. ბატონმა სოსომ ხელები ასწია, თქვა ღიმილით: «ძალა ერთობაშიაო» და დაიწყო მოყოლა: ეს ჩემს სიჭაბუკეში მოხდა. კ.ოტე მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლს ვესწრები, მაშინ 5-6 მოქმედებიანი პიესები იყო, ხალხი ფოეში გამოვდიოდით, ვსეირნობდით, ნაცნობ-მეგობრებს ვხვდებოდით და თუ ვინმე ლამაზმანი გამოჩნდებოდა, ავღელდებოდით და უფრო ყურადღებიანნი ვხდებოდით.

ჩემი ყურადღება მიიპყრო ორმა ქალიშვილმა, განსაკუთრებით მარჯვენა მხარეს მდგომმა, ახლა რომ მკითხოთ რა ფერის იყო, ან რა ეცვა, არ მახსოვს, მახსოვს მხოლოდ მისი (ბოდიში მანდილოსნებთან) ფეხები, ჯიშიანი, ლამაზი, სიარულიც იმ დალოცვილს ისეთი ჰქონდა, თითქოს კაკაბი მიგოგმანებს და არა ქალიო. გული შემიქანდა რა. როდესაც დამთავრდა სპექტაკლი და გარეთ გამოვედი, ვხედავ ეს ქალიშვილები უკვე გარეთ არიან, ერთმანეთს დაემშვიდობნენ: ერთი მარცხნივ წავიდა «კიროჩნზე» (ახლანდელი მარჯანიშვილის მოედანი), მეორე ჩემს მიერ მოწონებული ქალიშვილი კი ხელმარჯვნივ, «ზემელისკენ» (ახლანდელი ელბაქიძის დაღმართი). მეც ავედევნე, შორიახლო, ნელა მივყვები უკან. აღმართი აიარა (ერთი ორჯერ გამომხედა, შემამჩნია, ფოეშიც დაჟინებით რომ ვუყურებდი) მიადგა ერთ მიწისპირა სადარბაზოს კარს, საკეტი გადაატრიალა და გაუჩინარდა. კარები დაკეტა, მე მივუახლოვდი და წავიკითხე გვარი _ მაჩაბელი.

გავედი გვერდზე, ამოვიღე პატარა უბის წიგნაკი, ამოვხიე ფურცელი და ექსპრომტად დავუწერე ორი სტრიქონი:

«მაგიჟებს შენი ფეხები
გადარეული დავიარები «

და კარების ქვევით შევაცურე. ქალბატონი მარიამი ჩაერთო, სოსო, იმ წუთში რომ ქმარი გამომხტარიყო, ხომ დუელი არ აგცდებოდაო.

სოსომ გაიცინა. იმას, რომ ქმარი ჰყოლოდა ასე ახალგაზრდას და ლამაზ ცოლს თეატრში მარტო არ გამოუშვებდა, ეგეც ვიფიქრე მაშინო. თანაც ჩემი ვინაობა დავმალე, არ მივაწერე ვინ ვიყავი, მაგრამ ემჩნევა მიცნო, მე ხომ ფოეში შალვა დადიანთან და გერონტი ქიქოძესთან ერთად ვსეირნობდი და სულ სოსო, სოსოვო მეძახდნენ, მესალმებოდნენ და ყურადღების ცენტრში ვიყავითო. ნამდვილად მიცნო იმიტომ, რომ ორი დღის შემდეგ მწერალთა კავშირში ჩემს სახელზე მოკლე ბარათი მოვიდა, როგორიც ჩემი იყო, ოღონდ შიგ სურათი იდო, მარტო ფეხები გადაღებული და ბარათი:

«თუ ფიზიკურად მე ვერ მეხები,
აჰა, მიიღე ჩემი ფეხები»

ჩავიჭერი, წავაგე, 1-0 იყო ლამაზმანის სასარგებლოდ.

«აჰა, მეხვეწეთ და მეც მოვყევი, რას იტყვის ეს ქალიშვილი, მრცხვენია აი».

ამაზე, რა თქმა უნდა, ყველამ გავიცინეთ. რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ცოცხალია სასიქადულო პოეტის ეს «იმწიმნი» მოგონება, ქალბატონი ქეთოსი არ იყოს

მიხეილ გელოვანი

1951/2 წლების დროს მომიხდა ცხოვრება მარშალ არჩილ გელოვანის ოჯახში. მათი ოჯახის ხშირი სტუმარი გახლდათ მიშა გელოვანი თავისი მშვენიერი მეუღლითურთ ქალბატონ ლუდმილათი.

ბატონი მიშა და მამაჩემი აკაკი ყიფიანი ადრეულ ხანაში სცენისმოყვარეთა წრეში თამაშობდნენ სპექტაკლებში და დიდი წარმატებაც ჰქონიათ. ბატონი მიშა გაჰყვა ამ პროფესიას და 1951 წელს უკვე ძალზე ცნობილი მსახიობი გახლდათ, ასრულებდა მარტო იოსებ სტალინის როლს მიხეილ ჭიაურელის რეჟისორობით.

მიხეილ გელოვანი-სტალინის როლში, "ბერლინის დაცემა"

დგებოდა 1952 წლის ახალი წელი. ბატონმა არჩილმა მე და თავის უმშვენიერეს მეუღლეს ქეთოს გვითხრა, რომ 1 იანვარს დაპატიჟებულები ვართ ბატონ მიშასთან _ 60 წელი უსრულდებაო.

და აი, 1952 წლის პირველ იანვარს 6 საათზე მივედით (მიშა გორკის ქუჩაზე ცხოვრობდა) ბატონ მიშასთან. (მიშას ბინას გაძლიერებული დაცვა იცავდა, რადგან დაბადების დღე იყო და სტუმრები ბევრი იყვნენ). ჩვენ რადგან ბატონ არჩილს ვახლდით, გაგვატარეს თავისუფლად. წვეულებაზე ბევრმა გამოჩენილმა ხალხმა მოიყარა თავი. ბატონი დავით გამრეკელი მობრძანდა მეუღლე ბუბუსიასთან ერთად და თან ახლდა ცნობილი მომღერალი კოზლოვსკი. ბალერინა დიდი თეატრიდან სიმონოვნა და სხვები. ბატონი მიშა ისე კარგად გამოიყურებოდა, რომ ყველამ აღნიშნა ეს ამბავი. ბატონ მიშას ესიამოვნა, რადგან მისი მეუღლე (მეორე ცოლი იყო) ლუდმილა ოცდაათი წლის გახლდათ და ისეთი ლამაზი იყო, მთვარესავით ანათებდა (ფილარმონიის მომღერალი სოლისტი იყო იმდროისთვის). ბატონ მიშას პირველი მეუღლისგან ჰყავდა ერთი შვილი გიორგი, რომელიც თბილისში ოპერისა და ბალეტის თეატრის რეჟისორი იყო, ხოლო მისი მეუღლე ახალგაზრდა ბალეტის სოლისტი (ძლიერი ბალერინა) ჩვენი ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვან ბალერინად ითვლებოდა. იმ წლებში ქალბატონ ევგენია გელოვანს თითქმის ყველა პარტია მიჰყავდა, განსაკუთრებით «ჟიზელში» იყო შეუდარებელი).

დავუბრუნდეთ დაბადების დღეს. ძალიან გვასიამოვნეს ბატონმა დავითმა და კოზლოვსკიმ, მშვენივრად შეასრულეს ცნობილი დუეტი «მხოლოდ შენ ერთს», აღმოჩნდა, რომ ესენი დიდი მეგობრები იყვნენ და ბატონი დავითი ხუმრობით «თიკანაძეს» ეძახდა (ვითომ კოზლოვსკი გადაკეთებული თიკანაძეაო, ხუმრობით რა თქმა უნდა) კოზლოვსკის არ სწყინდა და იძახდა შეიძლება ჩემი წინაპრები ქართველები იყვნენ, მაშ რატომ მიყვარს ასე ძალიან საქართველო და ჩემი «ძმა» დავითიო. ამაზე იყო სიცილი და ხუმრობა.

მე კიდევ ამ საღამოდან მახსოვს ბატონმა დავითმა თავისი სამადლობელი სადღეგრძელოში რომ ბრძანა:

«იცით, რა არის ჩემი გულისა და სულის ნატვრა? ჩემს სამშობლოში რომ მოვკვდე, ჩემს მიწა-წყალზე და დამასაფლავონ ოპერის ბაღში, ფალიაშვილისა და სარაჯიშვილის გვერდით» (ჩვენი დიდებული მომღერალი იმ დროისათვის დიდი თეატრის წამყვანი ბარიტონი გახლდათ).

მას პირველი ნატვრა აუსრულდა, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გარდაიცვალა აქ, თბილისში, ხოლო მეორე ნატვრა აუხდენელი დარჩა. იგი დიდუბის პანთეონის მიწას მიაბარეს. ეს შესანიშნავი საღამო ყველას დიდხანს, დიდხანს გვახსოვდა.

«გამორჩეული სიყვარული»
(თენგიზ არჩვაძე)

ბატონ თენგიზ არჩვაძის შესახებ («ხელოვნების კალენდარი» 1992 წ. ვკითხულობთ: «თენგიზ არჩვაძე ქართული თეატრისა და კინოს პოპულარული მსახიობია. იგი მუდამ პოულობს საშუალებას თავისი პიროვნული თვისებებით გაამდიდროს სცენური სახე. მუდამ ბოლომდე სწვდება გმირის შინაგან ბუნებას. მსახიობს აქვს შესანიშნავი

სცენური გარეგნობა, ხმა, ტემპერამენტი, რომელიც ემსახურება გმირის ხასიათს, მისი ბუნების სწორ გახსნას და წარმოჩენას. (გვ.86-87).

კი, ბატონო ვეთანხმები, ასეთია ბატ. თენგიზ არჩვაძე, უკეთესად ვერ იტყვის კაცი, მაგრამ მე მის შემოქმედებას ერთი წინადადებით შევაფასებდი: თენგიზ არჩვაძე სცენაზე და ეკრანზე კი არ თამაშობს (როგორც მსახიობი), არამედ ცხოვრობს, ნამდვილი ადამიანური ცხოვრებით და ამაშია მისი ხიბლი და წარმატება, ვფიქრობ, არ ვცდები.

კ. მარჯანიშვილის თეატრში მისი შესრულებით, გამოვყოფდი სამ როლს: 1) ალექსანდრე მეფე (ლ. გოთუას «გმირთა ვარამი»), 2) ავტორი (ი. ჭავჭავაძის «ასი წლის წინ»), ხოლო კინოდან: თამაზი («კეთილი ადამიანები», არსაკიძე («დიდოსტატის მარჯვენა», მუშნი ზარანდია («დათა თუთაშხია»). ამ როლების დრო, ასაკი, თვითშეგნება, მრწამსი აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისგან, ბატონი თენგიზი თავისი უშუალო შესრულებით გაჯერებთ, რომ სწორედ იმ დროის, იმ ეპოქის შვილია, მისი თამაში, გარდასახვა ისეთი ბუნებრივია, რომ გჯერა და სულგანაბული უსმენ მეფე ალექსანდრეს, ჭირგადახდილ ქვეყნის ბედზე ჩაფიქრებულ მეფეს და მასთან ერთად ორი საათი ცხოვრობ, განიცდი, გჯერა.

თენგიზ არჩვაძე ფილმში "შეხვედრა მთაში"

ავტორი ანუ ილია ჭავჭავაძე, როდესაც გამოდის სანთლებით ხელში, მოვიშველიებ ჯემალ მონიავას (მსახიობის) სიტყვებს, ჩვენ ვიყავით მოწმენი იმისა, რომ თენგიზი როლის დასრულების შემდეგ სანთლის ღვენთით დამწვარ თითებს ცივი წყლის ქვეშ იგრილებდა და სიმწრის ცრემლი ადგა თვალზე, რომ ადვილად ვერ იშორებდა რა მოხდება ეგ შანდალი რომ ჩააქრო ვეუბნებოდით ჩვენ, მაგრამ არა და არა, არ გვიჯერებდა და ყოველი სპექტაკლის შემდეგ ესეთი ტანჯვა ელოდა».

მესამე როლი რასპუტინი აბსოლუტურად სხვა ამპლუაა, მისი უხეში როხროხა ხმა, ტლანქი ნაბიჯები აშიშვლებდა იმ გარემოს, იმ ეპოქას. გზარავდა მისი მარტო შეხედვაც კი რუხ ანაფორაში ეშმაკის მოციქულს, რომ ჰგავდა. ამას ახერხებდა ღვთის ნებით ბოძებული ნიჭის წყალობით ბატონი თენგიზი და იმსახურებდა დარბაზში მსხდომ მაყურებელთა მხურვალე ტაშს. კინოში არჩვაძე - არსაკიძეა.

არსაკიძის როლის შესრულებაზე თუ მოვიშველიებ ბატონ ვახტანგ ტაბლიაშვილის (ამ ფილმის დამდგმელი რეჟისორის) შეფასებას ასეთია: «ვნეტარებდი ოთარ მეღვინეთუხუცესის მეფის იდეალური გამოძერწვით, ვასო გოძიაშვილის კათალიკოსის ზნეობრივი სისპეტაკით, თენგიზ არჩვაძის ინტელექტუალური არსაკიძით, არსაკიძის

დედის პატარა როლში დიდი ვერიკო ანჯაფარიძის მოთქმა-გოდებით, ლალი ბადურაშვილის ფხოვური შეუპოვრობით. ვნეტარებდი კ. გამსახურდიას სანუკვარ გმირთა მეტყველებით, ვნეტარებდი ბატონ კონსტანტინესთან დაახლოვებას მუშაობის პროცესში».

თუ ბატონი ვახტანგი ნეტარებასაა მიცემული, კერძოდ ამ ფილმის «დიდოსტატის მარჯვენათი» და მათი ხილვით ხარობს, მაშინ ჩვენ მუდმივი მაყურებელი თენგიზ არჩვაძის მრავალი როლების უბადლო შესრულებით ვხარობთ და ვხარობთ. განსაკუთრებით სასიხარულო და სასიამოვნო იყო ბატონ თენგიზ არჩვაძის ხანგრძლივი სიცოცხლე ეკრანზე მუშნი ზარანდიას უნაკლო შესრულებით («დათა თუთაშხია») და ჩვენ მიჯაჭვული ეკრანს ორი დიდი მსახიობის ბატონ ოთარ მეღვინეთუხუცესის და ბატონ თენგიზ არჩვაძის შერკინებას ვადევნებდით თვალს და აღფრთოვანებული ვიყავი მათი ნიჭის გამოვლენით, ინტელექტუალური მიდგომით ბატონ თენგიზის როლის მიმართ, ბუნებრივობით და სისადავით. ეს ისე უბრალოდ არ ხდება, ეს არის ღვთისგან ბოძებული ნიჭი, პლუს პასუხისმგებლობით მოკიდება როლისადმი და მაყურებლის, ხალხის პატივისცემა და სიყვარული. აი, ამას ყველაფერს ფლობს ბატონი თენგიზი და ამიტომ გვიყვარს გამორჩეულად.

დიდებულო ბანოვანო ქალბატონო მარიკა!
(ნათელა ყიფიანის სიტყვა მარიკა ბარათაშვილის იუბილეზე)

თუ დიდ სითამამეში არ ჩამომართმევთ, მინდა თქვენ მდიდარ არქივს ჩემი მოკრძალებული მოგონება შევთავაზო, რისთვისაც მცირეოდენი ოდისეა მოგვიწევს, რათა შვიდი ათეული წლის წინანდელი ამბავი შეგახსენოთ.

მე, ამ სტრიქონის ავტორი გახლავართ ნათელა ყიფიანი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ექს მეთოდისტი ესთეტიკის სახით, შრომის ვეტერანი და რამდენიმე მედლისა და სიგელების მფლობელი ხელოვნების ხაზით, რამეთუ 30 წლის მანძილზე მოსწავლე-ახალგაზრდობას ვაზიარებდი ისეთ ფაქიზ, აუცილებელ საქმეს, რასაც თეატრი, პოეზია, და საერთოდ ხელოვნება ჰქვია თავისიEფართო გაგებით, ბავშვის, მოზარდის სულიერების ამაღლებისთვის (ამას ისე ზოგადად გაცნობისთვის). ისე საქმე შემდეგში გახლდათ.

მე ვსწავლობდი ნული კლასიდანვე ს. ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე, იმდროისათვის სახელწოდებით, 29-ე საშუალო შრომის სკოლაში, რომლის დირექტორი გახლდათ ბატონი მინდელი (სახელი აღარ მახსოვს). ამავე სკოლაში სწავლობდა თქვენი ქალიშვილი ნანული – ლამაზი, ჭკვიანი, ვარდის ფურცელივით სათუთი და ნაზი.

ერთ დღეს (ნანული იყო პირველ კლასში, მე მესამეში) პატივცემულმა ნინო წულუკიძემ (ქართ. მასწავლებელმა) გამოგვიცხადა, რომ ამ კვირაში ჩვენი სკოლის საპატიო სტუმარი იქნება პოეტი ქალბატონი მარიკა ბარათაშვილიო. ისიც აგვიხსნა, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლის პატარა ნანულის დედაა და ნანულიმაც და თქვენც უნდა ისწავლოთ ეს ლექსებიო და დაგვირიგა თითო კუპლეტი ლექსებისა და გაგვაფრთხილა: იცოდეთ, არ შემარცხვინოთ, კარგად ისწავლეთო (ჩვენ ხომ პატარები ვიყავით I, II, III კლასის მოწაფენი). მე იმ დღემდე მეგონა, რომ ყველა პოეტი და მწერალი (შიო მღვიმელი, ეკატერინე გაბაშვილი, იაკობ გოგებაშვილი) მშობლებისგან ვიცოდით, რომ მკვდარი იყო.

შეშინებულმა ნინო მასწავლებელს ვკითხე, მკვდარი პოეტი როგორ მოვა-მეთქი? ნინოს გაეცინა, თავზე ხელი გადამისვა და დღესაც ყურში მახსოვს, მითხრა: მკვდარი კი არა, ის ისეთი ქალბატონია, 100 წელს იცოცხლებსო. ყველაფერი ასე კარგად აგიხდეთ, ძვირფასო ქალბატონო მარიკა, აი, ხომ ასრულდა 7 ათეული წლის წინ ნათქვამი და დღეს ასს წელს გილოცავთ სრულიად საქართველო. (თვითონ ნინო მასწავლებელი ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან)

უცბათ დარბაზში შემოიჭრა უფროსი პ/ხელმძღვანელი რობერტ ტურაბოვი და დაიძახა, მოდიანო: გაიღო დარბაზის კარი და ჩვენს დირექტორს (ვგონებ შალვა ერქვა) მინდელის გვერდით დაგინახეთ თქვენ, თეთრ კოსტუმში გამოწყობილი. კი არ მოდიოდით, მოცურავდით ვით ლურჯ ტბაზე მოცურავე თეთრი გედი, ამაყი, ლამაზი ყელმოღერებით დიდებული ქალბატონი. ამ წლების მანძილზე ყოველთვის თვალწინ მიდგას ეს მშვენიერი სურათი, თითქოს გუდიაშვილის ყალამს მოეხატოს და სული ჩაედგას. ჩვენ, ბავშვები აგვიყვანეს სცენაზე, დაიწყო თქვენი ლექსების დემონსტრირება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველას გვაჯობა ნანულიმ (მას ორკუპლეტიანი ლექსი ჰქონდა) ჩვენ თითო და ატყდა ტაში. თქვენ დარბაზში დაგაბრძანეს, სპეციალურ რბილ სავარძელში. თქვენი კეთილი ღიმილი ჩვენ, ჩიტებივით ათრთოლებულ ბავშვებს, გვამშვიდებდა და ვფიქრობდით, რომ ცუდად არ გამოგვივიდა.

შემდეგ თქვენ გთხოვეს სცენაზე, რათა თქვენი ლექსებით სიხარული მოგენიჭებინათ სიამოვნება გადაჭედილი დარბაზისთვის, სადაც იყო მოსწავლე-ახალგაზრდობა, აქტიური მშობლები და სკოლის პედაგოგები, მათი ტექპერსონალი.

ის საპირველმაისო «დილა» (ასე ერქვა ამ ღონისძიებას) დღემდე გუშინდელივით მახსოვს. მახსოვხართ თქვენ, სილამაზისა და სიდიადის განსახიერება. (მე როგორც ვიცოდი, მაშინ თქვენ იმავე ორჯონიკიძის ქუჩაზე ცხოვრობდით სკოლის ახლოს).

გავიდა წლები. 1950 წლის 21 ოქტომბერს კ. მარჯანიშვილის თეატრში შედგა პრემიერა «მარინე». ავტორი მ. ბარათაშვილი (დამდგმელი ჩხარტიშვილი, შატბერაშვილი). გავიდა 4 წელი და 1954 წელს რეჟისორმა სიკო დოლიძემ შემოგვთავაზა კინოფილმი «ჭრიჭინა» _ იგივე «მარინე» მ. ბარათაშვილისა.

1958 წლის 10 თებერვალს ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ გაგვახარა პრემიერით «მარინე» კ. მარჯანიშვილის თეატრში.

ყოველივე ამას დაწვრილებით იმიტომ ვიხსენებ, რომ ყველა ამ უდიდესი გამარჯვების ტრიუფის ფეირვერკული დადგმის მომსწრე და მნახველი თქვენი მონა-მორჩილიც გახლდით და გულით ვხარობდი თქვენს დიდ გამარჯვებას. (ახლოს ვერ გავბედე ვერც ერთხელ მოსვლა, ისე შორიდან გეფერებოდით, ტაშს გიკრავდით). ბედნიერი ავტორი ბრძანდებოდით; თქვენს თეატრსა და კინოში ისეთი კასკადი იყო უნიჭიერესი ვარსკვლავებისა, რომ მსოფლიომ გაგიცნოთ, შეგიყვარათ, დაგაფასათ.

(ცნობილი, დიდებული რეჟისორები, მხატვრები, კომპოზიტორები) ბედნიერად თვლიდნენ თავიანთ თავს თქვენი დრამატურგიისათვის ...).

1960 წლის 6 თებერვალს კიდევ აიწია ჭერი კ. მარჯანიშვილის თეატრში, როდესაც დაიდგა პრემიერა «ჩემი ყვავილეთი» _ დრამატურგი მ. ბარათაშვილი.

მარტო ერთი გამოსვლა მერი დავითაშვილისა, რომელიც თავისი ნიჭის წყალობით დარბაზს «ხელში» რომ აიყვანდა, რად ღირდა?

თვითონ პიესა «მარინე»: მშვენიერი, ცქრიალა მედეა ჯაფარიძე, თანასოფლელი კოსტა _ ჟორა შავგულიძე და «ჟაბროშკა» ბებია გენრიტა ლეჟავა (დანარჩენი ბებიებიც კარგები იყვნენ), ფურორს ახდენდნენ და ნამდვილ ზეიმს, დღესასწაულს გვაზიარებდნენ. რაც შეეხება კინო «ჭრიჭინას» ეს ყველა ოჯახის, დღესდღეობითაც, გამაოგნებელი სასწაულია და მას უკვდავება ჰქვია. თქვენი მოღვაწეობა ქალბატონო მარიკა ჟურნალში

«საქართველოს ქალი» იმ დროისათვის სამაგიდო ჟურნალი იყო. დიდ სიამოვნებას ანიჭებდა მკითხველს, ყველა მანდილოსანს, მათ შორის მეც.

მხოლოდ ახლა გავბედე, უკვე 80-ს გადაცილებულმა თქვენმა ერთგულმა მაყურებელმა და მკითხველმა (თეატრში «მარინე» 14-ჯერ ვნახე. კინო «ჭრიჭინა» ასჯერ მეტჯერ) შეგხმიანებოდით და მეთქვა, მეღიარებინა თქვენი ღრმა პატივისცემა და სიყვარული. თქვენ ხომ ცოცხალი ლეგენდა ბრძანდებით და მე თავს ვიხრი თქვენს წინაშე.

მოგონებებს ვუძღვნი ორ ძვირფას, ნათელ პიროვნებას_ძმას ირაკლი ყიფიანს და მეუღლეს გენო ჯაველიძეს

ირაკლი ყიფიანი

ჩემი მოგონებების წიგნში, რა თქმა უნდა, პირველი ადგილი ჩემს ძმას, აწ უკვე წასულს დავუთმე, რამეთუ მე და ირაკლის იდეალური, ზღაპრული და-ძმობა ახლო მეგობრებში ლეგენდად დადიოდა.

ამაზე მეტყველებს თუნდაც მისი წარწერა ნაჩუქარ წიგნზე (მას მთელი სერია ჰქონდა გამოშვებული «ნიანგის» ბიბლიოთეკაში, ვინაიდან ითვლებოდა რაფინირებულ დახვეწილ იუმორისტად და მისი ნაწერები (ამ ხაზით) გულგრილს არავის ტოვებდა, ამისთვის მომყავს მაგალითი.



გაუმარჯოს პროფესორს!

(ირაკლი ყიფიანის წიგნიდან)

ბაზრის შესასვლელთან უამრავი ხალხი ირეოდა. ერთმანეთს აწყდებოდა ხალხი. ერთი სქელკისერა მეც დამეჯახა, ბოდიში-მეთქი! იმან ზედაც არ შემომხედა. თითქოს საიდანღაც მეცნო, მაგრამ ამისი გახსენების დრო აღარ მქონდა და ყველისაკენ შევუხვიე, გადახურულში შევედი.

_ რა ღირს იმერული ყველი მეგობარო? _ ვკითხე ვიღაც საეჭვო იმერელს.

_ ექვსი მანეთი! – იყო მოკლე პასუხი.

_ ხუთად მომეცი და ნახევარ კილოს წავიღებ! _ შევთავაზე კომბინაცია.

_ ხა, ხა, ხა! _ სიცილად არ ეყო ყველის ვაჭარს, _ დაგიკლო და თანაც ნახევარი კილო წაიღო? ეს ვინ ყოფილა, ე!

ამ დროს ჩემს გვერდით ვიღაცამ ქოშინით იკითხა:

_ როგორია შენი ყველი, ბიჭო?

_ ნამდვილი იმერული, ბატონო!

_ აბა მაჩვენე!

მოვიხედე, წელან რომ დამეჯახა, ის ნაპატივები ვაჟბატონი იყო, ყველს გემო გაუსინჯა, სამი თავი ამიწონეო, უთხრა და პარკი მიაწოდა.

მე სასწრაფოდ გავშორდი იქაურობას, ჯიბრზე სხვას ავაწონინე 600 გრამი და მერე ქათმებისკენ წავედი.

_ რას აფასებ ვარიებს, ბიჭო?! _ ჯიქურ ვკითხე ქათმებში კრუხივით ჩამჯდარ ბრგე ვაჟკაცს.

_ვარიები, კი არა, დედლებია! _ იწყინა ახალგაზრდამ, _ ათი მანეთი თითო!

_ რას ამბობ, კაცო? _ შევხტი გაოცებული, _ ახლით?

ხალხის მიწევ-მოწევაზე მივხვდი, ვიღაც საპატიო სტუმარი გვიახლოვდებოდა.

_ სადაურია შენი ქათმები, ვაჟკაც?! _ იკითხა ნაცნობმა ხმამ და რატომღაც ყურმა წივილი დამიწყო.

_ სამტრედიული, ბატონო! ათი მანეთი ღირს თითო!
_ჭირიანები ხომ არ არის, ბიჭო, ეგრე იაფად რომ ყიდი?
_ სქელკისერამ მედიდურად გადახედა ირგვლივ მყოფთ და მათი ხარხარი დაიმსახურა.
_ რავა გეკადრებათ!
_არ იკადრებ, ჰო, შენი ამბავი რომ ვიცი, მომეცი აქეთ შვიდივე!
ფიცხლავ მოვწყდი იმ ადგილს. ახლა, უკვე ერთი სურვილიღა მქონდა _ მალე გავცლოდი იქაურობას. ბაზრის ფასებივით აიწია ჩემს თვალში ჩემი ოჯახობის ფასმა. ყოჩაღ, ქალო, თურმე რას უძლებ! გასასვლელთან კიდევ მოვკარი თვალი ჩემს მოქიშპეს. ეს ამხელა კაცი ძლივს ერეოდა ნავაჭრს. მე ჩემი პარკი ავაპორწიალე და მწარედ გამეცინა. «ახლა მეც ვიტყვი, რომ ბაზარში ვიყავი და ისიც, არა? მაგრამ რას ერჩი, რა გინდა?!» _ დავტუქსე ჩემი თავი «შურიანი არასდროს ყოფილხარ და ახლა რა ღმერთი გაგიწყრა?! იქნებ, პროფესორია ეს კაცი, მუშაობს, ბატონო და ჭამს! დაიცა, რომელ კათედრაზე მინახავს? რაღაც ნაცნობი სახე აქვს».
ამ ფიქრებში ვიყავი გართული და მოჯადოებულივით მივდევდი უკან პროფესორს, რომ უეცრად ვიღაცამ დაიძახა: ბიქტორს გაუმარჯოს! რავა ხარ კაცო?
«პროფესორმა!» სალმის ნაცვლად თავი დაუქნია ნაცნობს, რადგან ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა და იქვე ბაზართან მომლოდინე ცისფერ « ვოლგისკენ» გაემართა. შევწუხდი, როგორ გააღებს მანქანის კარს პროფესორი-მეთქი და რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი მისაშველებლად, რომ უცებ რაღაც აზრმა გამიელვა: «ახ, ბიქტორ, ბიქტორ! საიდან მახსოვს ეს სახელი, ეს სახე?! და უცებ გამახსენდა:
_ «ბიქტორ! დაასხი ორი ლუდი! . . .»
ავტობუსში შევიჭედე, ხვითქი გადამდიოდა, მაგრამ რაღაც მაინც მიხაროდა გულში, არ ვიცი კი, რა . . .

მაგრამ მასზე, როგორც პიროვნებაზე, მეცნიერზე და საზოგადო მოღვაწეზე გთავაზობთ მერხის მეგობრების ნარკვევს და ვფიქრობ უკეთესად ვერაფერს დავწერ.
აი, ისიც სათაურით

«სადაც ფეხი ავიდგით».

ვინაიდან ჩვენც ამ უბანში (მეფეთუბანში) ამ ქუჩაზე (ძველად პლეხანოვი, ახლა დ. აღმაშენებლის გამზირი) ავიდგით ფეხი, ვეზიარეთ პირველ სწავლა-განათლებას 11-ე საშუალო ვაჟთა სკოლის კედლებში და, ასე ვთქვათ, კაცებად ჩამოვყალიბდით ამ გარემო-მიდამოში. ვიფიქრეთ, ურიგო არ იქნება გაგვეხსენებინა ჩვენი თანაკლასელი, ნათელი, სუფთა პიროვნება. კეთილშობილური წარმოშობის, რაფინირებული ინტელიგენტი, ფაქიზი იუმორის მქონე, ჩვენი ძმა და მერხის ამხანაგი _ ირაკლი ყიფიანი, რომლის დაკარგვამაც დიდად გვატკინა გული და აგვაღებინა ხელში კალამი!
ვინ იყო ირაკლი ყიფიანი? იგი იყო პირველ რიგში კარგი ყმა-ქართველი. მტკიცე პირის, გაგების კაცი, რომელიც (მისი წინაპრის დიდი დიმიტრი ყიფიანისა არ იყოს) «ჰოზე არ იტყოდა არას და არაზე არ იტყოდა ჰოს».

ირაკლი ის კაცი იყო, რომელმაც საქართველოს ისტორია, «ვეფხისტყაოსანი», აგიოგრაფიული ლიტერატურა ზეპირად იცოდა. განსაკუთრებით XIX საუკუნის ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება მისი გატაცება იყო.

დიდ პატივს სცემდა რუსეთის გენიოსებს და მათი თუ ჩვენი ნაწარმოებების გარჩევისას მიუკერძოებელს და მართალს მსმენელი დიდი მოკრძალებით უსმენდა, ეთანხმებოდა და ტკბებოდა. უდიდეს სიამოვნებას ეზიარებოდა და ყოველივე ეს სამუდამოდ აღიბეჭდებოდა მის მეხსიერებაში.

იგი ასევე უბადლო მცოდნე იყო მსოფლიო ლიტერატურის. საოცრად მსუბუქი, დამაჯერებელი საუბრის დროს ხედავდით მის ფილოსოფიურ, ღრმა ერუდიციას და მისი უნებლიე ტყვე ხდებოდით.

ასეთი მრავალმხრივი განათლებული იყო ჩვენი ირაკლი, ასეთად იცნობდა ყველა და ჩვენ სუბიექტურობაში ვერავინ დაგვდებს ბრალს, ვისაც ერთხელ მაინც შეხება ჰქონდა მასთან.

უნივერსიტეტში უფრო გამოიკვეთა მისი ნიჭი და ერუდირება, მან წითელ დიპლომზე დაამთავრა იგი და მისი რექტორის «მრისხანე» ნიკო კეცხოველის ყურადღება და მადლობა დაიმსახურა, რომელმაც მაშინვე შესთავაზა ირაკლის უნივერსიტეტის ასპირანტურაში დარჩენა. ირაკლიმ თავაზიანი უარი შეჰკადრა საყვარელ რექტორს და 1952 წელს გამომცემლობა «სახელგამში» (შემდგომ «საბჭოთა საქართველოში») დაიწყო მუშაობა. ხოლო როდესაც 1966 წელს «საქართველოს ენციკლოპედიის» გლობალურ გამოშვებას სათავეში ჩაუდგა ჩვენი სასიქადულო პოეტი ირაკლი აბაშიძე. იმწამს ნიჭიერი ხალხი შემოიკრიბა და მათ შორის ირაკლი ყიფიანსაც შესთავაზა თავისთან მუშაობა, რაზედაც ირაკლი დიდი სიამოვნებით დათანხმდა. იგი ინიშნება ფილოსოფიისა და სამართლის რედაქციის უფროს სამეცნიერო რედაქტორად, ხოლო 1967 წლიდან «სიტყვანისა და ბიბლიოგრაფიის» რედაქციის გამგედ.

უდიდესი მონდომებითა და რუდუნებით, ხანგრძლივი, თავაუღებელი შრომითა და გარჯით ამ სფეროში მისმა მოღვაწეობამ ნაყოფი გამოიღო და მადლიერმა ხელმძღვანელმა არ დაუკარგა ირაკლი ყიფიანს ესოდენ საპატიო, უმძიმესი შრომა, თავისთან გვერდში ამოიყენა და მასთან ერთად გაიზიარა ის დიდი ჯილდო და აღიარება, რასაც სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა ჰქვია.

ჩვენ, მისი მერხის ამხანაგები მასთან ერთად ვხარობდით მის ესოდენ დიდ დაფასებას და გულწრფელად ვულოცავდით მას.

ირაკლი ყიფიანი, გარდა სამსახურეობრივი მეცნიერული მოღვაწეობისა, იყო ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (სადოქტორო მასალა გამზადებული მაგიდაზე დარჩა). იყო «რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი», «კულტურის დამსახურებული მუშაკი», მწერალი, მთარგმნელი, იუმორისტული ციკლის მოთხრობების ავტორი და საერთო ჯამში 100-ზე მეტი წიგნის, სამეცნიერო ნაშრომისა და სტატიის ავტორი და მთარგმნელი იყო.

ვინ მოსთვლის კიდევ სხვებს და სხვებს, რომლებიც დიდი გულისწუხილით და დანანებით ემშვიდობებიან უკანსკნელ გზაზე მიმავალ სახელოვან მამულიშვილს და რამდენი ცრემლი გაჰყვა თან მას.

ჩვენ, ირაკლი შენი კლასელები, «შაგრენის ტყავივით» სულ სიმცირეში გადავდივართ ... გვაკლდებით და მიდიხართ და მხოლოდ იმის იმედით_ღა ვართ, რომ ჩვენი «კლასის ბიჭების» შვილები და შვილიშვილები ღირსეულად აღიზარდნენ ჩვენს ოჯახებში და თავიანთი კეთილშობილური ქცევითა და შრომით ჩვენ სახელებს აუგად არავის ახსენებინებენ და ჩვენც ამაყად შეგვიძლია განვაცხადოთ:

«მეფეთუბნელები ვართ», «მეფეთუბნელები».

თბილისის 11-ე საშუალო სკოლის მერხის ამხანაგები:
გელა ქვათაძე, კუკური რიჟამაძე, მიშა კავალაძე, გივი ჯორბენაძე,
ვილენ ჩიქოვანი, რამაზ გამცემლიძე, გერონტი ცაგარეიშვილი,
ფრიდონ ბახტაძე, ზეინარ ხელიშვილი.

სისხლი სისხლის წილ. . .

ჩემი მეუღლე გენო (გენრიხ) ჯაველიძე მეორე სამამულო ომის აქტიური მონაწილე გახლდათ. იბრძოდა ფეოდოროვის რაზმთან ერთად, შემდეგ ტყვედ ჩავარდა. სამჯერ გამოიქცა ტყვეობიდან.

გენო ჯაველიძე

ბოლოს პოლონეთის მიწაზე ჩვენს პარტიზანებს შეუერთდა და გამალებით იბრძოდა. შინ დაბრუნდა ინვალიდი ყავარჯნით ხელში. ის გახლდათ მეორე ჯგუფის ინვალიდი, მაგრამ იყო ცოცხალი და ეს ყველაფერს ნიშნავდა.
თუ როგორ იბრძოდა ყოფილი პარტიზანი გენო ჯაველიძე ასახულია მის მიერ დოკუმენტურ მოთხრობაში «სისხლი სისხლის წილ» და ეს არის კიდევ ერთი მაგალითი, ნათელი ფურცელი იმ გმირული ბრძოლისა, რომელსაც ქართველი პარტიზანები ეწეოდნენ პოლონეთის მიწაზე. ეს არის ერთგვარი ჰიმნი იმ მეგობრობაზე, ომის მრისხანე დღეებში, რომ ჩაისახა ქართველ და პოლონელ პარტიზანებს შორის.
აი, როგორი შეფასება მისცა ამ წიგნს დავით ბაქრაძემ ამ ლეგენდარულმა ადამიანმა «საბჭოთა კავშირის გმირმა» პარტიზანმა.

გმირ პარტიზან გენო ჯაველიძის
შეხვედრა პიონერებთან

წინასიტყვაობის მაგიერ

არის მოვლენები, რომელთა დავიწყება დაუშვებელია, უფრო მეტიც, დანაშაულია! ის, რაც ჩვენმა ადამიანებმა გადაიტანეს მტრის ღრმა ზურგში, მუდამ იყო და არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იბრძოლოს ადამიანმა თავისი სიცოცხლის უმძიმეს, გადამწყვეტ წუთს.

პარტიზანული მოძრაობა ლეგენდად იქცა. იგი რომანტიკის იერშუქითაა მოსილი და როდესაც კითხულობთ გენო ჯაველიძის წიგნს, გრძნობთ, რომ ეს ლეგენდა სინამდვილეა, ხოლო რომანტიკა _ წმინდა რეალობიდან დაბადებული.

იმ ქარცეცხლიან დღეებში ადამ,იანს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე დადარაჯებული სიკვდილის შემხედვარეს, მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდა _ გაეძლო ამ სიძნელისთვის, ებრძოლა მტერთან და გაემარჯვა.

სამწუხაროდ, ბევრს არ დასცალდა მოსწრებოდა ამ დიდებულ გამარჯვებას.

სწორედ ამიტომაა მისასალმებელი გენო ჯაველიძის წიგნის გამოცემა. ეს ხომ დიდი სამამულო ომის ისტორიის ერთი პატარა მონაკვეთის გახსენებაა. შემდგომმა თაობებმა უნდა იცოდნენ ეს ისტორია. მათ უნდა იცოდნენ სინამდვილე: მეორე მსოფლიო ომში გაუგონარი წამებითა და არნახული სისასტიკით დაიღუპა ათობით მილიონი ადამიანი!

გენო ჯაველიძის წიგნი დღეს გაფრთხილებასავით გვესმის _ არ განმეორდეს ომის საშინელებანი, დაე, გვაკმაროს ის ტკივილები, რომელთა ტარება ჩვენს თაობას არგუნა ბედმა!

ვფიქრობთ, ყველა ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, კმაყოფილი დარჩება პოლონეთის ტყეებში ქართველი პარტიზანების თავდადებული ბრძოლის გახსენებით.

დავით ბაქრაძე,
საბჭოთა კავშირის გმირი.

«მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც,
კაცი რომელიც დააკლდა ქალაქს»
(გენო ჯაველიძის გახსენება)

ეს სიტყვები დაწერილი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, მაშინ დაიწერებოდა, როდესაც გენო ჯაველიძე, მართლაც რომ კაცური კაცი, დააკლდა თავის მშობლიურ ბათუმს. თუმცა, მისი ქველმოქმედების არეალი გაცილებით უფრო დიდი იყო: დაწყებული სოფელ ასკანიდან, დამთავრებული თბილისით. მისი დაბადებიდან 80 და გარდაცვალებიდან 5 წლისთავი უფლებას გვაძლევს გავიხსენოთ ესოდენ სანატრელი პიროვნება, ყურადღებიანი და გამგები მეუღლე, ბრძენი მამა და მოსიყვარულე ბაბუა. შვილები, რძლები, შვილიშვილები და შვილთაშვილები დღესაც თბილად ინახავენ გულში მის კეთილშობილურ სახეს, რომელიც სიმკაცრესთან ერთად საოცარ სითბოს გამოხატავდა.

გენო ჯაველიძე, როგორც მოქალაქე და ღვაწლმოსილი ადამიანი ამ ქვეყნიდან ყველას წინაშე ვალმოხდილი წავიდა, ამიტომ არა გვაქვს უფლება, მისი ნათელი სახე ხატად არ შევინახოთ და არ ვილოცოთ მისთვის.

იძინე მშვიდად, ჩვენო გენო, შენი მონაგარი, შენი ფაჩი, ყველანი კარგად არიან და არ არცხვენენ შენს კეთილშობილ სახელს.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა.

მეუღლე ნათელა ყიფიანი_ჯაველიძისა

«ის ურჩევნია მამულსა»

ჩემი მოგონებების პატარა ნაწილი მინდა დავუთმო ისეთ ნათელ პიროვნებას, როგორიც იყო ვლადიმერ ხაინდრავა, თავის უსპეტაკეს მეუღლესთან ერთად.

დოდო ხაინდრავა და
დიმიტრი გოგელლია

ბატონი ვლადიმერი, ასე ვთქვათ, ჩვენი ოჯახის პირველი მძახალი გახლდათ. მისმა ვაჟმა შოთა ხაინდრავამ შეირთო ჩემი უფროსი და მერი და შექმნა შესანიშნავი ოჯახი. ის სიკეთე, სიბრძნე და ზნეკეთილობა, რომელიც ბატონ ვლადიმერს ახასიათებდა, გენებით გადავიდა მის შვილსა და შვილიშვილებში. შვილიშვილებს: სოსოს და დოდოს

შეხვდათ კეთილი ბუნების სიძე ნუგზარ გოგელია და რძალი მარლეტა ჭინჭარაული. ქართული ოჯახის ტრადიცია გაგრძელდა, მათ ჩვენ გაგვახარეს თავიანთი შვილებით _ სოსოს და მარლეტასი _ვლადიმერი (ძვირფასი ბაბუის საპატივსაცემოდ) და გიორგი. ხოლო ქალიშვილის _ დოდოსგან ვაჟი - დიმიტრი. მათი ნახვა, მათთან საუბარი, იუმორით, სიბრძნით გაჯერებულია, რაც გულს გვიხარებს და გვეამაყება, რომ (ამ ცოტა არეულ დროში) თავიანთი პროფესიონალიზმით სიბეჯითით კარგად ასრულებენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს და ითვლებიან კარგ სპეციალისტებად.

ვლადიმერ (ვოვა) ხაინდრავა

მეტი რა გვინდა ჩვენ მათ ახლობლებს, მხოლოდ, წინ ევლოთ გამარჯვებისკენ, ვინაიდან ამ ქვეყნის შენების დროს ერთი აგურის სწორედ დადგმა ცხოვრებას სწორ მიმართულებას მისცემს და ქვეყანა უკეთესობისკენ წავა, მჯერა ეს მე და მინდა კარგად ყოფნა ვუსურვო მათ.

«უსიტყვოდ გამგები»
(ეთერ ხუბუა)

ჩემს ამ ნაშრომს სრულყოფილად ვერ ჩავთვლი თუ არ ვიტყვი ერთ-ორ სიტყვას ეთერ ხუბუაზე. როგორც უკვე აღვნიშნე, მე ყველა პრემიერის მნახველი, თეატრში მხოლოდ რჩეულთან ერთად წავალ-მეთქი და ეს რჩეული სწორედ ეთერ ხუბუაა, ისიც ჩემსავით და ჩემზე მეტად ფანატიკურად შეყვარებული ხელოვნებაზე და კერძო თეატრზე.

ეთერ ხუბუა

როდესაც მე და ეთერი სპექტაკლზე ვართ, მარტო სცენას ვხედავთ, ჩართული მთელი ყურადღებით, მონდომებით და იმ დროს ვიღაცამ, რომ რამე გვკითხოს, ვერც კითხვას გავივონებთ და ვერც იმას, ვინც გვეკითხება. ვფიქრობ, ასეთი მაყურებლით ძალიან არ არის ჩვენი თეატრები განებივრებული, ზოგი ხმაურობს, ზოგი რაღაცას კითხულობს, ეს ვინ არის, ვინ თამაშობს ამ როლსო, მაგრამ ეს ჩვენს მიღმა რჩება. თვითონ ეთერი №55 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს. მასთან რომ შეხვიდეთ «თეატრისა და კინოს» მუზეუმი გეგონებათ. ყველა გამოჩენილი მსახიობის, რეჟისორის თუ მხატვრის, ან კომპოზიტორის ლამაზ ჩარჩოებში ჩასმული სტენდებია და ემჩნევა მასპინძლის მზრუნველი ხელი.

მაგიდაზე განლაგებული დიდი რუდუნებით და სიყვარულით შედგენილი ალბომები თავისთავად გამცნობენ, თუ რა დიდი შრომა, სიყვარული და სურვილია შიგ ჩაქსოვილი. არ შეიძლება ამის გულგრილად, ზერელედ ნახვა: უნდა აიღო სკამი, არ უნდა უცქირო საათს, ისე გულდასმით ნახო და ისიამოვნო, როგორც ავტორმა შექმნა იგი. აი, ეს ადამიანი არის ჩემი ფიქრების, სურვილების, სიხარულის თუ წუხილის გამზიარებელი წლების მანძილზე და ამიტომ ჩავთვალე მისთვის მიმეძღვნა ეს სტრიქონები. (მეგობრები, ხომ ცხოვრებაში ერთმანეთს არ უმტკიცებენ სიყვარულს, მეგობარი იმიტომაა, რომ უსიტყვოდ გაგიგოს). ეს პატარა სისუსტე მაპატიოს მკითხველმა.

«იუბილეზე»

პრემიერაზე «ჭინჭრაქა» ჩემი ძმის შვილები მანანა და პაატა მყავდა რუსთ. სახ. თეატრში. ძალიან ბევრი იცინეს, ისიამოვნეს. მხოლოდ ნათ კი არა, ჩვენ, დიდებმაც ვისიამოვნეთ ამ დიდებით. მერე რა მსახიობები ასრულებდნენ? მედეა ჩახავა, ზინა კვერენჩხილაძე, ეროსი მანჯგალაძე და გოგი გეგეჭკორი. ჩემს პატარა პაატას (7 წლის იყო) განსაკუთრებით «მგელი» მოეწონა და სახლში იღებდა ჯოხს და «დირიჟორობდა».

არ გასულა რამდენიმე დღე და ბაჯული გელოვანმა გვთხოვა, მივსულიყავით დედამისთან (ეს დედის სურვილი იყო) დაბადების დღეზე (ქალბატონ საშა სტურუა – გელოვანს შეუსრულდა 70 წელი). ჩვენც მივედით.

გოგი გეგეჭკორი

ქალბატონ საშას ახლობელი ნათესაობა ჰყავდა დაპატიჟებული, მათ შორის იყვნენ გოგი გეგეჭკორი (მსახიობი და საშას მულისშვილი) და მისი მეუღლე თეატრმცოდნე სიმპათიური ნათელა ურუშაძე, სუფრის სული და გული გოგი გახლდათ: მან დიდი ემოციით წაიკითხა ლექსი (მასპინძლის თხოვნით), რომელიც მისმა მამამ (ლადო გეგეჭკორმა _ პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ) მიუძღვნა ულამაზეს ქალს, შემდგომ მის მეუღლეს თამარ გელოვანს. შემდეგ მეგრული კილოთი «წაიყვანა»ფეხბურთის მატჩი «სამეგრელოს სტადიონიდან» და დახოცა ხალხი სიცილით. ამ დროს ჩვენი პაატა «ჯენტლმენურ» მუქ შინდისფერ კოსტუმში გამოწყობილი ირაკლის კალთაში იჯდა (მამამისის ირაკლი ყიფიანის). დასცხა, კოსტუმი გაიხადა, «პომოჩებიანი» შარვალი გაისწორა და სკამზე დაჯდა. მამამისმა უჩურჩულა: «პაატა, აი ეს ძია ვერ იცანი? «ჭინჭრაქაში» მგელი რომ მოგეწონა, ის არის.»

პაატა ყიფიანი

პაატამ ცნობისმოყვარეობით დაუწყო ცქერა ბატონ გოგის. გოგიმ შეამჩნია ეს. მივიდა მასთან ახლოს, «პომოჩებში» მოკიდა ხელები, ახლოს მიიწია და ეუბნება: თქვენ, ახალგაზრდავ, გემჩნევათ კულტურული ყმაწვილი ბრძანდებით, თეატრი თუ გიყვართ? დიახ, მიყვარს _ იყო საკმაოდ თამამი პასუხი.

მე თუ გინახივართ სცენაზე? დიახ, თქვენ «მგელი» ხართ. იყო რიხიანი პასუხი და ხალხის ჰომეროსის ხარხარმა დაფარა ყველას ხმა.

გოგი გასწორდა, თითქოს «ეწყინაო» ისეთი სახე მიიღო და პაატას უთხრა, რატომ მგელი? მე სხვა სოლიდური როლებიც მაქვს. მაშინ ქალბატონმა ნათელამ ყველას გასაგონად თქვა: კი, კი, მგელი ხარ, ბავშვმა სწორად შეგაფასა. შენ, ჩემო კარგო, «ნიკოლოზ ბარათაშვილით» მომაწონე თავი, მეც გამოგყევი, მერე კაცის მკვლელი გულოიანი გახდი დუმბაძის პიესაში, ახლა მგელი_თუმანიშვილთან, მეტისმეტია ბატონო, მეტისმეტი, და ხუმრობით, რა თქმა უნდა, ვითომ «გაუბრაზდა» ბატონ გოგის. ყველა ვიცინოდით, მარტო ჩვენი პაატა იდგა გაკვირვებული, რა ვთქვი ასეთიო _ ახამხამებდა დიდ, ლამაზ თვალებს.

პირველი გაცნობა ბატონ
კონსტანტინე გამსახურდიასთან

1939 წელია, ზაფხული. ქ. თბილისის იპოდრომზე ხალხის ჭედვაა. ამ იპოდრომის დირექტორი ვინმე ჭიპაშვილია, ხოლო მთავარი ადმინისტრატორი მამაჩემი აკაკი ყიფიანი.

«ლოჟები» თითქმის შევსებულია. პირველი ლოჟა ცარიელია. მეორეში ვართ ჩვენ: დედა, მე და ჩემი ძმა ირაკლი, ახალგათხოვილი ჩემი უფროსი და მერი (გამორჩეული მდიდრული სილამაზის ქალი) და მისი მეუღლე შოთა ხაინდრავა. (სხვათაშორის ყველაზე ძლიერი ჟოკეი თურმე ვინმე ალიოშა ხაინდრავაა და ჩემი სიძეც ამით იწონებს თავს და მის ნომერზე აიღო ოჯახის ყველა წევრის ბილეთები. ჟოკეი ხაინდრავას ცხენს ჰქვია «დევი» და ყველას მისი გამარჯვების იმედი გვაქვს. მე და ჩემს ძმას არაფერი გვესმის დოღის (სკოლის მოსწავლეები ვართ 10-12 წლისანი), მაგრამ გვჯერა ჩვენი სიძის.

მერი ყიფიანი

შოთა ხაინდრავა

უცებ გაიღო №1 ლოჟის კარი და შემობრძანდნენ ქალბატონი მირანდა და ბატონი კონსტანტინე გამსახურდია. დაიკავეს თავისი ადგილები და პროგრამა მოითხოვეს. ლოჯა თითქოს განათდაო, ისე გაიბრწყინა მირანდას სილამაზემ. ხალხმა ლოჟებიდან ტაში შეახვედრეს. კონსტანტინე ფეხზე ადგა და მადლობის ნიშნად საზოგადოებას თავი დაუკრა. 5-10 წუთში უნდა დაწყებულიყო დოღი. ჩემმა სიძემ მოკრძალებით შებედა კითხვა: ბატონო კონსტანტინე, თქვენ ვინ გაჯობებთ ცხენის შეფასებაში და თუ საიდუმლო არ არის გაგვიმხილეთ ვისზე გაქვთ ბილეთი? ჩვენდა გასაკვირად, ბატონი კონსტანტინე მხურვალედ ჩაება საუბარში, უთხრა, რომ ცხენ «ლაშქარაზე» იყიდა ბილეთი და იმავ წუთში დაინტერესდა ჩვენ ვისზე გვქონდა დადებული თანხა. ჩემი სიძე დაღონებული გამოუტყდა: მე «დევიზე» ვიყიდე 6 ბილეთი და ახლა ვხვდები, რომ ვცდებოდი, რადგან თქვენ «ლაშქარაზე» გაქვთ ბილეთი, მაშინ მოგება თქვენი იქნებაო.

ბატონ კონსტანტინეს ესიამოვნა მისი ასეთი შეფასება და გაამხნევა: მეორე წრეზე ერთად ავირჩიოთო სხვა ნომრები. ჩემი სიძე ცოტათი დაწყნარდა.

შეჯიბრი დაიწყო: გადმოლახეს ჯებირი ულამაზესმა, მოვლილმა ძლიერმა ცხენებმა და გაიჭრნენ წინ.

თამაში დამთავრდა «დევის» გამარჯვებით. ჩვენ ყველას თითო–თითო თუმანი შეგვხვდა. ჩემი სიძის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

დაიწყო მეორე წრე და ბატონმა კონსტანტინემ ჩემს ძმას პატარა ირაკლის ჰკითხა: «აბა, ჭაბუკო, თქვი რომელი მოვა?»

ირაკლიმ არც აცია, არც აცხელა და რიხიანად მიუგო 5 ნომერი მოვა პირველიო.

კარგი გენდობი, შენი სახელი? ირაკლიო, _ უპასუხა ჩემმა ძმამ. უჰ, მეფური სახელი გქვია, ნამდვილად მეც, 5-ზე დავდებ და შენს სიტყვას ვენდობიო.

გამართლდა პატარა 8 წლის ირაკლის სიტყვა. გაიმარჯვა «5» ნომერმა და ბატონ კონსტანტინეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

დოღის დამთავრების შემდეგ ბატონ კონსტანტინეს მეუღლითურთ და მთელი ჩვენი ოჯახი მამაჩემმა მიგვიპატიჯა მშვენიერ ღია ცის ქვეშ ლამაზ ფანჩატურში. კონსტანტინე დაჰყვა ჩვენს თხოვნას. მე და ირაკლის დიდებივით თქვენობით მოგვმართავდა და პასუხსაც სერიოზულად იღებდა. დიდებული სუფრა იყო. სპირტის ნათურაზე შემწვარი სულგუნის გემო დღესაც მახსოვს.

მოედანზე ორკესტრი (დუხოვოის ეძახდნენ მაშინ) უკრავდა ახლადშემოღებულ ფოკსტროტს, ჩვენი მეზობელი ცნობილი ლენა გოკიელი თავგამოდებით ცეკვავდა. ირგვლივ ყველაფერი ლამაზი იყო და მე და ჩემს ძმას ყოველთვის, დიდხანს, დიდხანს გვახსოვდა, ბატონი კონსტანტინე და გამარჯვებული «5» ცხენი.

«დიახ, შეხვედრაც ასეთი უნდა!»

შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატები სტუმრად მოდიანო, ეს ფრაზა მოწოდებასავით გაისმა თბილისის საავიაციო ქარხნის სააქტო დარბაზში.

ყველა ღელავდა და მოუთმენლად ელოდა: ქართული სიტყვის დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას, ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს მხატვარს ლადო გუდიაშვილს და პირველ ლაურეატებს შორის ყველაზე ახალგაზრდას, მაგრამ სახელგანთქმულ მოქანდაკეს – ელგუჯა ამაშუკელს.

(ბატონი ირაკლი მაშინ თბილისში არ გახლდათ).

აი, დადგა შეხვედრის დღეც. საზეიმოდაა მორთული სააქტო დარბაზი. ასეთივე განწყობილებით არიან აღვსილნი შესახვედრად მასპინძლები: ქარხნის მუშა-ახალგაზრდობა და მათი შეფი (ამ შემთხვევისთვის) 85-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა შემოქმედებითი ჯგუფი (მასწავლებელი ნათელა ყიფიანის ხელმძღვანელობით).

სცენაზე სტუმრების გამოჩენით ატეხილი ტაშის გრიალი, რომ შეწყდა ტრიბუნაზე (როგორც გეგმით იყო) ავიდა პედაგოგი ნინო ლაშხია და მან მწერალ-აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაზე მოუთხრო მსმენელს და მოკრძალებული მადლობა გადაუხადა ავტორს აქ მობრძანებისთვის. ნინო ლაშხიამ ფართოდ ილაპარაკა ბატონ გამსახურდიას ნიჭსა და მამულიშვილურულ შემართებაზე და უსურვა კვლავ წარმატებები შემოქმედებით ასპარეზზე.

ბატონი კონსტანტინე აბრძანდა და ფეხზე დგომით მოისმინა ქალბატონ ნინოს მოხსენება. დამთავრების შემდეგ ნინო მიუახლოვდა ბატ. კონსტანტინეს და წაკითხული მოხსენება გადასცა. ბატონმა კონსტანტინემ მთელი ღირსებით ჩამოართვა ნაწერი და მადლობის ნიშნად ხელზე ეამბორა. ამის შემხედვარე დარბაზი ფეხზე ადგა და ტაშით დააჯილდოვა ძვირფასი სტუმარი.

შეხვედრა რუსთაველის პრემიის ლაურეატებთან

სანამ ეს დღე დადგებოდა, მე და ორი აქტიური მოსწავლე ვესტუმრეთ ბატ. ლადოს ბინაზე. ქალბატონმა ნინომ თავაზიანი ღიმილით მიგვიღო. ბატონმა ლადომ, რომ გაიგო მიზეზი სტუმრობისა (მე უნდა რამდენიმედ ახლოს გამეცნო მისი შემოქმედება) მაგიდასთან დაგვსხა, ცივი ლიმონათით გაგვიმასპინძლდა და მერე მე მითხრა: «აი, ქალბატონო ნათელა, ჩემი ნამუშევრების ანი და ბანი, დაათვალიერეთ, მკითხეთ რაც გაინტერესებთ, მე მზად ვარ გემსახუროთო».

მე დავიწყე ნამუშევრების დაკვირვებით ნახვა, შევჩერდი ერთ ნამუშევარზე (ბატონი ლადო იქვე იჯდა სავარძელში და თვალყურს მადევნებდა). ეს იყო, «ნიკო ფიროსმანაშვილის სიკვდილი». ბნელ, ნესტიან სარდაფში ნიკო ფიროსმანი თითქმის ნახევრად წაქცეული, კედელს ეყრდნობა, ის გრძნობს სიკვდილის მოახლოებას და რომ იტყვიან «ჭირის ოფლით» აქვს შუბლი დაფარული. ეს ისე რეალურად აღსაქმელი ნახატი იყო, რომ ნამდვილი გეჩვენებოდა და მეც ჩავიჩოქე (სურათი ძირს იდგა კედელზე მიდებული) და ვეცადე ცხვირსახოცის ოდნავ შეხებით მომეწმინდა ოფლი.

ბატონი ლადო ადგა, მომიხლოვდა და მითხრა: თქვენ იცით, ნათელა რაში დამარწმუნეთ ახლა? რომ მხატვრობა სულიერი არსებაა და მას ისე შეუძლია გაგამხიარულოს ან დაგასევდიანოს ადამიანი, მაყურებელი ისე, როგორც ნიჭიერი აქტიორი თეატრის სცენაზე ცოცხლად შესრულებული როლით. გმადლობთ თქვენ. მან კვლავ გამომიწოდა ჭიქა წყლით და ამით დამთავრდა ჩვენი შეხვედრა.

ნ. ლაშხიას გამოსვლის შემდეგ ჩემი ჯერიც დადგა: მე პირველ რიგში ვილაპარაკე ბატონი ლადოს შემოქმედებაზე (რაზეც მიიღო რ.ლ.) და მერე ის მოვყევი, რაც ზევით აღვნიშნე, ხალხი, როგორც ერთი ყველა ფეხზე ადგა და ტაშის გრიალში გამოხატა თავისი დამოკიდებულება. მე ფეხზე მდგომ საზოგადოებას მივმართე თხოვნით, ჩემთან ერთად მიელოცათ ბატონ ლადოსთვის რომ, დღეს, სწორედ ამ წუთებში შეუსრულდა 70 წელი, და მიუხედავად იმისა, რომ მას ბინაში ელოდებიან მისი ურიცხვი მეგობრები, ამხანაგები თუ ნათესავები, ის მაინც აქ, ჩვენთან მოვიდა და ესოდენ დიდი პატივი დასდო თავის სათაყვანებელ ხალხს. (იქვე ახლოს იყო ვარდების კალათა, იქიდან ერთი



ლადო გუდიაშვილი, ”ფიროსმანის სიკვდილი”

ამოვიღე და მივართვი მას). პრეზიდიუმი (მთელი რაიონული ხელმძღვანელობა პირველი მდივნის ჩათვლით _ თეიმურაზ მოსაშვილის სახით), დარბაზი ტაშის ქუხილმა დაჩრდილა, ძლივს 10-15 წუთის შემდეგ შევძელით ღონისძიების გაგრძელება.

ბატონ ელგუჯა ამაშუკელს, მისი შემოქმედების მიმოხილვის შემდეგ (ესეც მე მქონდა დავალებული) გადავეცი ხალხის თხოვნა, რაც შეიძლება მალე დაედგათ მისი შესანიშნავი პროექტით შექმნილი _ ვახტანგ გორგასლის ძეგლი. ბატონი ელგუჯა შეგვპირდა, მალე იქნებაო, მადლობა გადაგვიხადა ასეთი შეხვედრისთვის და ხმამაღლა თქვა: «დიახ, შეხვედრაც ასეთი უნდა!»

დღეს, 2009 წელს, არც ბატონი ლადო და არც ბატონი ელგუჯა, მით უმეტეს, არც კ. გამსახურდია ჩვენ შორის აღარ არიან, მაგრამ მათი ნამუშევრები _ უნიკალური და ამაღლებულნი გვამცნობენ, რომ მათი ოსტატები უკვდავნი არიან. ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს შემოქმედისთვის, ვფიქრობ არაფერი.

«კიდევ თქვენ ბრძანდებით?»

ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას,
თუ არ შეგებრალები და მისთხოვდები სხვას,
მივატოვებ გაზაფხულზე თესვასა და ხვნას,
გადავლახავ ადიდებულ ჭოროხსა და ზღვას,
ცეცხლს გავატან შენს სამყოფელს, შენს სიყვარულს ქარს,
და მოგიკლავ მოღალატევ, მაგ ნაფერებ ქმარს. . .
ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას.

(კ. გამსახურდია)

70-იან წლების დასაწყისში მე დავიწყე მუშაობა «საქ. სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის აღმზრდელობით კაბინეტში, სადაც სასწავლო ნაწილის სამეცნიერო განხრით ხელმძღვანელობდა ერთობ ერუდირებული, რომ იტყვიან, «ოქროპირი» _ ბატონი არჩილ მჭედლიძე.

ერთ დღეს ბატ. არჩილმა გამომიძახა თავის კაბინეტში და მითხრა: ქალბ. ნათელა, თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს, მე ვმუშაობ წიგნზე: «კონსტანტინე გამსახურდიას «დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის» სწავლება სკოლაში და მინდა მიბრძანდეთ ბატონ კონსტანტინე გამსახურდიასთან, ასე ვთქვათ, «კოლხურ კოშკში» და ჩამოართვათ ინტერვიუ. მე მესიამოვნა, რომ 100-კაციან კოლექტივში მე მომანდო ეს საქმე. (ხუმრობა ხომ არ არის ბუმბერაზ მწერალთან კითხვარით მისვლა). (კითხვები ატარებდა აღმზრდელობით ხასიათს). რა თქმა უნდა უარი ვერ შევბედე და ვთხოვე, აეხსნა ჩემთვის საქმის ვითარება.

ბატონმა არჩილმა თავისი ჩვეული «ოქროპირობით» გამიადვილა საქმე. ორივემ ერთად შევადგინეთ კითხვარები და მეორე დღეს მოწიწებით შევაღე «საიდუმლოებით» მოსილი «კოლხური კოშკის» კარები.

ვიცოდი, რომ ბატონ. არჩილი წინა დღით შეუთანხმდა ბატონ კონსტანტინეს ჩემზე და ისიც მელოდა.

კარი გამიღო სათნოების განსახიერებამ, ძალზე ლამაზმა ქალბატონმა მირანდამ და ღიმილით შემიპატიჟა სახლში.

ბატონმა კონსტანტინემ მიცნო (წინა შესხვედრებიდან) და ოდნავი ირონიული ღიმილით მკითხა: ისევ თქვენ ხართ? ახლაც გინდათ საპატიო პიონერი ვიყო? ეს ხუმრობით თქვა და ხელი ჩამომართვა.

(პირველ შეხვედრების დროს ქალბ. მირანდამ გამაფრთხილა, პიონერთა ყელსახვევი არ გაუკეთოთ და საპატიო პიონერად არ ჩარიცხოთ, თორემ დატოვებს ზეიმსო. რა თქმა უნდა მაშინ ეს აღარ გავაკეთეთ).

მირანდას გაეცინა და უთხრა: «კარგი ახლა კოწია, სად არჩილი და სად პიონერები». კონსტანტინემ არ უპასუხა და მე სკამზე მიმითითა.

ჩემდა გასაკვირად ძალზე მსუბუქად, ძალდაუტანებლად პასუხობდა კითხვებს (წითელი ღვინოც შემომთავაზა, მირანდამ ხილი და ღვინო მოიტანა) და ხალისიანად გამომემშვიდობა შემდეგი სიტყვებით:

კონსტანტინე გამსახურდია

«მე მიყვარს კარგი აღმზრდელ-პედაგოგები და თქვენი ინსტიტუტის სამჭედლო ამ საკითხს ემსახურება. წარმატებას გისურვებთ.»

კარებამდე მირანდამ გამომაცილა და მითხრა: «კაი ხანია, ასეთი ღიმილი მის სახეზე არ მინახავს, არცერთი შეხვედრის დროს, ნამდვილად გაგიმართლათ. გისურვებთ წარმატებებს. მე გულითადად გამოვემშვიდობე ამ მშვენიერ ქალბატონს და სულ ხტუნვა-ხტუნვით დავუყევი დაღმართს.

პ.ს. ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია დიდ მწერალს. რა თქმა უნდა დასაფლავებას ვესწრებოდი: მწერალთა სახლიდან ოპერის თეატრამდე მანქანაზე ესვენა ცხედარი. ოპარასთან ოთხი ჩოხოსანი გადაუდგა წინ პროცესიას და მოსთხოვა გაჩერებულიყო. ბატ. კონსტანტინე ხელით ჩამოიყვანეს მანქანიდან და «კოლხური კოშკის» რეზიდენციამდე, ხელით მიაბრძანეს. დაკრძალვას ზღვა ხალხი ესწრებოდა და კოშკის მწვანედ შეღებილ ღობეს ერთბაშად ყველა მიაწყდა. პროცესიის ორგანიზატორებმა ხალხს დაწყნარება სთხოვეს: პირველ რიგში ჭირისუფალნი, (ჩვენი საპატიო სტუმრები მოძმე რესპუბლიკიდან) და მთავრობის წევრები შეუშვეს და ხალხი დაამშვიდეს: რეპროდიქტორით გადმოვცემთ აქ წარმოთქმულ სიტყვებს და ყველა გაიგებთო. შიგნით და გარეთ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სამგლოვიარო საღამო ბატონმა ჟღენტმა გახსნა. მან ბრწყინვალედ ილაპარაკა ბატონ კონსტანტინეს ცხოვრების ვრცელ გზაზე, მის უნიკალურ შემოქმედებაზე და მისი სიკვდილით გამოწვეულ დიდ მწუხარებაზე. მე იქ გახლდით და არ გამკვირვებია, ბატონ ჟღენტის ოქროპირობა, მაგრამ მთლიანად შემძრა და გამაკვირვა (კარგი გაგებით) სასომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის სიტყვამ: აი, რა თქვა მან: «ბატონო კონსტანტინე (როგორც ცოცხალს ისე მიმართა) თქვენ რომ ჩამობრძანდით ჩვენთან, ჩვენს ერთ-ერთ ღონისძიებაზე, ღონისძიების დამთავრების შემდეგ გვთხოვეთ, რათა ჩვენ წაგვეყვანეთ თქვენ, ჩვენი მწერლობის პანთეონში, რათა მათთვის თითო წმინდა სანთელი

დაგენთოთ. ასეც მოიქეცით. ჩვენ, მასპინძლებმა, დიდი თათბირის შემდეგ (თქვენი გამომგზავრების მერე) გადავწყვიტეთ, ჩვენი პანთეონის ყოველი მტკაველი მიწა, რასაც თქვენი ფეხი შეეხო, გამოგვეცხადებინა წმინდა ადგილად და იმ დღიდან თქვენი ნაფეხური ჩვენთვის წმინდათა წმინდა ადგილია და იქ მისული ხალხი ჯერ ამ ადგილს თაყვანს სცემს, დგება აბრის წინ, სადაც ოქროს ასოებით ამოკვეთილია შემდეგი: აქ, ამ მიწას ფეხით შეეხო საქართველოს დიდი მწერალი და მოქალაქე, აკადემიკოს აკადემიკოსი ბატონი კ. გამსახურდია». ამ წმინდა ადგილას მთელი ჩვენი ერი დღემდე აგრძელებს ამ ტრადიციას. ეს ყველას ხვედრი არ არის, ამას დამსახურება უნდა ჩვენო ძვირფასო ბატონო კონსტანტინე და თქვენ დაიმსახურეთ ეს.» მომხსენებელს ხმა გაებზარა, მივიდა და მოწიწებით თავთან ეამბორა. ტაშის გრიალმა გააპო ცა და შეძრა დედამიწა. მართლაც უნიკალური შემთხვევაა. ასეთი დაფასება გამოჩენილი ადამიანისა მსოფლიოს ისტორიას არ ახსოვს, ამას მარტო მე კი არა ვფიქრობდი, იქ რომ ვიდექი, ამას ფიქრობდა ყველა იქ დამსწრე და ეს მხურვალე ტაში (დაკრძალვის დროს) დიდი დაფასების გამომხატველი იყო, როგორც ბატონ კონსტანტინესი, ისე ძვირფასი სტუმრის, რომელიც ასეთი დიდებული სიტყვით წარსდგა ჩვენს, ქართველი საზოგადოების წინაშე.

ამაზე მეორე დღეს პრესაც ალაპარაკდა, მაგრამ პრესა ერთი დღისაა, იმის შემდეგ გავიდა დიდი დრო, ვიცი დღევანდელ ახალგაზრდობას უყვარს დიდი მწერალი ბატონი კონსტანტინე და ამიტომ გავიხსენე დღეს. დე, ჩვენმა ახალგაზრდობამ იცოდეს ჩვენი ისტორიის საამაყო ფურცლები, როგორც ვთქვი, ყველას ხვედრი არ არის ეს და ეს მახარებს მე.

შეხვედრა კალმის დიდოსტატთან!

1) არის თუ არა აუცილებელი მწერალი სკოლაში ისწავლებოდეს და, მაშასადამე, ამ გზით აღიძრას მისდამი ინტერესი?

კონსტანტინე გამსახურდია: მე მგონი, ნამდვილ მწერალს ეს არ სჭირდება, მაგრამ სკოლისთვის, ახალგაზრდობისთვის ეს მართლაც საჭიროა. მე არასოდეს არ მიზრუნია იმისთვის, რომ ჩემი ნაწარმოებები შეეტანათ სასკოლო პროგრამაში.

2) რას გვირჩევთ «დიდოსტატის» სწავლებისას რომელ თემას მივანიჭოთ უპირატესობა: ეროვნულ-პატრიოტულს თუ კულტურულ-ისტორიულს?

კონსტანტინე გამსახურდია: ორივეს. რასაკვირველია, რომანში მთავარია არსაკიძის, ანუ ხელოვნების თემა. არსაკიძისთვის იდეის (ხელოვნების) სამსახური უპირველესია, ისევე როგორც «დავით აღმაშენებელში» მთავარია სამშობლოს სიყვარული.

3) გიორგი (აგრეთვე სხვა ისტორიული პირები) ისტორიულად ზუსტად წარმოსახული პერსონაჟებია?

კონსტანტინე გამსახურდია: ყოველ ნაციონალურ ისტორიაში ხდება შეკეთებისა და ფერუმარილის წარმატების ამბავი. საერთოდ, უკვე მომხდარის მათემატიკური სიზუსტით აღდგენა სავსებით შეუძლებელია. ისტორიული სინამდვილის ნამუსრევი ისე უნდა გადადნეს ერისა და პოეტის ფანტაზიაში, როგორც ფოლადის ნაჭერი ცეცხლშეგნებულ დომნებში.

მე არ მწამს მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ფანტაზიისგან გამოკვეთილი ხელოვნება, ის ისეთი, მარტოოდენ იმ . .. ტიპაჟს და სახეებს რომ ემყარება.
მუდამ სინამდვილისგან ამოდის ჩემი შემოქმედების პოეტური ანდაზა. არც ერთი ლანდშაფტი, არც ერთი ტიპი, არც ერთი სახე მხოლოდ ფანტაზიით არ გამომიგონია. პოეტური გამოგონება ყოველთვის უსისხლო და უსხეულო გამოვა, თუ მას მიწიერების ნელსურნელება არ დაჰკრავს.

4) ნაწარმოებზე მუშაობისას გამზადებული სქემა ხომ არ არსებობს თქვენთვის?

კონსტანტინე გამსახურდია: გამზადებული სქემა არა მაქვს. რომანისტს ესაჭიროება უმთავრესად სამი რამ: დიდი ჯაფა დიდი მეცნიერისა, მისივე დიდი უნარი დაკვირვებისა და დიდი პოეტის ფანტაზია. ამავე დროს, თუ მწერალს თანადროულობის ბალავარზე არ აქვს დაყრდნობილი თავისი მერმისი, მისი ნაღვაწი უშედეგო ვარჯიში იქნება კალმისა.

5) არის თუ არა ბედნიერი არსაკიძე?

კონსტანტინე გამსახურდია: არსაკიძე ხელოვანია და ვიწრო გაგებით ხელოვანი არ შეიძლება ბედნიერი იყოს იმიტომ, რომ ის მუდამ ძიებაში, ტანჯვაშია.
მართალია, არიან თვითშეყვარებული და კმაყოფილი ხელოვანნი, მაგრამ არსაკიძე მათ რიცხვს არ ეკუთვნის. «ბედნიერია» საქმოსანი ხელოვანი»
მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ბედნიერება არის შექმნის უნარი, მაშინ, რასაკვირველია, არსაკიძე ბედნიერია, იგი უკვდავიცაა, რადგან ხელოვნებაა თვით უკვდავება.
მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი.

6) ბატონო კონსტანტინე, გვითხარით რაიმე თქვენი შემოქმედებითი გეგმების შესახებ.

კონსტანტინე გამსახურდია: ვწერ რომანს თამარ მეფის შესახებ. ეს უნდა დავამთავრო, მერმე გადავალ ისევ «ლანდებთან ლაციცზე».

7) ბატონო კონსტანტინე, რას უსურვებდით ჩვენს ახალგაზრდობას?

კონსტანტინე გამსახურდია: დედ-მამისა და სამშობლოსადმი სიყვარულს, კარგი მწერლების კითხვას, მოერიდონ ხალტურის კითხვას…. . .

8) ვის ანიჭებთ აღზრდაში უპირატესობას?

კონსტანტინე გამსახურდია: ჯერ დედას, მერმე _ კარგ მასწავლებელს.

9) თუ მასწავლებლობდით როდისმე?

კონსტანტინე გამსახურდია: ერთი წელი _ სკოლაში, 3-4 წელი ვმუშაობდი ტფილისურ სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე.

10) ვინ იყვნენ თქვენი მასწავლებლები?

კონსტანტინე გამსახურდია: შესანიშნავი პედაგოგები: ნიკო ჯანაშია, სამსონ ყიფიანი, სილოვან ხუნდაძე, გერასიმე ცაგარეიშვილი, იოსებ ოცხელი და სხვები.

11) რას ურჩევთ ჩვენს მასწავლებლებს?

კონსტანტინე გამსახურდია: მოთმინებას. მათ კარგ ხასიათზე უნდა დააყენონ უხასიათო ბავშვი. პედაგოგობა უმძიმესი ხელოვნებაა. ერთ დროს მეც ვიგემე მისი სიტკბო და სიმწარე. რაც უფრო მშვიდად, დინჯად და შეგნებულად მოექცევა ბავშვს პედაგოგი, მით უფრო კარგ ზეგავლენას მოახდენს მასზე. მასწავლებელი ხშირად გმობს და ხვდება ისეთ რამეს, რომელიც დუმილით და გვერდის ავლით უფრო გამოსწორდება, ვიდრე ყვირილით და ყურის აწევით.

ჭეშმარიტებას ღაღადებენ ამ ბრძენი კაცის ბაგენი და თანამედროვე და დროულია მისი შეგონება დღევანდელი უზარმაზარი მასწავლებელთა არმიისთვის. მაშ, ყურად ვიღოთ ეს იმათმა, ვისაც ეკუთვნის, რომ გაიგოს და გაითვალისწინოს თავისი მუშაობის პერიოდში. აი, ეს კი იქნება ძალზე კარგი.

ბატონ კონსტანტინეს ბლიც კითხვებზე პასუხით ბატონი არჩილი ერთობ კმაყოფილი დარჩა. სულ მალე ეს წიგნიც გამოსცა და საერთო კრებაზე დიდის ამბით, თბილი წარწერით გადმომცა და მითხრა დღეის შემდეგ თუ რაიმე ღირებულს დავწერ, თანაშემწედ თქვენ აგირჩევთო.

მე მადლობის მეტი რა მეთქმოდა. რა თქმა უნდა საჩუქარი (წიგნი წარწერით) გამოვართვი და ვუთხარი: «ბატონო არჩილ, გმადლობთ, ჩემი იმედი გქონდეთ-მეთქი».

ამის შემდეგ ბატონ არჩილს დიდხანს აღარ უცოცხლია. ჩვენი ინსტიტუტის შენობიდან გაასვენეს ეს უზარმაზარი, მთასავით კაცი 55 წლის ასაკში. ორ საათში გათავდა. ნათელი დაადგეს მის სულს.


საქართველოს სსრ ი. გოგებაშვილის სახელობის
პედაგოგიური საზოგადოება

ა. მჭედლიძე

კონსტანტინე გამსახურდიას
„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის"
სწავლება სკოლაში

30.IX.74.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1974

კიდევაც დაიზრდებიან. . .

ხმა დაირხა, რომ ბატონი გიგა ლორთქიფანიძე დანიშნეს ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო საბავშვო თეატრის ხელმძღვანელად. ყველას, ვისაც თეატრი უყვარს გაეხარდა, რომ ბატონი გიგა ჯერ კიდევ ჭაბუკური შემართებით და საქმისადმი ესოდენ დიდი სიყვარულით შემართული ადამიანი მზად არის ჩადგეს ახალგაზრდობის გემოვნების, ესთეტიკისა და ეთიკის აღზრდის სამსახურში (როგორც თვითონ ბრძანა «ასავალ-დასავალის» ფურცლებზე).

გიგა ლორთქიფანიძე

ძალიან სწრაფად, ოპერატიულად შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდობა, ვეტერანი მსახიობები, რეჟისორები და გაგვახარა პირველი პრემიით. ეს არის ნოდარ დუმბაძის «მზიანი ღამე», რომლის დადგმაც შესთავაზა თავისივე გამოზრდილ მსახიობსა და რეჟისორს ბატონ გოგი ქავთარაძეს. (ეს ის გოგია, რომელიც სულ ახალგაზრდა ჭაბუკი ვიხილეთ (ათეული წლების წინათ) ნ. დუმბაძის პიესაში «მე ვხედავ მზეს» _ სოფლელი ბიჭის სოსოიას როლში, (რომელიც ბატონ გიგას არჩევანი იყო). მისმა ალღომ, რომელიც არასოდეს ღალატობს, მას მიანდო მთავარი როლი.

ეს იმ დროს, როდესაც თეატრში (კოტე მარჯანიშვილის) ჯერ კიდევ დიდზე დიდი ბუმბერაზი მსახიობები აზანზარებდნენ თეატრის კედლებს!

გოგი _ სოსოიამ გაამართლა მასწავლებლისა და ხელმძღვანელის არჩევანი და იმ დღიდან უცნობი ბიჭი ცნობილი გახდა თეატრალური სამყაროსთვის და, დღეს უკვე თმაჭაღარა «სოსოია» ისევ თავის მასწავლებლის გვერდითაა და სწორედ მისი რეჟისორობით დაიდგა (როგორც ზევით აღვნიშნეთ) პრემიერა «მზიანი ღამე» და დაიდგა მერე როგორ? ეს არის მასშტაბური, მონუმენტური პიესა, რომელიც დიდი სიზუსტით, დაკვირვებით. არჩეულ დასის წევრებს სწორად აქვთ გახსნილი მოქმედ გმირთა სახეები და საოცარი დამაჯერებლობით გადმოგვცემენ მათი ცხოვრების ყოფით დეტალებს, ისე რომ მთელი სამი საათის მანძილზე მათთან ერთად: გტკივა, გიხარია, იცინი და ტირი.

დღესდღეობით მე მიმაჩნია, რომ ბატონ გოგი ქავთარაძის ეს პიესა პასუხობს (მიუხედავად ნაწარმოების ხანდაზმულობისა) დღევანდელობას, რითაც ხიბლავს მაყურებელს და იცით მაყურებელი ვინ არის? ჩვენი დღევანდელი ახალგაზრდობა: თბილისის №167, №172 სკოლები და საეკლესიო სასწავლებლის მოსწავლეები.



გოგი ქავთარაძე ვ. კიკვიძის როლში მოზ.
მაყ. თეატრში

მიუხედავად «ყბადაღებული» ჩვენი ახალგაზრდობის «გატლანქებისა», (ზოგიერთის აზრით) ამ საღამომ, ჩემდა სასიხარულოდ, იმედი მომცა, დამარწმუნა, რომ ჩვენი ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი ნამდვილი, ჩვენი, თბილისის მოქალაქეები, დადებითი პიროვნებები არიან. ისინი ისე ზუსტად რეაგირებდნენ სცენაზე დატრიალებულ ცხოვრების ჯახს და ორომტრიალს, ისეთი გულისყურით ადევნებდნენ თვალყურს მსახიობების მშვენივრად შესრულებულ როლებს, ხოლო მთავარი გმირის _ თემურის (რომელსაც ახალგაზრდა ტორჩილავა მშვენივრად ასრულებს) ცხოვრება ხდება მათი სათაყვანებელი, მათი ტოლი და სწორი, თავისი ცხოვრების სიმძიმით მათი საზიარო გახდა და მთელი სპექტაკლის მანძილზე რომ იტყვიან ბუზის ფრენას გაიგებთ, ხოლო სხვადასხვა დეტალების დროს ისე ზუსტად ეხმაურებოდნენ ტაშით და ოვაციებით, რომ გაგიკვირდებოდათ.

ბატონ გოგის თავის მასწავლებლის დარად (ბატონ გიგა ლორთქიფანიძის როლებზე მსახიობების განაწილება აფთიაქის სიზუსტით არის ხოლმე შედგენილი) მშვენივრად აქვს როლები განაწილებული, განსაკუთრებით ვეტერანი მსახიობების გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს მათ მიერ შესრულებული როლები: ბატონი რევაზ თავართქილაძის არტავაზა და შალვა, ბატონ სოსო ხაინდარავას სკოლის დირექტორი და უნივერსიტეტის ანტაგონური აზრებით დატვირთული პროფესორი.

ორივე მსახიობი მაღალი ოსტატობით ასრულებენ მათზე დაკისრებულ როლებს.

მათი და მთელი კოლექტივის, ყველას, ყველას გამარჯვებაა. (მსახიობები: მარიკა გოგიჩაიშვილის საოცრად შესრულებული დედა, ტარიელ გიორგაძის აბიბო, რექტორის და ჰიტლერის ბრწყინვალე თამაში გურამ გუჯეჯიანისა, გურამი _ გიგა დუნდუა და სხვები ბრწყინავდნენ). ყველა, ყველა ერთად, ერთი ამოსუნთქვით გვთავაზობს სამსაათიან სპექტაკლს და ეს არის ბატონ გოგი ქავთარაძის მორიგი გამარჯვება, რომელიც გრძნობს სპექტაკლის ფორმას და უძებნის მას შესატყვის სტილსა და რიტმს.

მე, როგორც ერთმა რიგითმა მაყურებელმა, მინდა გულწრფელი მადლობა ვუთხრა მთელ კოლექტივს, ბატონ გოგი ქავთარაძეს, ბატონ გიგა ლორთქიფანიძეს.
ყველა მოსწავლე-ახალგაზრდობას, როგორც კარგ მაყურებელს, მათ მასწავლებლებს და მინდა იმედი გამოვთქვა «კიდევაც დაიზრდებიან» ...

პ.ს. კიდევ მრავალი ასეთი კარგი პიესებით გაეხარებინოთ თბილისის მაყურებელი: მსახიობებს, თეატრს, მათ ხელმძღვანელობას.
მათ ვუსურვებ დიდ შემოქმედებით წარმატებებს, მომავლის იმედით ერთგული მაყურებელი

ნათელა ყიფიანი
(რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ვეტერანი).

ბედნიერი შეხვედრა

რვა მარტის დღესასწაული ახლოვდებოდა, როგორც პედაგოგმა და მშობელთა «უნივერსიტეტის» პრორექტორმა, (იყო მაშინ ასეთი უნივერსიტეტი სკოლებში) მოსწავლეებთან და «უნივერსიტეტის» მსმენელებთან ერთად გადავწყვიტეთ შეხვედრა მოგვეწყო გამოჩენილ ქართველ ქალებთან, ესენი იყვნენ: ხუთგზის ჩემპიონი, ჩვენი ქვეყნის სიამაყე ნონა გაფრინდაშვილი, მხატვარი ნელი ოქროპირიძე და ამ სკოლის მხცოვანი მასწავლებელი, ლენინის ორდენოსანი ქალბატონი მარიან ყიფიანი.

ნონა გაფრინდაშვილი

პირველ რიგში სააქტო დარბაზში 20 მოსწავლესთან გაიმართა შეჯიბრი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილთან (ნონამ 19 მოიგო, ერთი სოსო ბოდაველთან ყაიმით დაამთავრა). ამის შემდეგ საზეიმოდ მოწყობილ დიდ სააქტო დარბაზში მოეწყო საზეიმო დილა. ერთმანეთს ცვლიდნენ სკოლის აქტიური მოსწავლეები: ისინი ყვებოდნენ ნონა გაფრინდაშვილის მიღწევებზე, ნელი ოქროპირიძის ნიჭიერ ნახატებზე და ქალბატონ მარიამ ყიფიანის ნამდვილ პროფესიონალიზმზე.
შემდეგ ჩვენი ცეკვის ანსამბლმა ვანო ქსოვრელის ხელმძღვანელობით აჩვენა თავისი შემოქმედება. სწრაფმა, ლამაზმა ცეკვებმა ყველა გაახალისა. კონცერტის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ჩვენი ნონა გაფრინდაშვილი და ხუმრობით ბრძანა, მე მერჩივნა

ისევ მეთამაშა 20 კი არა, 50 პარტია, ვიდრე ახლა «რეჩი» ვთქვაო. (ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა) ცოტა არ მეხერხებაო, მაგრამ მისი «შიში» ტყუილი აღმოჩნდა. მან თქვა: მე რადგან ასეთ კარგ, ცუგრუმელა ბავშვებთან მიხდება შეხვედრა და ასეთ გულანთებულ პედაგოგებს ვხვდები, არ შემიძლია, არ გაგიზიაროთ ჩემი აზრი. თქვენ ყველანი ძალიან მომეწონეთ მოსწავლეებიც და პედაგოგებიც, რომლებმაც ამდენი დრო და ენერგია დახარჯეთ, რომ ჩვენ ასე მაღალ დონეზე მომზადებულები შეგვხვედროდით და ჩვენთვის გესიამოვნებინათ. დიდი მადლობა ამისთვის თქვენ, ყველას.

მე მინდა მივმართო ახალგაზრდობას, ვხედავ ნიჭიერ და ჯანსაღ ბავშვებს. ბავშვებო «ვერავითარი ზემადლით მოცემული ნიჭი ვერ განვითარდება სრულყოფილად და ხშირ შემთხვევაში დაიკარგება კიდეც, თუ მისი პატრონი არ იქნება ძალზედ შრომისმოყვარე, მონდომებული, ბეჯითი. უამისოდ არავითარი ნიჭი არ გამოიღებს ნაყოფს, ამაში მენდეთ, მე «პატარა» გამოცდილება მაინც მაქვს». მეორე დღიდანვე ვიგრძენით ქალბატონ ნონას შეგონებით გამოწვეული შედეგი. განსაკუთრებით მაღალი კლასის მოსწავლე ბიჭები წიგნებით გატენილი ჩანთებით გამოგვეცხადნენ სკოლაში. (არადა, მთელი წელი ერთი-ორი წიგნი ჰქონდათ გარჭობილი ქამარში და რვეული გაკვეთილების აღნიშვნისთვის). რისთვისაც მადლობა ძვირფას ნონას. ავტორიტეტული სიტყვის ძალა ბევრ რამეს ნიშნავსო, ამბობენ და მართალი გამოდგა (სწავლის ხარისხმა ძალზე იმატა).

რაც შეეხება ქალბატონ ნელი ოქროპირიძეს, მას თან მოტანილი ჰქონდა თავისი ათასნაირი მასალა და იქვე ბავშვების წინ ისეთი სასწაულები გააკეთა, რომ ერთი კვირა ყველა დაწყებით კლასში, დერეფნებში მხოლოდ მისი ნაჩვენები: თოჯინებით, ბეკეკებით, ყურშებით თუ ღრუტუნებით იყო სავსე ბავშვების მერხები, თუ ჩანთები. მან იქვე მათ თვალწინ დაანახა ბავშვებს, რომ შრომა და მონდომება თუ კი აქვს ბავშვს, ახალგაზრდას, ყოველგვარ სურვილს აისრულებს.

ქალბ.ტონ მარიამ ყიფიანს პატივისცემის ნიშნად თავიანთი ნახელავი, პუშკინის დიდი ალბომი მიართვეს და მადლობა გადაუხადეს მობრძანებისთვის. (ქალბატონი მარიამი რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა და უკვე სამი წელი იყო, რაც პენსიაზე გავიდა. ამ მოსწავლეებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს სკოლის ადმინისტრაციიდან).

მე ცოტა დაღლილი, მაგრამ მაინც გახარებული და კმაყოფილი უდიდესი მადლობის მოხდით ვაცილებდი ძვირფას სტუმრებს, რომ მათ გამონახეს დრო და საათი და ჩვენი მალხაზი ბავშვების გულები გაახარეს ... დიდი მადლობა მათ. მართლაც, რომ ბედნიერი შეხვედრა იყო, ბედნიერი.

დავით ყიფიანი

მამაჩემი აკაკი ყიფიანი, ახლო ურთიერთობაში იყო დათოს მამასთან, ბატონ დავით ყიფიანთან, როგორც თვითონ გვიყვებოდა ხოლმე მე და ჩემს ძმას ირაკლი ყიფიანს (თავგადაკლული «ბალეშიკები» დათოსი) თურმე ახლა ცნობილი ექიმი, მაგრამ ახალგაზრდობაში როდესაც დავით ყიფიანი სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა, იყო ფეხბურთის გუნდის ცენტრალური მცველი და კაპიტანი. მისი «მედიკი» გამოდიოდა საქართველოს პირველობაზე, ფაკულტეტის ინსტიტუტთან და სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად და ლამაზი ფეხბურთით ხალხს სიხარულს ანიჭებდა.

დავით ყიფიანი

ხოლო რაც შეეხება დათოს. ეს მამაჩემის კუმირი იყო და მასზე დაწერილი ლექსი «სვანური ქუდი» _ (ავტორი არ მახსოვს) და გ. ფანჯიკიძის წიგნი დათოზე თავქვეშ ედო და როდესაც იგრძნო ამ ქვეყანას ემშვიდობებოდა, ანდერძი გაგვანდო: მე, რომ აღარ ვიქნები თან გამატანეთ დედაჩემის ნაწერები, დათოზე დაწერილი ლექსი და მოგონებები. ორივე შევასრულეთ.

თვით დათო ყიფიანი მე გავიცანი მოგვიანებით. მოსწავლეებმა მთხოვეს მასთან შეხვედრა მოგვიწყვეთო. მე, ორი მოსწავლის თანხლებით დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ვესტუმრეთ ბატონ დათოს და ვუთხარით ჩვენი გულისწადილი (მე მახლდა ორი ბიჭი მოსწავლე-ახალგაზრდა, რომელთაც სკოლებს შორის შეჯიბრის დროს წარმატებები ჰქონდათ ფეხბურთში და ორივეს № 10 მაისური ეცვა).

დავით ყიფიანი თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა- ინტერნატის აღსაზრდელებთან

დათომ ძალიან თბილად მიგვიღო, მოგვისმინა და გვითხრა: ახლა მე ვემზადები თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებთან შესახვედრად, გამოგიტყდებით, ძალიან ვღელავ და სხვაზე ფიქრი არ შემიძლია. ხომ იცით ამ ბავშვებს სხვანაირი, თბილი შეხვედრა მმართებს, ახლა ბოდიშს მოგიხდით, სხვა დროისთვის თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, რომ იტყვიან მზად ვარ.

სტუმრად - მწვანე მინდვრის დიდოსტატი

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს დავით ყიფიანს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იცნობენ. ფეხბურთის მაყურებელი აღტაცებულია მისი უბადლო თამაშით _ ბურთის ფლობის ვირტუოზული ტექნიკით, მოედნის საოცარი ხედვითა და უზუსტესი გადაცემებით. ამიტომ შეაშფოთა ასე ძლიერ გულშემატკივრები ესპანეთის საერთაშორისო ტურნირზე მის მიერ მიღებულმა ტრავმამ. ბუნებრივია, ყველაზე მეტად ფეხბურთის ქართველი თაყვანისმცემლები სწუხდნენ. როდის ჩადგება მწყობრში დ. ყიფიანი? _ აინტერესებთ მათ. ამ კითხვაზე უკვე გაიცა პასუხი, მაგრამ გულშემატკივრებს მაინც «ვერ მოუსვენიათ». მათ სურთ კვლავ და კვლავ შეყვარებულ სპორტსმენებს ჰკითხონ, პირადად მისგან გაიგონ ჯანმრთელობისა და სამერმისო გეგმების შესახებ. სწორედ ამგვარი შეხვედრა მოუწყვეს ამას წინათ თბილისის «დინამოს» ლიდერს დედაქალაქის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში.

სტუმარს მიესალმნენ ინტერნატის დირექტორი თ. ადამაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. ბერიაშვილი, VI კლასის მოსწავლე დ. ცერცვაძე და სხვანი. შემდეგ მოსწავლეებმა წაიკითხეს თავიანთი თანატოლის გ. დეკანოიძის ფეხბურთისა და სტუმრისადმი მიძღვნილი ლექსები.

დ. ყიფიანმა პასუხი გასცა ყმაწვილებს უამრავ შეკითხვაზე, ილაპარაკა თავის სამომავლო გეგმებზე და მადლობა გადაუხადა მათ გულთბილი მასპინძლობისთვის.

გოგო-ბიჭებმა სტუმარს თავიანთი თვითშემოქმედება უჩვენეს.

სახალხო განათლება, 1981 წლის 27 დეკემბერი

ბატონ დათოს ლეგენდარულ ფეხბურთელზე ლაპარაკობდნენ არა მარტო აქ თბილისში, საქართველოში, არამედ მსოფლიო მასშტაბით: ჰელმეტ შოინი (გერმანია) დავით ყიფიანს გუნდის მთავარ დირიჟორად თვლიდა. გავრილ კაჩალოვი «მსოფლიო კლასის ფეხბურთელადაც აღიარებდა. «ბერლინურ ცაიტუნგის» აზრით ის გუნდის «დისპეჩერი» იყო. მიხეილ ტალის აზრით დ. ყიფიანი მსოფლიო რანგის ფეხბურთელია და მან ეს კიდევ დაამტკიცა თავისი თამაშითო. 1981 წელს იყო ბევრი ასეთი ლამაზი ეპითეტები, ეს ყველაფერი გასაგებია, როგორც ფეხბურთელზე, მაგრამ როგორც ადამიანი? ხედავთ, ჩვენ ნაწყენი არ წამოვედით, პირიქით, მე ბავშვებს ვუთხარი: _ ნახეთ ბავშვებო, ბატონმა დავითმა მსოფლიო ვარსკვლავმა რა თქვა? მე უსინათლო ბავშვებს უნდა შევხვდე და ძალიან ვღელავო, რამხელა ადამიანობა, ზეკაცობა, კეთილშობილებაა მასში და გინდაც პასუხისმგებლობა იმისა, რომ ამ უსინათლო ბავშვებს იმედი გაუმართლოს, წუთიერად მაინც გაახაროს თავისი გულითადი საუბრით, სითბოთი და პატივისცემით, თორემ ისინი ხომ ვერ ხედავენ, ვინ არის ფიზიკურად მათი სტუმარი?

აი, ასე ბიჭებო ჯერ უნდა იყოთ ადამიანები თავისი ყველა კარგი თვისებით და მერე კარგი ფეხბურთელები, ისეთი როგორიც პატ. დათო ყიფიანია. დაიხსომეთ ეს. დიახ, მასწავლებელო, თქვენ მართალი ბრძანდებით, იყო პასუხი. მეც ხომ ეს მინდოდა მათგან.

პ.ს. ერთხელ შევიარე გამომცემლობა «საბჭოთა საქართველოს» რედაქციაში, ჩემი ძმისშვილის პაატა ყიფიანის ნათლიასთან, ნათელა გოგნაშვილთან (რედაქციის გამგე იყო), სადაც დამხვდა მწერალი გურამ ფანჯიკიძე (სწორედ დათო ყიფიანზე წიგნს ამზადებდა გამოსაცემად). ბატონი გურამი ყვებოდა დ. ყიფიანის ერთ შემთხვევაზე. თურმე ჩვენგან ინგლისში ჩასულები არიან ფეხბურთელები, შედგა შეჯიბრი. მოიგეს და კმაყოფილნი შევიდნენ კაფეში გამარჯვების აღსანიშნავად. დათოც იქ არის, რა თქმა უნდა. მაგიდის თავში ზის, სვანური ქუდი ახურავს და რაღაცას უყვება ბიჭებს.

ამ დროს კაფეში შემოვიდნენ ორნი. ერთი ინგლისელი (ფეხბურთის საქმოსანი) და მას თან ახლდა მთარგმნელი რუსი ახალგაზრდა. ორივე დათოს წინ გაჩერდნენ: ინგლისელმა დაიწყო ინგლისურად, დაამთავრა თავისი სიტყვა მიმართული დათოსადმი და შეხედა რუსს, რათა ეთარგმნა. მაგრამ არ დასცალდა რუსს გარჯილიყო. დათო სკამიდან ადგა, მიესალმა მოსულებს ინგლისურ ენაზე და სწორი, გამართული ინგლისური ენით საკადრისი პასუხი გასცა მოსულს. ბატ. გურამი განაგრძობს, რომ ამ ინგლისელს გაკვირვებისგან თვალები შუბლზე აუვიდა და შესძახა: მე ვიცოდი, რომ ქართველებს დიდი კულტურული ისტორია გაქვთ, მაგრამ თუ დღევანდელი რიგითი ფეხბურთელი ასეთი დახვეწილი ინგლისურით ლაპარაკობს, ამას ნამდვილად არ მოველოდი, ნამდვილად არ მოველოდიო.

მათი ლაპარაკის შინაარსი კი ასეთი ყოფილა, _ გვიხსნის ბატონი გურამი. ინგლისელს უთქვამს: დაასახელეთ თანხა და დარჩით ჩვენთან, ჩვენ ისე მოგვეწონა თქვენი თამაში _ ხელმძღვანელობამ გადავწყვიტეთ ნებისმიერ ფასად აგიყვანოთ. აქ თქვენ იქნებით ყველანაირად უზრუნველყოფილი. დაგვთანხმდით, არ ინანებთ.

ამ ჩასუქებულ, თვითდაჯერებულ ინგლისელს _ ამბობს ბატ. გურამი ჩვენმა დათომ უპასუხა: დიდი მადლობა მაღალი შეფასებისთვის, მაგრამ მე ქართველი ვარ და ჩემს ქართველ ხალხს ვერ ვუღალატებ, ჩემი აქ დარჩენა გამორიცხულია, ბოდიში, მე უნდა დაგტოვოთ. მიბრუნდა დათო ყიფიანი და პირდაღებული «სტუმრები» უკან დატოვაო. ნათელა გონაშვილმა უთხრა: ეს მომენტი ხომ შევა წიგნშიო? და თვითონვე დაადასტურა: აბა რა, აუცილებლად უნდა შევიდესო. ბატ. გურამს გაეცინა და უთხრა: _ რა თქმა უნდა, აუცილებლად შევა. ეს და სხვა ბევრი საინტერესო «კურიოზებიო». გამოგვემშვიდობა და კაბინეტიდან გავიდა.

არჩილ გელოვანი

ბატონ არჩილ გელოვანთან ჩემი დამოკიდებულება აღწერილი მაქვს წიგნში (ილია ტატიშვილის _ «მარშალი არჩილ გელოვანი») სჯობს იმ ადრეული ნაწერით ვისარგებლოთ და მთლიანად შემოგთავაზოთ.

«1952 წელს მომიხდა მოსკოვში ყოფნა და არჩილ გელოვანის ოჯახში ცხოვრება. ეს იყო ნამდვილი ქართული, მაღალი კულტურის ოჯახი, უშუალობითა და გულითადობით გამთბარი, სადაც ყველას მათ მახლობლებს დიდ პატივად და ბედნიერებად მიაჩნდათ მათთან ყოფნა, საუბარი.

მარშალი არჩილ გელოვანი

ძნელია იმის გადმოცემა, თუ ბატონი არჩილი, ეს დიდებული ვაჟკაცი, რა მოსიყვარულე იყო მეუღლისა და შვილის მიმართ. ამავე დროს ეს არ უშლიდა ხელს ვაჟიშვილისადმი მომთხოვნი ყოფილიყო. საერთოდ ბუნებით ისეთი იყო, რომ ყველგან და ყველაფერში ზომიერება და წესრიგი უყვარდა. ბატონი არჩილი იმ დროს სამსახურში დილის 10 საათისთვის მიდიოდა, შემდგომ სადილად _ 6 საათისთვის შინ იყო, ისვენებდა 9 საათამდე და მერე ისევ სამსახური, საიდანაც ხშირად ღამის _2-3 საათზე ბრუნდებოდა.

სადილობის შემდეგ, როგორც წესი, ისვენებდა. ეძინა, რათა ენერგია აღედგინა. მაგრამ მიუხედავად დროის ბიუჯეტის ასეთი შეზღუდვისა, ბატონი არჩილი ამ პერიოდში ახერხებდა და სისტემატურად თვითონ იბარებდა ვიქტორისგან გაკვეთილებს. ჯერ საშინაო დავალებებს უმოწმებდა ბავშვს (მათემატიკა _ რუსულში), შემდეგ ზეპირს გამოკითხავდა.

ვიქტორი უნიჭიერესი ბავშვი იყო, მთელი ზეპირი მასალა სხაპასხუპით იცოდა ყოველთვის, მამას ბრწყინვალედ აბარებდა გაკვეთილებს, მაგრამ ბატონი არჩილი შექებასა და ხოტბა-დიდებაზე თავშეკავებული გახლდათ. როდესაც ქალბატონი ქეთევანი, რომელიც მუდამ მის მახლობლად ტრიალებდა, ეტყოდა ხოლმე: აჩიკო, ნუთუ არ მოგეწონა ვიკას პასუხი, შეუქე, ნახე როგორ კარგად გიპასუხაო, არჩილი ღიმილით მოხვევდა ხელს მეუღლეს და ცალკე, (ბავშვს რომ არ გაეგო), დაბალი ხმით ეუბნებოდა: ჩემო ძვირფასო, ეს ასეც უნდა იყოს, ბავშვმა ყოველდღიური დავალება ბეჯითად უნდა ისწავლოს, რომ მეხსიერებაში დიდხანს გაჰყვეს, თორემ ზერელედ ნასწავლი ქარივით გაიქროლებსო. ასე მთხოვდნენ მე ჩემი მასწავლებლები: დონდუა, აბდუშელიშვილი, სკოლის დირექტორი მიხეილ ზანდუკელი და დღესაც მათი მადლიერი ვარო. ქეთევანიც უდასტურებდა, სწორი ხარ არჩილ, კარგი მასწავლებლის ფასი არაფერია ამ ქვეყანაზე.

მე ვხედავდი, რომ ვიქტორის მეცადინეობაზე დახარჯული დრო მისი დასვენების საათებს აკლდებოდა და მორიდებით შევთავაზე ჩემი სამსახური, ბატონო არჩილ, სანამ აქ ვარ, ვიკასგან გაკვეთილებს მე ჩავიბარებ-მეთქი. (იმ დროისათვის მე უკვე

ქეთევან გელოვანი

პედაგოგობის ხუთი წლის სტაჟი მქონდა). არჩილმა ღიმილით შემომხედა და მითხრა: ვიცი, ჩემო ნათელა, რომ მე გინდა მომეშველო, მაგრამ შენც ხომ გჭირდება დრო სწავლისა და სანახაობებისთვისო. მე დავარწმუნე, რომ ყველაფერს მოვასწრებდი და მაშინ ბატონმა არჩილმა ვიქტორთან მიმიყვანა და მთელი სერიოზულობით უთხრა: «ვიკა, ნათელა დეიდა მასწავლებელია, ბევრ შენისთანა მოსწავლეს ასწავლის, დღეიდან ჩემს მაგივრად ყოველ დღე მას ჩააბარებ გაკვეთილებს, ხოლო კვირის ბოლოს ნათელა დეიდა მე მეტყვის, თუ როგორ გამოიჩინე თავი.» ეს ისეთი ღირსებით წარმოთქვა არჩილმა, რომ ვიქტორმა მთელი მონდომებითა და პასუხისმგებლობით დაიწყო მეცადინეობა და ცდილობდა ჩემი მადლობა დაემსახურებინა. აქვე უნდა ვთქვა, რომ ვიქტორისთვის პრობლემა არ არსებობდა სწავლაში, იგი ძალიან სწრაფად ასრულებდა მათემატიკის დავალებებს, მაგრამ ჩქარობდა და ამიტომ «თხუპნია» იყო. მეც სწორედ იქითკენ გავამახვილე ყურადღება და კარგი შედეგი მოგვცა. მისი ნაწერის ნახვას არაფერი სჯობდა, როცა ერთი კვირის შემდეგ რვეული მამას მიუტანა და მეც ჩავაბარე კვირის «ანგარიში», არჩილმა ქეთევანი მოიხმო და უთხრა: _ აი, ჩემო ქეთო, პროფესიულობას რა დიდი ძალა აქვს. ამიტომაა, რომ მე დიდი თაყვანისმცემელი ვარ მასწავლებლების, ხედავ რა სასწაული მოხდაო? იმ წუთში რომელი უფრო ბედნიერი ვიყავით ასეთი შეფასებით, მე თუ ვიკა, არ ვიცი, იმდენად დიდი იყო არჩილის სიტყვების ძალა. სამაგალითოა, რომ ასეთი მოუცლელი კაცი, როგორიც ბატონი არჩილი იყო, ამდენ დროსა და ენერგიას უთმობდა ბავშვის აღზრდასა და სწავლას.

საგულისხმოა ერთი ასეთი შემთხვევაც. ერთხელ მე და ვიკა სახლში მარტონი ვიყავით და კარზე ვიღაცამ მოგვიკაკუნა, მეზობელი აღმოჩნდა, არჩილს კითხულობდა. როდესაც გაიგო, რომ შინ არ იყო, გვითხრა: _ იცით, სკოლაში ბავშვების ექსკურსია გვინდა მოვაწყოთ და მისი რჩევა გვჭირდებაო. როგორც შემდეგ ქეთევანისგან გავიგე, არჩილი სკოლის მშობელთა კომიტეტის წევრად აურჩევიათ და მიუხედავად თავისი დიდი

მოუცლელობისა, აქტიურად ყოფილა ჩაბმული სკოლის ცხოვრებაში _ რა დიდებული მაგალითია მოსწავლეთა მამებისთვის!

მაგონდება მეორე შემთხვევაც. ერთხელ ვიქტორი აღელვებული, აწითლებული და მთლად მტვერში ამოგანგლული მოვიდა სკოლიდან. ქალებმა შევიცხადეთ ვიკას ასეთი მოსვლა (ბავშვი ყოველთვის სანიმუშოდ მოწესრიგებული მიდიოდა სკოლაში) და დავიწყეთ ამბის გამოკითხვა. ამ დროს არჩილიც შინ ბრძანდებოდა. ვიკამ გვითხრა: რომ მე და ჩემი ამხანაგი გამოვესარჩლეთ გოგონას, რომელსაც ორმა ბიჭმა ბაფთები მელნით დაუსვარაო. ისინიც ორნი იყვნენ, ვერ მოვითმინეთ ლენკას ტირილი (ასე ერქვა იმ გოგონას) და ბიჭები მაგრად ვცემეთო. მართალია, ჩვენც მოგვხვდა, მაგრამ ისინი ტირილით წავიდნენ შინო.

არჩილმა ალერსით გადაუსვა კოპზე ხელი და უთხრა: გოგონას, სუსტ არსებას, ქომაგად უნდა დაუდგე, გამოესარჩლო, მაგრამ ძალიან ზედმეტი ხომ არ მოგივიდა, ისინიც ხომ შენი ამხანაგები არიან და არ უნდა გადააჭარბოო.

ვიკა რომ გავიდა, გვითხრა: აქედანვე უნდა შეეჩვიოს ყველა ვაჟკაცურ თვისებებს ბავშვი, თორემ შემდეგ გვიან იქნებაო.

მახსენდება ერთი ასეთი შემთხვევაც. 8 ოქტომბერს ვიკას დაბადების დღე იყო და მხოლოდ ვიწრო წრემ, ახლო ნათესავებმა მოიყარეს თავი. ვიკას უთხრეს, ის ლექსი წაგვიკითხე, სკოლის დღესასწაულზე რომ გამოხვედი და როგორც საუკეთესო მთქმელს, ყვავილები რომ მოგართვესო. ბავშვმა ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსი «პასპორტი» წაიკითხა და მართლა ისეთი შეუდარებელი ოსტატობითა და არტისტიზმით, რომ სტუმრებმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს.

არჩილმა თავშეკავებულად გაიღიმა. ბავშვი სათამაშოდ გაუშვა და ჩვენ გვითხრა: მართალია, ვიკამ კარგად წაიკითხა ლექსი ბავშვის კვალობაზე, მაგრამ მე არ ვეთანხმები მასწავლებელს იმაში, რომ 8 წლის ბავშვს ასეთი დიდი მოცულობის და ასეთი საპასუხისმგებლო ლექსის სწავლას ავალებს და ყვავილებითაც აჯილდოებს. ამით ბავშვი ქედმაღლობას ეჩვევა. ეს კი მის თანატოლებში შურს გამოიწვევს, შურს სიძულვილი მოჰყვება და ეს ხომ საშინელებაა. ზომიერება და მხოლოდ ზომიერება მართებს ყოველ აღმზრდელს ყრმების მიმართ სკოლაში იქნება ეს, თუ სახლშიო. ასეთი იყო ბატონი არჩილი თავისი ერთადერთი პირმშოს მიმართ, რომელიც ყველაზე დიდი, ნაზი გრძნობით უყვარდა, რაც კი შეიძლება მამა-შვილს შორის არსებობდეს. ალბათ სწორედ ამიტომაც შვილისათვის მამა იყო ეტალონი ყოველგვარი სიკეთისა, სამართლიანობისა და წესიერებისა. ეს თვისებები კი არჩილს, როგორც სრულყოფილ ადამიანს, თავისი ქვეყნის დიდ მოჭირნახულეს და ოჯახის მამას _ ჭარბად ჰქონდა.

რაკი დაბადების დღე ვახსენე, სხვა ამბავსაც მინდა შევეხო, არჩილ გელოვანის ოჯახში დამკვიდრებული წესი იყო, რომ დაბადების დღეზე საჩუქარი არავის მოეტანა, ხოლო თვითონ დედ-მამა იმ დღეს ბავშვს კარგი წიგნით, მხატვრული ლიტერატურით ასაჩუქრებდნენ და ასე ულოცავდნენ დაბადების დღეს. ბავშვიც გულწრფელი აღტაცებით ღებულობდა საჩუქარს, რადგან უზომოდ უყვარდა ლიტერატურის კითხვა და იმ დროისთვის ყველა ხალხური ზღაპარი თითქმის ზეპირად იცოდა. მე ვიკას დაბადების დღე პატარა ცოცხალი ოქროს თევზებით მივულოცე. ვიკამ მამას შემოსვლა არ აცალა, გახარებულმა მიუბენინა აკვარიუმი თევზებით _ ბატონმა არჩილმა კი საყვედურით მითხრა: ნათელა, რა საჭირო იყო ასეთი საჩუქარი, ეს ხომ შენ მოიკელი, მიკვირს ჩემმა ქეთომ როგორ დაგრთო ნებაო. მე უხერხულობა ვიგრძენი. არჩილმა ეს შემამჩნია, გვერდზე მომიჯდა და მითხრა: «ჩემო ნათელა, ბავშვს იმისათვის კი არ უნდა უხაროდეს დაბადების დღე, რომ ვინმე რაღაცას მოუტანს, არამედ იმისთვის, რომ გაიხსენეს, მისი ოჯახი დააფასეს და თავიანთი მოსვლით საჩუქარზე მეტად

გაგვახარეს». არჩილი სრულ სიმართლეს ბრძანებდა და მეც, ცხადია, დავეთანხმე, მაგრამ წარმოვიდგინე რა ჩვენში გამჯდარი ჩვეულება, გულში გავივლე, «ეჰ, ნატავი ყველა ასე ფიქრობდეს-მეთქი».

მარტო ამ ტრადიციების მიმართ კი არ იჩენდა არჩილი თავისებურ კრიტიკულ მიდგომას, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ საკითხებშიც ზომიერებისა და წესიერების მომხრე იყო.

აი ერთი ასეთი დამახასიათებელი დეტალიც. ქალბატონი ქეთევანი ექიმი ქალია და იმ დროისათვის მუშაობდა სკლიფასოვსკის სახელობის საავადმყოფოში, რომელიც მათი ბინიდან საკმაოდ მოშორებით მდებარეობდა. რადგან საავადმყოფოში მუშაობა მორიგეობით იყო, ქეთევანს სახლიდან გასვლა დილის 8 საათზე უხდებოდა და ხან საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობდა, ხან ტაქსით. ამჯერად ტრანსპორტი ისე ყოფილა გადატვირთული, რომ დიდხანს მოხდენია გარეთ ყინვაში დგომა და შესცივნია. როდესაც საღამოს არჩილი მოვიდა, ქეთევანი შეუძლოდ დახვდა. უნდა გენახათ, როგორ შეაწუხა არჩილი ამ ამბავმა, ცრემლიც კი მოადგა თვალზე ამხელა ვაჟკაცს და სასწრაფოდ ყველა ღონე იხმარა, რომ როგორმე მალე ფეხზე დაეყენებინა. მეორე დღეს ქალბატონ ქეთევანს ვკითხე: ქალბატონო ქეთევან, რა იქნება დიდი ყინვების დროს მაინც გამოიყენოთ ის მანქანა, რომელიც ბატონ არჩილს ემსახურება? ქეთევანმა მიპასუხა; ჯერ ერთი, მე რვაზე გავდივარ, მანქანა კი არჩილის წასაყვანად ცხრაზე მოდის., და მეორეც, საერთოდ არ ყოფილა შემთხვევა, რომ არჩილს მანქანა სამსახურეობრივი საქმის გარდა სხვა რამეზე გამოეყენებინოს. ამაზე მკაცრად ვართ ყველანი გაფრთხილებული. საოჯახო საქმეებისთვის ტაქსი არსებობს და სამსახურის მანქანას მაგაზე როგორ მოვაცდინო.

არადა არჩილზე გაცილებით უფრო პატარა თანამდებობის ხალხს სხვაგვარად ესმის ზოგჯერ სამსახურეობრივი მანქანის დანიშნულება?! _ გავიფიქრე მე.

არჩილი დიდად მომლხენი ადამიანი იყო სტუმრებთანაც და საკუთარ ოჯახურ წრეშიც. ერთ რამედ ღირდა ის, რომ პიანინოს დაუჯდებოდა და კლასიკურ ნაწარმოებებს უკრავდა, ხოლო ქალბატონი ქეთევანი სასიამოვნო ხმით «მადამ ბატერფლაის» არიას რომ ასრულებდა ოპერა «ჩიო-ჩიოსანიდან». ამ დროს ხშირად შემოსულან მეზობლები ისე, უბრალოდ, ამ «საოცარი სიმღერების» მოსასმენად. მაგრამ განსაკუთრებით დაუვიწყარი იყო ის საღამოები, როდესაც არჩილს მისი ბიძაშვილი _ცნობილი მსახიობი მიხეილ გელოვანი ეწვეოდა ხოლმე თავისი ახალგაზრდა მეუღლით. მახსოვს ერთ-ერთი ასეთი სასიამოვნო საღამო იყო 8 ოქტომბერს, ზემოთ რომ ვახსენე, ვიქტორის დაბადების დღეს. აი, დიასახლისი პიანინოს მიუჯდა და ცეკვა «ქართულის» ხალისიანმა ჰანგებმა შესძრეს დარბაზი. არჩილმა ხელები გაშალა და ლამაზად ჩამოუარა წრეს. ლუდმილა (მიშას მეუღლე) გამოიპატიჟა, იმანაც არ დააყოვნა და ნარნარად გაჰყვა «ვაჟს», შემდეგ თვითონ არჩილი მიუჯდა ინსტრუმენტს და «ციცინათელას» და «სულიკოს» განუმეორებელმა მელოდიებმა დაატკბეს იქაურობა.

მაგრამ მარტო ასეთ სადღესასწაულო დღეებში კი არ იყო ბატონი არჩილი მომხიბლავი. სტუმართმოყვარეობასთან ერთად მასში ძალზე იყო განვითარებული საერთოდ კაცთმოყვარეობის მაღალი გრძნობა, რასაც იგი უცხო თუ ახლობელ ადამიანებთან ყოველდღიურ ურთიერთობებში ამჟღავნებდა. ჩემში აღტაცებას იწვევდა მისი დამოკიდებულება, მაგალითად, თავისი სიდედრის, ქალბატონი ქეთევანის დედის მიმართ. როგორი ალერსით, თბილის სიტყვებით მოიკითხავდა შინ მოსვლისთანავე. ხშირად გვერდზე მიუჯდებოდა და ტკბილად ესაუბრებოდა, გულით უყვარდა, პატივს სცემდა. შემდეგ, როდესაც ეს შესანიშნავი მანდილოსანი გარდაიცვალა, იმდენად დიდი იყო არჩილის მწუხარება და ჭირისუფლობა, რომ თითქმის ლეგენდად იქცა.

ნათესავებისადმი ასეთი ყურადღება, მათი ჭირ-ვარამისადმი თანაგრძნობა, არჩილისათვის შემთხვევითი ამბავი არ ყოფილა, იგი სისხლში ჰქონდა გამჯდარი ამ დიდბუნებოვან ადამიანს. მაგალითად, როდესაც გ. ტოგონიძის ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა თავს და ჯერ შვილი თამაზი დაეღუპა, ხოლო შემდეგ გიორგის მეუღლე ლილი გარდაიცვალა, რომელიც არჩილის ბიძაშვილი გახლდათ, არჩილი მთელი ოჯახის შემადგენლობით ჩამოვიდა თბილისში და გიორგი ტოგონიძეს მხარში ამოუდგა მისი დიდი მწუხარების ჟამს.

ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი _ უდიდესი ინტელექტის ადამიანი, განსახიერება სიწმინდისა და პატიოსნებისა ... კაცი, ფანატიკურად შეყვარებული თავის ქვეყანაზე, თავის ხალხზე _ ასეთი რწმენა წამომყვა არჩილ გელოვანის ოჯახიდან.

მაგონდება 30 წლის წინათ ამ ოჯახიდან წამოღებული დიდი ადამიანური სითბო, რომელიც ჩემში დღესაც არ განელებულა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მისი უზადო, ჭეშმარიტად ნათელ პიროვნებასთან ნაცნობობაც კი ყველა ერის ადამიანისთვის უთუოდ დიდად საამაყოა. დიდი მადლიერების გრძნობით ვიხსენებ ამ ოჯახში გატარებულ ჩემთვის ძვირფას დღეებს, რომელთა სანუკვარი მოგონება მარად იცოცხლებს მის გულში.

ნაწყვეტი ილია ტატიშვილის წიგნიდან
«მარშალი არჩილ გელოვანი»



ბატონ არჩილის მეუღლე ქეთევან ალხაზიშვილ_გელოვანისა ჩემთან ძალიან ახლო, თბილ დამოკიდებულებაში იყო და სწორედ მან პირველმა ღია ბარათით მომილოცა გათხოვება და კეთილი სურვილები მისურვა. ქალბ. ქეთევანი სამი წელი ზედიზედ ჩამოდიოდა 80-იან წლებში ქობულეთის სანატორიუმში დასასვენებლად და ბათუმში მესტუმრებოდა ხოლმე. მისი უშუალო ჩარევით დაიდგა ძეგლი იმ საავიაციო

სასწავლებელში, რომელიც ბატონ არჩილ გელოვანის სახელს ატარებს. გვქონდა კურსანტებთან შეხვედრა, სადაც ბატონ არჩილზე დაწერილი წიგნი (ილია ტატიშვილის გამოცემით) დავურიგეთ.

დავესწარით ბატონ არჩილის ძეგლთან ფიცის დადებას ახალმიღებულ კურსანტების მიერ და საზეიმო კონცერტს მიძღვნილს ბატონ არჩილისადმი. მე ჩავატარე სკოლაში ლექცია ბატონ არჩილის ცხოვრებაზე ქ. ბათუმის 22-ე სკოლის მოსწავლეების, მათი მშობლებისა და პედაგოგების წინაშე. (გთავაზობთ ამ საღამოს შესახებ სტატიას გამოქვეყნებულს «საბჭოთა აჭარაში»).

ხსოვნის საღამო

ქ. ბათუმის №22-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტში IV კლასის მოსწავლეებს მოეყარათ თავი. ეს არ იყო ჩვეულებრივი, რიგითი კრება, მშობელთა თავყრილობა საბჭოთა კავშირის საინჟინრო ჯარების მარშლის არჩილ გელოვანის ხსოვნას მიეძღვნა.

კლასის ხელმძღვანელი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლეილა ჯაველიძე ოთახში საპატიო სტუმარს შემოუძღვა და მშობლებს წარუდგინა არჩილ გელოვანის ნათესავი, კომკავშირული მოძრაობის და შრომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი პედაგოგი ნათელა ყიფიანი. ისაუბრეს ილია ტატიშვილის წიგნზე «მარშალი არჩილ გელოვანი». მასში არის ნათელა ყიფიანის მოგონებაც.

არჩილ გელოვანის ბიოგრაფია, საზოგადოებისთვის მისი დამოკიდებულება უაღრესად დახვეწილი იყო. იგი, როგორც მშობელი და საუკეთესო აღმზრდელი, გულწრფელად და მოწიწებით მოიგონა პედაგოგმა ნათელა ყიფიანმა, რომელიც ერთხანს გელოვანების ოჯახში ცხოვრობდა და მათთან ურთიერთობა უხდებოდა.

სტუმარმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება არჩილ გელოვანის, როგორც მშობლის თვისებებზე, დაასახელა ცხოვრებისეული მაგალითები, რომლებიც ცხადყოფდნენ მამა-შვილის დამოკიდებულებას, არჩილ გელოვანის ადამიანურ, სამართლიან შრომისმოყვარე, პრინციპულ, სტუმართმოყვარულ, თბილ მოსიყვარულე და მხიარულ ბუნებას, ასეთად ზრდიდა იგი პატარა ვაჟიშვილსაც.

არჩილ გელოვანს ფანატიკურად უყვარდა თავისი ქვეყანა, თავი ხალხი.

კიდევ ბევრი რამ მოიგონეს საინჟინრო ჯარების მარშალზე, საოცარი სითბოთი და სიყვარულით გაიხსენეს იგი.

მშობლებმა ერთხმად გადაწყვიტეს მსგავსი საღამოები ტრადიციად აქციონ, ყოველ წელს ხსოვნის დღეებზე მოიგონონ სახელოვანი ადამიანები, შეხვდნენ მათ მეგობარ-ნათესავებს, უფრო ახლოს გაიცნონ ერის საამაყო შვილები.

ნათელა ოსეფაშვილი
«საბჭოთა აჭარა»

ბატონი არჩილის და ქალბ. ქეთევანის ერთადერთი ვაჟი ვიქტორი ცხოვრობს მოსკოვში, არის აკადემიის აკადემიკოსი, ჰყავს მეუღლე ქართველი ანა და ვაჟიშვილი არჩილი. მათ ამ ლამაზ ოჯახში (მიუხედავად დიდი ხნის რუსეთში ცხოვრების) ქართული სული ტრიალებს – ყველა თავისი ზნეჩვეულებითა და საოცარი ქართული სტუმარმასპინძლობით.

ასე იყო ბატონ არჩილისა და ქეთევანის დროს და ასეა ახლაც. ბატონი არჩილი მოსკოვში «ნოვოდევიჩის» ცნობილ სასაფლაოზე განისვენებს, ქალბატონი ქეთევანიც, რა თქმა უნდა, მის გვერდით არის. მაგრამ ბატონმა ვიქტორმა აქ, თბილისში ქაშვეთის ეკლესიის კედლებში გადაუხადა წლისთავი და ყველა ნაცნობ-ნათესავი მიიპატიჟა სუფრაზე, რათა ჩვენებურად, ქართულად, ყოფილიყო აღსრულებული ეს წმინდათაწმინდა რიტუალი. რითაც ათმაგად დაიმსახურა სიყვარული და პატივისცემა ვიქტორ გელოვანმა. გვიმრავლოს ასეთი მამულიშვილები ბუნების ძალამ ჩვენი ერის გასაძლიერებლად, საკეთილდღეოდ.

მოგონებები ძირძველ გორელებზე

მინდა ამ მოგონებით პატივი მივაგო ჩემს წინაპრებს, რომელთა სათნო, კეთილი სახე ახლაც თვალწინ მიდგას. რომელთა ფეხვებიც არაგვის ხეობაში იწყება და იმ დიდი გვარის შვილები იყვნენ, როგორიცაა ამილახვრები.

ანა

ბებიაჩემი ანა თბილისში გათხოვდა, ხოლო დეიდა სოფო გორში დაფუძნდა. ზაფხულობით იქ ჩავდიოდით. იქ ვინ დაგვხვდებოდა? ბებიაჩემის და, ყველაზე ლამაზი, სანდომიანი ქალი სოფო, რომელიც თავისი დიდი ოჯახით შიგ გორში ცხოვრობდა: მას და მის მეუღლეს მიხას დიდი კარმიდამო და სახლ-კარი ჰქონდათ. ჰყავდათ სამი შვილი: მარუსა, ნიკა და შოთა (შინაურულად ოთარს ვეძახდით). ამ მშრომელ, პატიოსან კაცურ-კაცობის სახელის მქონე ოჯახში, ყველას მიგვიხაროდა ჩასვლა. განსაკუთრებით სოფო ბებო, თავის დას ანას, რომ დაინახავდა (ლამაზად ჩიხტიკოპით მოკაზმულს, ფაქიზს და ალერსიანს), სახლიდან მარდად გამოვიდოდა, პირველად იმას მიესალმებოდა, მოიკითხავდა და მერე ჩვენ მოგვხედავდა (დედაჩემს და ჩემს და-ძმას) ხოლმე. ეს ოჯახი ძირძველი გორელები გახლდნენ. უყვარდათ თავისი

სოფიო

მიწა-წყალი, თავისი მხარე და როგორც გამრჯე, მშრომელი ადამიანები, მასპინძლებიც კარგები იყვნენ და სტუმარიც არ ილეოდა მათ დიდ ოჯახში. ერთი ზაფხულის სტუმრობის დროს დედაჩემმა (ანასტასიამ) თავის დეიდას სოფოს ჰკითხა: «დეიდ, როგორც დედაჩემისგან ვიცი, შენ და კეკე, სოსო ჯუღაშვილის დედა, ერთი კბილა იყავით, მეზობლადაც ახლოს ცხოვრობდით და მართალი გეცოდინება: რათა ლანძღავენ კეკეს სახელს და ათას ტყუილ-მართალს ამბობენ, იქნებ შენ იცი მართალი, იქნებ მოგვიყვე?»

ეკატერინე (კეკე) ჯუღაშვილი

სოფო ბებომ ერთი შეხედა დისშვილს და დინჯად, აუჩქარებლად დაიწყო: ხო, კეკე ჩემი ტოლი და სწორი იყო. პატიოსანი, კეთილი, სუფთა, ძალზე სუფთა ქალი. ბესო მისი ქმარი ლოთობდა (ორი შვილი, ისიც ბიჭები, სოსოზე ადრე მოუკვდათ და დარდზე დაიწყო სმა, ღმერთი გადამიდგა, ორი შვილი სიკვდილმა წამართო და ღვინით მაინც არ გავიქარვო გულიო...) და მიჰყვა და მიჰყვა. სულ მთვრალი იყო.

რა ექნა საწყალ კეკეს, ადგა და (გაზულუქებუულ, მდიდარ ვაჭრის ოჯახში) დაიწყო მრეცხავობა. სახლში მოჰქონდა სარეცხი, გააქთქათებდა და ისე დაუთოვებულ, გაწკეპილ სარეცხს მიართმევდა «კნეინა» ვაჭრის ცოლს. ამ სარეცხში ერია ამ ვაჭრის ცოლიდ საცვლები. კეკე, გარეთ ქუჩისპირა აივანზე ჰკიდებდა გასაშრობად. (წინათ ზორტებიანი, კროჟოვებიანი საცვლები ჰქონდათ მდიდარ ქალბატონებს), კეკე ეგრე ფართოდ ფენდა, რომ მალე გამშრალიყო. გამვლელ-გამომვლელი (მითუმეტეს კაცები) ქირქირებდნენ მაშ, ეგ თუ პატიოსანი ქალია, ე, ნიფხვები ესე უნდა გაფინოსო? ალბათ ნიშანს გვაძლევს კაცებს, მოდით, ნახეთ, რა კოხტა საცვლების პატრონი ვარო (იმ კაცებმა რა იცოდნენ, ვისი იყო ეს საცვლები, კეკესი თუ ვაჭრის ცოლის, კეკეს აივანზე ფრიალებდა თვალსაჩინოდა). ჰო და ხალხს მეტი რა უნდა, მაგათ ყბაში ჩავარდნა მტრისას და წავიდა და წავიდა ჭორი. თორემ კეკე ერთი მშრომელი, ქმარ-შვილის მოყვარე, მომვლელი ქალი იყო. განსაკუთრებით სოსოს სემინარიაში ასწავლიდა და ცდილობდა, არაფერი არ მოეკლო თავისი ერთადერთი ვაჟისთვის.

ი.ბ. სტალინი

ეს იყო სულ ჩემო ტასო, ამ ჭორის მიზეზიცა და საბაბიც. კეკე მართალი ქალი იყო ისე, როგორც ზევით მზე ანათებს და ქვევით ბალახი ხარობს». დაამთავრა სოფო ბებომ თავისი მოყოლა, თავის დაქალზე კეკე ჯუღაშვილზე. დედაჩემმა შვებით ამოისუნთქა და თქვა: გაგახარა ღმერთმა, ძლივს არ გავიგე სიმართლეო. ეს იქნებოდა (1939-40წელი) ომამდე.

ამავე წერილის გაგრძელებად მინდა შემოგთავაზოთ ჩვენი სოფო ბებოს მონაგარის შესახებ. მონაგარი კი ძალზე კარგი, სახელოვანი ხალხი დატოვა ჩვენმა სოფო ბებომ.

როს მსოფლიოს....

როს მსოფლიოს ბევრი ხალხი
თაყვანს სცემდა ცეცხლს და მზესა,
მაშინ ქართლში წმინდა ნინო
ქადაგებდა ქრისტეს წესსა.

როს მსოფლიოს ბევრსა ხალხსა,
არა ჰქონდა ანი-ბანი,
მაშინ ქართლში რუსთაველმა
შექმნა «ვეფხისტყაოსანი».

როს კოლუმბი შუა ზღვაში,
ამერიკას დაეძებდა,
მაშინ ქართლში ვახტანგ მეფე,
კანონების წიგნსა სცემდა.

როს მსოფლიოს მოევლინა
ფაშისტური შავი ჭირი,
აქაც მხსნელი, ქართლის შვილი
იყო სოსო ჯუღაშვილი!

ლექსი მოგვაწოდა ბატონმა
ვალერიან შარაშენიძემ,
ბათუმიდან

მოგონებები გორზე
(ანუ დეიდაჩემ სოფიოს ნაფუძვარი)

მახსენდება გორში გატარებული ბავშვობა. რა სიხარული მოჰქონდა ჩვენთვის ბავშვებისთვის გორში გამგზავრებას და სოფო დეიდასთან ზაფხულის ცხელი დღეების გატარებას. მახსენდება მათი მამული, გადამწიფებული ხილის სურნელი, მოფუსფუსე მებაღეები, მიწაზე ფეხშიშველა მორბენალი ბავშვების ყიჟინა და ჩემი საყვარელი დეიდაშვილები, რომელთაგან ერთი დღესაც მხნედ გამოიყურება. მიუხედავად მისი ასაკისა და თავისი მშობლების ტრადიციების გამგრძელებელია.



ეს ლამაზი სურათი გვიამბობს იმაზე, თუ როგორი ძლიერია ნამდვილი სიყვარული . ერთად ცხოვრებით სამოცდახუთი წელი გაატარეს შოთა და ნუნუ თვაურებმა . გადაიხადეს ვერცხლის, ოქროსა და ახლა ემზადებიან და ალბათ პირველები იქნებიან, რომ გადაიხდიან

პლატინის ქორწილს. ვინაიდან მათი სიყვარული ისეთივე სუფთა და ძლიერია, როგორც სამოცდახუთი წლის წინ. ეს ლამაზი წყვილი ტოვებს თავის შთამომავლობას ისეთივე კარგს და სასახელოს, ეროგორც თავად არიან.

ქალაქში დადის ადამიანი მშრომელი, პატიოსანი, ერთგული, უამბიციო, სანიმუშო მამა და სანიმუშო პაპა ოჯახის მოსიყვარულე მეუღლე, მაგალითის მიმცემი თავისი შთამომავლობისთვის და მისაბაძი თავისი თანამოქალაქეებისთვის, და რომელსაც თავისი გენეტიკა შუბლზე აწერია. ეს არის შოთა თვაური.

დაუღალავად შრომობდა და იღვწოდა, მისთვის დღე და ღამე ერთი იყო და ახლობლებისთვის დახმარება უდიდესი სიამოვნება, გარს ყოველთვის უამრავი ადამიანი ეხვია. მიუხედავად ასაკისა და სოციალური მდგომარეობისა, მისგან მხოლოდ სიკეთე და უდიდესი კეთილშობილება გამოსჭვიოდა და აი, 88 წლის მოხუცი ახლაც ხარობს თავისი მონაგრით და იმ განვლილი გზით, რომელიც ასე ეამაყება, ის უფლის წინაშეც მართალია და ქვეყნის წინაშეც. მისთვის მეგობრებს ლექსებიც კი მიუძღვნიათ, მეგობრები კი იცოცხლეთ უამრავი ჰყავდა. 60 წლის მანძილზე გვერდს უმშვენებს სათნო და კეთილშობილი პიროვნება, _ მეუღლე ქალბატონი ნუნუ, რომელიც ასევე ღირსეული მშობლების ღირსეული შვილი იყო, მათ შექმნეს ულამაზესი ოჯახი და მართლაც უფლისგან დალოცვილი, სამშობლოს სამი სრულფასოვანი შვილი გაუზარდეს.

მარჯვნიდან მარცხნივ მარინა თვაური-ტატიშვილისა, ანა ნადირაძე-ტატიშვილლისა, უფროსი შვილთაშვილი თაკო ექვთიმიშვილი და ქეთევან თვაური-ექვთიმიშვილისა.

უფროსი ვაჟი თეიმურაზ თვაური ერთ-ერთი წამყვანი იურისტია, იგი მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორია, სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთი თანაავტორი. მაღალ თანამდებობებზე ნამუშევარი, ცხინვალისა და აფხაზეთის ომის ვეტერანი და ღირსების ორდენის კავალერი. მეუღლე ნატა დავლაშვილი, ეკონომიური მეცნიერებათა დოქტორია. სამი შვილის, და სამი შვილიშვილის ბაბუაა. შვილები ქეთევანი და ლაშა მამის კვალს გაჰყვნენ. სიძეც ვასილ ექვთიმიშვილი იურისტია და ერთგულად ემსახურება სამშობლოს, რძალი ირინა შოშიაშვილი პროფესიით ექიმი, ოჯახის

მოსიყვარულე და ერთგული რძალია. მესამე შვილი შოთიკო აბიტურიენტია და ალბათ, მომავალი იურისტი იქნება.

მეორე შვილი მარინა ექიმია, 30 წელია ღირსეულად ემსახურება თავის პროფესიას, რომელიც ასე ბევრს მოითხოვს მისგან. მისთვის ადამიანების დახმარება წესადაა ქცეული. თავის საყვარელ მეუღლე თამაზი ტატიშვილთან ერთად მრავალი ადამიანისთვის მაგალითის მიმცემები არიან.

მათი ერთადერთი ვაჟიშვილი გიორგი ტატიშვილი საქართველოს პარლამენტის წევრია. ის მაჟორიტარი დეპუტატია ქალაქ გორიდან, გიორგი პირნათლად ემსახურება თავის ქვეყანას და სახელოვანი გამგრძელებელია თავისი წინაპრების, ის ღირსეული შვილი და შვილიშვილია თავისი ოჯახის.

მეუღლე ანა ნადირაძე _ ექიმი, ახალგაზრდა, გულნათელი და პირნათელი, ცხოვრებას მოწყურებული, უზომოდ შეყვარებული მეუღლესა და ოჯახზე, საამაყო შვილი და შვილიშვილია თავისი საამაყო პაპების და ბებიების, რომლებსაც გორის სინამდვილეში თვალსაჩინო ადგილი ეკავათ. ესენი იყვნენ: კონსტანტინე (კოწო) ნადირაძე და რამზეს მაზმიშვილი. რომელთა გვარები და სახელები ასეთი სათუთია ყველა გორელისთვის.

მესამე შვილი მიხეილ თვაური _პროფესიით იურისტი, წლების მანძილზე მსახურობდა ძალოვან სტრუქტურებში, ისიც ცხინვალისა და აფხაზეთის ომების ვეტერანია და ერთგულად აქვს ვალი მოხდილი ქვეყნის წინაშე. მეუღლე ხათუნა შიფთოშვილი პროფესიით პედაგოგია. ემსახურება ახალგაზრდა თაობების აღზრდას, ისინი კი სამშობლოს უზრდიან ორ ანგელოზს: ნუკას და ლუკას.

აი, ეს მოკლე ექსკურსი, რაც შეეხება დეიდაჩემ სოფიოს ოჯახს, წარსულში და ამჟამად, რა თქმა უნდა, უამრავი მოგონება შეიძლება, მაგრამ მისი დანატოვარი შთამომავლობა ჩემთვის ყველაზე ძვირფასია.

«უცნაური გაცნობა»
(ამბავი დები იშხნელებისა)

ქუთაისის სათავადზანაურო გიმნაზიაში სწავლობდნენ გიორგი და აკაკი ყიფიანები. მათი სილამაზე, ზნეკეთილობა თუ განათლება, ყველას ხიბლავდა და ყველა თვალსაჩინო ოჯახი მათ სტუმრობას ნატრობდა. აკაკი მამაჩემი იყო, ხოლო გიორგი ბიძა.

მამას სიყრმის მეგობარი ჰყავდა, კოლია ქვარიანი, ქუთაისში ცნობილი სუფრული სიმღერების შემსრულებელი, ხოლო მამაჩემს ისეთი ბანი ჰქონდა, რომ ხუმრობით იტყოდნენ ხოლმე: აი, მოვიდა აკაკი და «გოდრით» დადგამს ბანსო.

როგორც მამა იხსენებდა კოლია ქვარიანს უთქვამს: «დები იშხნელების ოჯახში სულ შენს ბანზე მაქვს ლაპარაკი. არა და მათ ოჯახში გიტარა და სიმღერა ისეთივე აუცილებელია, როგორც წყალი და პური, მოდი ერთხელ შევირბინოთ და მერე შენ თვითონ შემეხვეწები: არიქა, მათთან წამიყვანეთო.»

მეც ახალგაზრდა ყმაწვილი, დავინტერესდი ახალგაზრდა მომღერალ დებზე და ერთ დღეს ავედით მათთან, ისინი ბანზე ისხდნენ, რომ დაგვინახეს, ყველა ფეხზე წამოდგა და მოგვესალმა.

მათი შემხედვარე, მე უკან-უკან დავიწყე წამოსვლა (დები საოცრად გამხდრები და რაღაც აწოწილები იყვნენ) კოლიამ მიბიძგა და წინ შემაგდოო ... (კოლია მერე ცნობილი მოჭიდავე კოლია ქვარიანი გახდა).. ქალიშვილებმა დაიმორცხვეს და გიტარა გვერდზე



აკაკი ყიფიანი

გადადეს. აქ კოლიამ იყვირა, რა დროს გადადებაა, ეს ის აკაკია, მე რომ ვაქებ ბანი გოდრით აქვს-მეთქი და აბა თქვენ იცით, არ გამიცრუოთ იმედი. აბა ჰე, ქალებმა, _ ყვება მამაჩემი, _ აიღეს გიტარები და დაიწყეს, მარა რა დაიწყეს, მათი მსმენელი, მე უკვე ღრუბლებში დავცურავდი და ყველაზე ლამაზად მეჩვენებოდნენო.

მეორე სიმღერაზე მეც ავყევი და ახლა ისინი გადაირივნენ. ასე ცოტახნით შერბენილი ვაჟბატონები გვიანობამდე დავრჩით და მთელი იმ უბნის მცხოვრებლები იშხნელების ბანის წინ იდგნენ და უსმენდნენ ჩვენს იმპროვიზირებულ კონცერტს. კოლიამ მომიგო და მეც ვიკისრე პურ-მარილი, აბა რა მექნაო. ისეთი ხალისით დაასრულებდა ხოლმე მამაჩემი, 60 წლის წინანდელ ამბავს, თითქოს გუშინ ყოფილიყოს. ახლა ვხვდები ამ მოგონების ფასს, როცა მეც 80-ს გადავაცილე. ასეთია ალბათ ცხოვრების დაუწერელი კანონი.

დები იშხნელები

«პატარა სასწაული»

სამოცდაათიან წლებში, როგორც უკვე აღვნიშნე ვმუშაობდი საქართველოს სსრ. განათლების სამისნისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში, აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდკაბინეტის გამგედ.

აქვე მუშაობდა ლოლა ახვლედიანი, რომელიც ჩემთან მეგობრობდა. სწორედ მან მომანათვლინა თავისი ერთადერთი ქალიშვილის (უნიჭიერესი მათემატიკოსის და ზებუნებრივი ადამიანობის თვისებების მატარებელი დოდო ლიპარტელიანის ციცქნა, ლამაზი გოგო ლელა ლიპარტელიანი).

ლელა ლიპარტელიანი

ამ პატარა გოგომ 8 წლის რომ იყო, გამომიგზავნა (ისე, რომ დედამისმა არც კი იცოდა) წერილი ქალაქ ბათუმში, სადაც მომიწია ცხოვრება გათხოვების დროს.

არაფრით არ შემიძლია არ წარმოგიდგინოთ მისი შინაარსი, რამეთუ ვინც წაიკითხავს გულგრილს არავის ტოვებს.

ასეთია 8 წლის ციცქნა გოგონას პოეტური წერილი თავისი ნათლიასადმი, მართლაც, რომ სასწაულიაო, ყველა მეთანხმება.



გამარჯობა **ჩემო** საყვარელო
ნათელა ნათელაძ!
მაპატიეთ, რომ ვერა და ვერ მოგწერეთ
წერილი. ძალიან ლაგვიანეთ ~~წერილი~~ ვი-
ხილ ალბომი, ჯერ სკოლის დაგამთავრეთ, ეხლა
შეგასრულეთ, შემიერთ სოფლი სულ ერთი. ჯერ ჯერობ-
ლის ეარეცხვა, სანლის დალაგება და ბევრი სხვ.
მოკითხვა გადაგცეთ ვენი ბებიისა და დაბის.
სრულიად დამავიწყდა, გილოცავთ 8 მარტს, იყავით
ბედნიერები და ცოცხალი 1000 წელი!
- მე თქვენ მოგიძღვნიათ ლექსი.
„ჩემი ნათელა ლამაზია,
ჯაჯვანი და მშვენიერი,
ნაბი, თბილი და ჯინაგული,
ჯინაგულია ვენერი.“

თქვენი ლელა!

დღეს ლელა ლიპარტელიანი არის უმაღლესდამთავრებული (თანამედროვედ თუ ვიმსჯელებთ), მრავალი უცხო ენის მფლობელი, მზრუნველი შვილი ქალბ. დოდოსი, «გადარეული» დედა ვაჟიშვილის ავთო რაზმაძის (დედასავით გონიერი, მკვირცხლი აზროვნების, საოცრად ეროვნული 12-13 წლის). ასე ვთქვათ «ჭაბუკი» დიდი მომავლის, იმედის მომცემი ახალგაზრდაა. ბებიის და დედის სულისჩამდგმელი, ჩვენი, ახლობლების გამხარებელი. ცხოვრება გრძელდება და ბევრი სასწაული წინ გველის.

შემოდგომის მზე

მეგრელი ხალხი რომ თბილი, ყურადღებიანი ხალხია, რომ მათი სიმღერები სასიამოვნო მოსასმენია, ეს დიდი ხანია ვიცი, მაგრამ თუ ასეთი მეზობლობა იცოდნენ, ნამდვილად არ ვიცოდი, და მზად ვარ ეს ხმამაღლა განვაცხადო. ვინ არის ჩემი ასეთი გულისგამხარებელი ადამიანი, ამას ახლა გაიგებთ: ეს გახლავთ ჩემი კარის მეზობლის, ქალბატონ ნონას დედა, ქალბატონი დუნა ბუკია, რომელიც მხოლოდ ზამთრობით ესტუმრება შვილებს (ზუგდიდის რაიონის სოფლიდან) და რამდენიმე თვეს დაჰყოფს აქ, მაგრამ ამ მცირე დროის მონაკვეთშიც კი, როგორც კი გაესაუბრებით, ნებისმიერ თემაზე ტოლს არავის დაუდებს, თვით ძირძველ ქალაქელებსაც კი თავისი შინაგანი ხედვით, ცხოვრების დიდი გამოცდილებით, სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.

ნონა თოდუა

ქალბატონი დუნა, მართალია რვა ათეულ წელს გადასცილდა ლამის, სასიამოვნო გარეგნობის სახეს ჭაღარა თმა ამშვენებს, მაგრამ ძალიან თანამედროვეა, როგორც ნებისმიერ საკითხში, ისე ახალგაზრდობის შეფასების დროს. ქალბატონ დუნასთან საუბარი მაგონებს (მთაში, რომ ხევისბერები იყვნენ და მათი სიტყვა ძირს არ დაიშვებოდა) ასეთ ადამიანებს, რადგან მისი სიტყვა და საქმე ერთია, სწორი, მართალი, გონიერი და ყველასთვის მისაღები.

დუნა ბუკია

ახლა მის მონაგარს არ იკითხავთ? ქალ-ვაჟი: ნონა და თემური თოდუები თავიანთი ლამაზი ოჯახებით, სიძით, რძლით და შვილიშვილებით: ჭკვიანი, ჯანსაღი სულისა და გულის მატარებელნი, განათლებულნი არიან. სამსახურში თუ მეზობელ-ნათესაობაში დამსახურებული პატივისცემით არიან მიღებულნი. ამ ოჯახების საყოველთაო აღიარება ქალბატონ დუნა ბუკიას უხანგრძლივებს ლამაზს სიცოცხლეს და საპასუხო სიყვარულს უბრუნებს მათ. მისი გულითადი საუბარი კი ისეთი საინტერესო და

მიმზიდველია, რომ კი არ იღლებით მასთან, პირიქით ისვენებთ და გულში ფიქრობთ: ნეტავ, ასეთი ნათელი პიროვნებები ბევრი გვყოლოდეს ჩვენს ირგვლივ და ცხოვრება მართლაც ეღირება, მშვენიერი იქნება. ასეთია ჩემი მოკრძალებული აზრი ქალბატონ დუნაზე, მის პიროვნებაზე, ამბობენ მეუღლეც ღირსეული და დიდად დაფასებული პიროვნება ყოფილა, რომელსაც დღემდე ვერ ივიწყებენ ზუგდიდელები, არც ქალბატონი დუნა ემეტებათ თბილისისთვის და მასაც, როგორც მე ვიცი, გაზაფხულდება თუ არა იქითკენ მიუწევს გული, ვერც გაამტყუვნებ, რამეთუ მისი სახლ-კარი, მეზობელი თუ ნათესავი ელოდება მის ჩასვლას და ხომ ვერ გააწბილებს. მე მაგალითად, ზამთრის მალე მოსვლა მსურს, (სრულიად გულწრფელად), რომ ქალბატონ დუნასთან შეხვედრას კიდევ მოვესწრო, რადგან მეც ქალბატონი დუნასი არ იყოს, 90-იან წლებს შევეთამაშე.

ეს გასაკვირი არც გახლავთ, რამეთუ ქალბატონი დუნა ბუკია განათლებით პედაგოგი, ხუთ ათეულ წელზე მეტხანს, სოფლის (მაგრამ რაიონული მასშტაბის) ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა და ჩვეული საქმისადმი სიყვარულით ამ ხნის მანძილზე სოფლის გოგო-ბიჭებს (და ხშირად მოზრდილებს, თუ მოხუცებს) აცნობდა, აყვარებდა ჩვენს ღვაწლმოსილ კლასიკოსებს (პოეტებს, მწერლებს). (მარტო წიგნის გამცემი ან მიმღები კი არ იყო), არამედ ნაწარმოებების თუ ლექსების გამრჩევი და შემყვარებელი იმ მეგრელ თმახუჭუჭა გოგო-ბიჭებისთვის, რომლებიც მოკრძალებით შეამოაღებდნენ სამკითხველოს კარს და მორიდებით შეეკითხებოდნენ: «შეიძლება პატ-ო მასწავლებელო?» ქალბატონი დუნა ღიმილით მიიღებდა მათ და უკმაყოფილოს არავის გაუშვებდა.

დღეს, თმახუჭუჭა გოგო-ბიჭები, თმაჭაღარა და ასაკში შესულნი, დიდი მორიდებით და სიყვარულით ხვდებიან და ესალმებიან მათ მოძღვარს ქალბატონ დუნას და ასე ჰგონიათ «ისევ ის ბიჭები არიან ხუჭუჭა პატარა». ისიც, ქალბატონი დუნა, იმავე ღიმილით მადლობას უხდის ყურადღებისთვის და კიდევ იმისთვის, რომ კაცური კაცები გაიზარდნენ და «სანთელ-საკმეველმა» თავისი გზა არ დაკარგა.

დიდი აღიარება!

მასწავლებელი _ დედის გულივით
მუდამ კეთილი, მუდამ ნანატრი,
მასწავლებელი _ ბავშვის სურვილი
მასწავლებელი გავხდე ნეტავი!

ასეთი სურვილი დაებადებოდა ყველას, ვინც ნახავდა ქალბატონ ნატას მუშაობის პროცესში, როდესაც ის ბაგა-ბაღის ტერიტორიაზე იყო.

ნატა თავის აღსაზრდელ ბავშვებს (გონებასუსტები იყვნენ) თავს დასტრიალებდა, ყველა აღმზრდელი, ექიმი, ექთანი, სანიტარი, რომ იტყვიან «სტროიში» ჰყავდა და ვაი, იმის ბრალი, რომელიმეს მოეკლო ბავშვისთვის ყურადღება, იქ ველარ გაჩერდებოდა. ნატას ამ სიმკაცრესთან ერთად აღნიშნულ ბაგა-ბაღის გამგე გახლდათ კეთილი გული, ობიექტურობა, ზნეკეთილობა და კოლეგიალობა ამშვენებდა. რისთვისაც ყველას უყვარდა და პატივისცემით ექცეოდა, მისი სიტყვა კანონი იყო. ამასთან ერთად ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ჩვენი ნატა რაიონში მოწინავე ბაგა-ბაღებს

ტოლს არ უდებდა და რაიონის ხელმძღვანელობისგან ჯილდო-სიგელები არ აკლდა, მაგრამ როგორც კი შეუსრულდა საპენსიო ასაკი, დატოვა სამსახური და გავიდა პენსიაზე, რითაც რაიონის ხელმძღვანელობის «საყვედური» დაიმსახურა. რაიონის მასშტაბით არცერთი კულტურული ხასიათის ღონისძიება არ ტარდებოდა მის გარეშე. მისი მრავალფეროვანი სუფრა დღესაც აქვთ სალაპარაკოდ. ეს იყო ნატას მედლის ერთი მხარე.

ნატა მაისაშვილი

ახლა თავს ნებას მივცემ, მოგახსენოთ მედლის მეორე მხარეზე: ეს გახლავთ ნატა ოჯახის ბურჯი, ნათესაობის ნატვრის თვალი, გამორჩეული და ერთადერთი ძმისა, რომლის ამაგი მისდამი ზღაპრად მოეჩვენება უცხო ყურს, არადა სინამდვილეში საოცრება იყო. ასევე მისი საფიცარი ძმის მონაგრის მიმართ მისი ყურადღება და სიყვარული. სიყვარული ყველა ნათესავ-მეგობრის, მეზობლის მიმართ და სულ იმის ცდაშია, ვის უშველოს, ვის დაეხმაროს, შეეხიდოს.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობით სუფთა სიყვარული გოგის (მეუღლის) შვილების მიმართ. ეს არის დიდი ადამიანების ხვედრი, იყო ზეკეთილშობილი, ზეკეთილი მოყვასი ადამიანი და დღეს და ღამეს ათენებდა და აღამებდა მშვენიერი ხათუნას და ვაჟკაც დათოს ბედზე ფიქრით. მაგრამ უფრო გასაკვირი ის გახლავთ, რომ თვითონ ხათუნა და დათო ისეთი ყურადღებით, სითბოთი და სიყვარულით პასუხობენ ნატას, რომ მათი შემხედვარე კარგ გუნებაზე ხდები ადამიანი და რომ სიცოცხლე მშვენიერია, (ტელევიზიის გადაცემის არ იყოს), ნამდვილად რწმუნდები.

ჩვენი ნატა, რომელიც შეეთამაშა 90-ის დასაწყისს, ისეთივე ენერგიული, ხალისიანი, მოსიყვარულე და საქმიანი გახლავთ, როგორც ადრე. ამიტომ ღირდა მისი ცხოვრების დეტალებზე თქვენი ყურადღების შეჩერება. ნუ მიწყენთ ამ ჩემს სისუსტეს მისდამი, რადგან თუ ერთი მყავს მეგობარი, პირველი ნატაა და ეს საიდუმლო არავისთვის არ არის დამალული.

«ფიანდაზები»

60-იან წლების დასაწყისში, გამომიძახა 26 კომ. რაიონის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. თეიმურაზ მოსაშვილმა და მითხრა; რაიკომმა და განათლებამ გადავწყვიტეთ გაგიშვათ ახალ გასახსნელ ბაგა-ბაღში (იმ დროს ორი ახალი ბაგა-ბაღი №54 და №38 გაიხსნა) გამგედ. გიცნობთ, გაფასებთ და აბა თქვენ იცით, კომისია რომ მოვა, ყველის ნაჭერს რომ შეამოწმებს, რო გახედოს, იქიდან ამერიკა არ დაინახოს, გაეცინა. მე მოწიწებით და გაკვირვებით ვუყურებ და ვერაფერი გავიგე. ამდენი ხანი სკოლაში ვმუშაობდი და წარმოდგენა არა მაქვს ბაგა-ბაღის ასავალ-დასავალზე. ამას მიხვდა ამხ. თეიმურაზი და განათლების განყოფილების გამგეს ამხ. სიმონ ხოშტარიას უთხრა: ვერ მიხვდა ჩემს ნათქვამს, ეს კარგია, ახლა შენ ცამდე პატიოსანი თანამშრომლები დაუნიშნე, ერთი მაინც იყოს ყველაფრით სანიმუშო, რომ იცი კადრს რა მნიშვნელობა აქვს. ამას გამოცდილება აკლია და დაეხმარეთ.

ერნა ბარათაშვილი

ამ საუბრის შემდეგ ცოტა ხანში ჩამაბარეს №54 ბაგა-ბაღი და მეც შევუდექი მუშაობას. ამავე დროს №38 ბაგა-ბაღის გამგედ დაინიშნა ერნა ხატიაშვილი (როსტომ ბარათაშვილის ცოლი). ლამაზი, ჰაეროვანი, თითქოს მოდების ჟურნალიდან გადმოვიდა. ყველას მოსწონდა, ყველა კარგად ექცეოდა კატუშა მეფარიშვილის გარდა

(ეს კატუშა იყო 26 კომ. რაიონის სკოლების, ბაგა-ბაღების, დაწესებულების მთავარი ბუღალტერი, მართალია დედაენას ცოტა იყო გაცდენილი, მაგრამ რაიონის შესავალ-გასავალი ყველა ზეპირად იცოდა და ვერავინ ვერ მოატყუებდა. ფიზიკურადაც საოცრება იყო დაბალი, სქელი, ჯირკვივით მკვრივი ქალი, ცივი, მკაცრი ხმით მოლაპარაკე «ბესცერემონი» რომ იტყვიან, ისეთი.) ახლავე აგიხსნით, თუ რატომ დამჭირდა მისი დეტალურად აღწერა: ერთ დღეს დილას 11 საათზე ბუღალტერიაში (იყო ასეთი ცენტრი) მივედი, ავედი მეორე სართულზე და მესმის კატუშას გაბრაზებული ხმა, უყვირის ვიღაცას, ახლოს, რომ მივედი. ვხედავ, ქვევიდან ზევით შეჰყურებს კატუშა მის წინ მდგომ №38 ბაგა-ბაღის გამგეს ერნა ხატიაშვილს, მაღალს, ნარნარს, ბრწყინვალედ ჩაცმულ-მოკაზმულს. კატუშა რაღაც გაურკვეველი ფერის ზედა და ქვედა ვიწრო ტანსაცმელში ჩაჭედილი, სახეზე წამოწითლებული, ერნას ცხვირწინ უფრიალებს ქაღალდს და ეკითხება ქართულად;

_ნახე, აი, კვიტანცია, ხომ არის №38-ე ბაგა-ბაღის, ხომ არის?

ერნა დაბნეული უყურებს ქაღალდს და ეთანხმება რუსულად:

_და ეტა 38 დეტსკი სად.

მერე იყვირა კატუშამ: _ რატომ არ მოგაქვს საბუთი, რომ შენ უკვე 15 დღეა გემეიტანე ფიანდაზები ჰა? ბალანსი მერღვევა, იცი შენ?

ერნა აქნევს თავს საწინააღმდეგოდ და ეუბნება: _ნეტ ბატონო კატუშა, ია ნიკაკიე ვაზი ნე პალუჩალა. ამაზე კატუშა მართლაც შეიშალა და უყვირა, აქ რა სწერია, რავა ტყუილია თუ?

ერნა თავისას ამტკიცებს და ეკითხება: _ კაკიე ვაზი აბისნიტე. კატუშა პასუხობს: _ კაკიე და «ჩინსკი».

ამ დროს მე მივუახლოვდი ახლოს, ერნა შემეცოდა და ვეკითხები: _ ერნა ხომ გამოიტანე «დაროშკები» საწყობიდან, ხომ გახსოვს. ერნა მიდასტურებს: _ და, დარიშკი ია ბრალა, პრავილნა.

უცებ კატუშამ იყვირა: _ რაის დაროგაო, გადამრია ამ ქალმა, და სკამზე დაეშვა, ყვირილით: _ დედა, დედა, რავა ამიშალა ნერვები ამ «ფინთიკრუშკამ», მიუბრუნდა აწითლებულ, დაბნეულ ერნას და მკაცრად გამოუცხადა: _ სანამ ქართულს არ ისწავლი, აქანა შენ არ მოხვიდე, შენი ქმარი გამომიგზავნეო. ეს რომ როსტომმა გაიგო, არა ბატონო, მე იქ რა მინდა, ღმერთმა დამიფაროს კატუშას შევხვდეო.

ეს იუმორი ერნას ნებართვით გამოვაქვეყნეთ. ქალბატონმა ერნამ «გამოასწორა» საქმე და ახლა უკვე კარგად ლაპარაკობს ქართულად, მაგრამ კატუშა დიდი ხანია წაიყვანა უფალმა თავისთან. რას ვიზამთ, ასეთია ცხოვრება. რაც შეეხება ერნას შემდგომ მუშაობას, მთელი ორმოცი წელი, ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ რთულ «უმადურ» საქმეს, ბაგა-ბაღის საქმე დააყენა მაღალ დონეზე და რაიონის მასშტაბით ითვლებოდა მოწინავე გამგედ. მისი გემოვნებით შექმნილი დიზაინი ბაგა-ბაღისა ყველას მოსწონდა. ყველა კმაყოფილი იყო მისი მუშაობით, ინტელექტით, ტაქტით.

დღესდღეობით დამსახურებულ პენსიაზეა ჩვენი ერნა, მაგრამ ყველა ვფიქრობთ, რომ დღესაც მშვენივრად შეეძლო გაეკეთებინა თავისი საყვარელი საქმე, მაგრამ ასე არ მოხდა...

ვუსურვოთ ჩვენს ერნას ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე, ისევ ისე ლამაზ და მშვენიერ ქალბატონს.

«თვით უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ»

ჩემი ძმის ირაკლის მეუღლის ნათესაობიდან (ყველა ღირსეული და ცნობილია) გამორჩეულად ყველას გვიყვარდა ჩვენგან ადრე წასული ვიქტორ იმნაძე ანუ ღუტუ, რომელსაც მოფერებით ვეძახდით. რატომ გვიყვარდა ასე გამორჩეულად? იმიტომ, რომ კაცი იყო კაცური, ყველა ღირსების მატარებელი. კაცთმოყვარე, თავისი და თავისი მეუღლის მშვენიერი ნანის (რომელიც ზღაპრული სიყვარულით უყვარდა და აღმერთებდა) ნათესავების დამფასებელი და პატივისმცემელი, ღიმილმოუშორებელი, სიკეთის მთესავი და ყველას გაჭირვების ტალკვესი ღუტუ იყო, რომლის ბადალი ძნელად მოსაძებნი და სანახავია დღესდღეობით ამ ცხოვრების ჭაპანწყვეტაში.

ღუტუ და ნანი

არ არსებობდა მისთვის სხვისი გასაჭირი, სწორედ ეს სხვისი და არა თავისი აწუხებდა სანამ, რითაც შეეძლო არ დაეხმარებოდა და კაცურ ნუგეშს არ მისცემდა, ვერ მოისვენებდა. ეს იყო მისი ცხოვრების კრედო. ასეთები იყვნენ გუგულებივით ერთმანეთის სიყვარულით გაჯერებული ნანი მაძაღუა, მისი ცოლი და თვითონ ღუტუ სირაძე. აი, ასეთმა კაცმა ნაადრევად მიგვატოვა ყველა ახლობელ-ნაცნობი და სამუდამო, მოუნელებელი გულისტკივილით დატოვა თავისი ნანი (ვისი სურათიც ხატივით ედო წინ და მასზე ლოცულობდა) და ყველა მის გარშემო მყოფიც, მისი მოსიყვარულე ადამიანები მათ შორის მეც.

წავიდა ისე, რომ ერთი კაცი (არც სამსახურიდან, არც ნათესავებიდან და არც სამეზობლოდან თავისზე ნაწყენი არ დატოვა. დატოვა დიდი სიყვარული, რამაც ამაღებინა ხელში კალამი და დამაწერინა ეს მოგონება, რათა ახალგაზრდა მკითხველმა იფიქროს, მოდი, მეც ასე ვიცხოვრებ, როგორც ეს პირნათელი ცხოვრობდა ამ ქვეყანაზე

და მეც კაცურად მომიხსენიებენო. თუ ერთი მაინც იტყვის ამას, ამ წერილს გამართლება ექნება და ჩვენი ახალგაზრდობისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, რაც ჩემს ახლობლებს სულს გაუნათებს. კეთილი თუ ცუდი მაგალითი, ხომ დიდი ძალაა ადამიანის აზროვნების ჩამოყალიბებაში, ხო და მოდი ჩვენც კეთილ მაგალითს დავუგდოთ ყური, ის ვიწამოთ და ვიცხოვროთ ისე, როგორც ცხოვრობდა ჩვენი ვიქტორი (ღუტუ)-მეთქი. ამას მოვუწოდებ მათ, რომლებიც ამ სტრიქონებს წაიკითხავენ, მოეწონებათ და გაითავისებენ, სწორედ ამ ცხოვრებით უნდა იცხოვროს კაცმა ამ ქვეყანაზე, რომ ჩვენც დავაკლდეთ ქალაქს.

«ნამდვილი «საჩუქარი»

მე მინდა ჩემი წიგნის მეორე ნაწილში, რომელიც იქნება მიძღვნილი ჩემი ნათესავების, მეგობრების მიმართ საპატიო ადგილი დაიჭიროს ამ წერილმა.

ეს წერილი კი ეხება ჩემი მერხის, სიყრმის ამხანაგის მედიკო კობახიძის ქალიშვილს, რომელიც დედამისის გარდაცვალების შემდეგაც (1996 წ.) ჩემი სულის მეგობარია და თავისი საუცხოო ადამიანური თვისებებით არა მარტო მე, მთელ ჩემს ნათესაობას უყვარს და აფასებენ.

ნინო ზაალიშვილი

ეს გახლავთ ნინო ზაალიშვილი. ყველასგან ზენიჭით დაჯილდოებული: სკოლის ოქროსმედლით დამთავრების შემდეგ თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფიზიკის კურსის წარჩინებით დამთავრებული და იმავე კედლებში მეცნიერული ხარისხის ბრწყინვალე დაცვით.

მანვე შექმნა მშვენიერი ქართული ოჯახი ინტელიგენტ კალანდარიშვილთან ერთად და ორი ქალიშვილის (ჭკვიანი და ლამაზი ნანა და ვერიკოს სახით) ხოლო უფროსი ქალიშვილის მაია ასათიანის (ძალზე დიდი რეიტინგის რუსთავი 2-ის ტელევიზიის გადაცემის «პროფილი» ხელმძღვანელი) წარმატებები გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. ეს მისი მედლის ერთი მხარეა, მეორე კი ის გახლავთ, რომ მიუხედავად სამუშაოს ზედატვირთვისა და ოჯახური მძიმე მდგომარეობისა (მას გარდაეცვალა მამა დიდი ხნის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ) იცლის იმისთვის, რომ შენ გიკითხოს, სიხარული

მაია ასათიანი

თუ მწუხარება ნამდვილად გულთან ახლოს მიიტანოს. დაეხმაროს ფიზიკურად, მორალურად, ადამიანურად და საკუთარ საქმედ აქციოს შენი დალხინება თუ გასაჭირი. ეს ის ნინო ზაალიშვილია, რომელსაც, როგორც უფლისგან ბოძებული საჩუქარი, ყველა ოჯახი ინატრებდა და იამაყებდა ამით.

სწორედ ეს საჩუქარი ნინოს სახით მერგო მე და ჩემს თავს დავიჭერ ხოლმე _ რა მიხარია? ის, რომ ნინო ზაალიშვილი არსებობს ამ ქვეყნად და რომ იგი ფიქრობს და ზრუნავს ჩემზე, ჩემიანებზე და დიდი იმედებით მიხარებს 80-ს გადაცილებულ მრავალ ცხოვრების ლაბირინთებში გატარებულ სულს. მადლობა ამისთვის მას, დიდი მადლობა!

გამოსათხოვარი

ძნელია ძალზედ ძნელი უკვე წარსულში ილაპარაკო ისეთ ახლობელ ადამიანთა მოყვარე, მეგობრის, ნათესავის თუ მეზობლის პიროვნებაზე, (ამ შემთხვევაში მეგობრის) რომელიც ექვსი ათეული წლების მანძილზე იყო შენს გვერდით, ალალად გულწრფელად უხაროდა შენი კარგი და საოცრად განიცდიდა შენს წუხილს, ერთი შეხედვით თითქოს ეს ჩვეულებრივი ადამიანური თვისება გასაკვირი არ უნდა იყოს, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ძალზედ დასაფასებელია. სწორედ ასეთი გახლდათ ჩვენი მიშა (ჩვენი მედიკოს მეგობრებისთვის სიძე ბატონი). ჩვენ, სკოლის მერხის ამხანაგები მედიკოსი (მიშას მეუღლის) ვამაყობდით მიშათი და ვამბობდით, რომ სწორედ ასეთი, სრულყოფილი ოჯახი უნდა ჰქონოდა ჩვენს მედიკოს: თბილი, მოსიყვარულე ნათესავ-მეგობრობის იმედი და საერთოდ, ისეთი კაცთმოყვარე, რომელიც ცხრა უცხოს დამხმარე და ხელისგამწოდებელი არის.

ჩვენ ვთვლიდით, რომ ის ჩვენთვის ძმის მაგიერი იყო და როგორც კი რამე გაგვიჭირდებოდა მიშასთან ვიყავით საშველად მისული. ისიც შეუძლებელს შესძლებდა და გაწბილებულებს არ გაგვიშვებდა. ახლა სამსახურში (დამწვრობის ინსტიტუტში) რომ მივიდოდით მიშასთან საქმეზე, მთელი თანამშრომლები მიშას ეხვეწებოდნენ ჩვენ,



მიშა ზაალიშვილი

ჩვენ გავუკეთებთ, რაც სჭირდება, თქვენ ნუ შეწუხდებითო. ყველას უყვარდა, აფასებდა, სჯეროდა მისი კაცურ-კაცობის.

ცალკეა სალაპარაკო, თუ რა სათუთი სიყვარულით ჯერ მისი სათაყვანებელი ქალიშვილი ნუნუ გაზარდა მედიკოსთან ერთად სრულყოფილი, ჰუმანური და ზენიჭის პატრონი ქალიშვილი. მერე შვილიშვილები, სამი, ბატონო სამი. მათ შორის ყველაზე უფროსი _ ყველასთვის საყვარელი, ერთობ პოპულარული მაია ასათიანი, რომელიც პაპის ნებიერა გახლდათ და მერე, სწორედ მძიმე ავადმყოფობის ჟამს პატარა, კუდრაჭა შვილთაშვილი გახლდათ მისი სიცოცხლის ელექსირი. ყველა შვილიშვილსა და შვილთაშვილის ლოცვაში იყო და ღმერთს მადლობას სწირავდა ამ საჩუქრისთვის.

განსაკუთრებით ჩვენ, მედიკოს ამხანაგებს სალაპარაკოდ გვქონდა რომ, ეს ქართლელი თავადიშვილი, ბატონი მიშა ზაალიშვილი, როგორ შეეწყო გურულ (თამარ ხუნდაძეს) სიდედრს და მთელი ოთხი ათეული წელი პატივისცემით, მორიდებითა და თანადგომით, ერთად, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ.

ეს იმიტომ ხდებოდა რომ, მიშას დედ-მამა უსპეტაკესი, უწყინარი და ბუნებით მდიდარი ადამიანები იყვნენ და ასეთები გაზარდეს თავიანთი ორი ვაჟიშვილი: მიშა და დიმიტრი. ან რა სამაგალითო ძმობა ჰქონდათ მიშას და დიმიტრის ურთიერთმოქმედებაში? საოცრება იყო.

მიშას ისევე უყვარდა და ეფერებოდა დიმიტრის ერთადერთ ვაჟს ზაალს, როგორც თავის ნუნუს.

გულით ხარობდა და სიხარულით გვეუბნებოდა, რომ ზაალი უკვე ბაბუა გახდა, კაცო, გუშინდელივით მახსოვს მისი პატარა თმახუჭუჭა თავი და ლამაზი ნათელი ცისფერი თვალები. ამას ამბობდა ზაალის ზურგს უკან როდესაც მოვიკითხავდით ზაალს და მის ლამაზ ცოლშვილს, რითაც ძალიან კმაყოფილი იყო ჩვენი მიშა.

სამშობლოს წინაშეც თავის დროზე მოიხადა მამულიშვილური ვალი. მეორე სამამულო ომში გახლდათ და იცავდა ყველა ქართველთან ერთად თავის სამშობლოს. ამ 80 წელს გადაცილებულმა ქართველმა კაცმა იცხოვრა ისე, როგორც შეშვენის თავისი ქვეყნის შვილს და ჩვენდა სასიხარულოდ თავისი შთამომავალნი: შვილის ნუნუს, შვილიშვილების მაია, ნანა, ვერიკოს და შვილთაშვილის ნუცას სახით თავის ქვეყანას დაუტოვა მასზე შეყვარებულნი, კარგი აღზრდილნი, კაცთმოყვარულნი, ჭკვიანი შთამომავლობა.

ხომ არის ასეთი ბრძნული გამოთქმა: «ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა».

ასეთი იყო, ასეთი გვემახსოვრება ჩვენი მიშა (ყველას, რა თქმა უნდა) ამ შემთხვევაში კი მედიკოს მერხის ამხანაგებს: ციალა დიდებულიძეს, ჯულიეტა ქვათაძეს და ნათელა ყიფიანს.

ნათელში იყავ აწ და მარადის ჩვენო მიშა, ამინ.

22.06. 2009 წ.

სამადლობელი!

სკოლის ასაკიდან ხდება ბავშვში ცნობიერება, როგორც კარგის, ისე ცუდის. ის ისე იბეჭდება გონებაში, რომ ძნელია მისი დავიწყება.

აი, მაგალითად (სხვებისგან განსხვავებით) მრავალჩემისთანა მოსწავლის სულში დაუნთია ნათელა მასწავლებელს სიკეთის კოცონი. ჩემს გულში იგი დღემდე ღვივის და ანათებს.

ნინო შიხიაშვილი

ალბათ, ამას კიდევ დიდხანს შევინახავდი უთმელად, ვერ ვბედავდი მეთქვა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რაიონის რამდენიმე ღონისძიებებზე იყო შეხვედრის მომენტები. (მეც პედაგოგი გახლავართ, სწორედ ნათელა მასწავლებისგან ზეშთაგონებით შეპყრობილი). მაგრამ იმის გაგებამ, რომ ჩემი ნათელა მასწავლებელი მოგონებების წიგნის გამოშვებას აპირებს, ამაღელვა (დარწმუნებული ვარ, ჩვენზე, მისთვის საყვარელ მოსწავლეებზედაც ექნება სათქმელი).

მარტო მე არა ვარ მისი ადამიანობით მოხიბლული, მაგრამ მე პირადად მინდოდა გადამეხადა მადლობა _ ჩვენი მოსწავლეების: ადამიანად, პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში უდიდესი ენერგიის, ცოდნის, სურვილის გაღებით (მთელი გრძელი ათი წლის) მანძილზე: საგნის ღრმა შესწავლით და ამავე დროს გაკვეთილების შემდეგ კვირა დღეს საინტერესო ადამიანებთან საღამო-დილის მოწყობით. ექსკურსიებით (მთაწმინდა, დიდუბის პანთეონი, საგურამოს სახლ-მუზეუმი დიდი ილიასი, შუამთა, წინანდალი თუ გრემი და ალავერდი). წმინდა ადგილების დათვალიერება, ახსნა-განმარტება, შენი ქვეყნის, მიწის, სამშობლოს მოვლის, სიყვარულის, სიმაყის გრძნობის ჩამოყალიბება, ჩანერგვა მოზარდების გონებაში. დამეთანხმეთ, რომ ბევრ პედაგოგს ხელარეწიფება და არც სურვილი აქვს.

ამიტომ ვიმეორებ, რომ მოგვიანებით, მაგრამ საჯაროდ მინდა გადავუხადო სამადლობელი თქვენი ფურცლების საშუალებით და დავსძინო:

«მასწავლებელი _ გულისხმიერი,
ვთვლიდით აღმზრდელად, ვთვლიდით მეგობრად,
მასწავლებელი _ მასზე ძლიერი,
მასზე სწავლული არვინ გვეგონა.
მასწავლებელი _ ცოდნის ნათელით
უსწავლელობის დამმარცხებელი,
აი, რას ნიშნავს მასწავლებელი,
აი, რად გვიყვარს მასწავლებელი.
მასწავლებელი _ ღამე უძილო,
ნორჩებზე ფიქრი დაუშრობელი,
მასწავლებელი _ ზოგჯერ უშვილო,
მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი.»

აი, ეს არის ჩვენი ნათელა მასწავლებელი, უკეთესად ვერავინ ვერ იტყვის ამ სათქმელს. ღრმა პატივისცემით, ნინო შიხიაშვილი, ყოფილი 85-ე საშუალო სკოლის მოსწავლე, ამჟამად შვილებისა და შვილიშვილების დედა და ბებია.

ქალბატონ ნათელას!

მე, დღეს ჩემს თავს ბედნიერ ადამიანად ვთვლი, რადგან ძალზე სასიამოვნო ქართველი მანდილოსანი გავიცანი და მოვისმინე მისგან თითოეული მაგიდის წევრის წარდგინება, რომელიც სავსე იყო დახვეწილი იუმორით, ფრთიანი სიტყვაკაზმულობით, ლირიზმით, სიბრძნით, სიყვარულით, რითაც ყველა მაგიდის წევრის გული ერთბაშად მოინადირა, რისთვისაც მადლობის ნიშნად დაბლა ვხრი თავს და მოკრძალებით ვეამბორები. მადლობა ქალბატონ ჟენიას (როგორც გაგვაცნო), (მისი ძირძველი მეგობარი ყოფილა), რომ აქ მოიწვია და უდიდესი სიხარული მოგვანიჭა: ეს გახლავთ ქალბატონი ნათელა ყიფიანი (რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი).

ნება მიბოძეთ, ქალბატონო, მოგიძღვნათ ჩემი მოკრძალებული ნაშრომი: «ქართული ანბანი».

ავტორი მერი განგოშვილი
2000 წლის 7 ივნისი.

* * *

ამ ლექსების ისტორია ასეთია: 1972 წლის ივნისში ჩვენმა დირექციამ (საქ. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი) მოაწყო ქ. თელავში აღმოსავლეთ რაიონის დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ერთთვიანი გადამზადების კურსები.

(მე ახალი მისული ვიყავი და ეს ახალი დავალება მიზრდიდა პასუხისმგებლობის გრძნობას, რა თქმა უნდა).

სოფელ კურდღელაურის სკოლა-ინტერნატში დავიდეთ ბინა. ჩემი მრევლი 60 კაცისგან შედგებოდა დაწყებული ქ. რუსთავიდან ბარისახოს ჩათვლით. ე. ი. 2 ჯგუფი. მეც მოვიკრიფე ღონე და ჩავები მუშაობაში: აბა, ცხრილის შედგენა, აბა ლექტორების დაბინავება-განლაგება, აბა მასწავლებელთა ყოველგვარი პირობების შექმნა (სასადილო, აბანო, თეთრეული და სხვ.) მთელი დღე ციბრუტივით ვტრიალებდი და ერთი წუთი შესვენება არ მქონდა.

ამას ისიც დაემატა, რომ ჩემი ძმისშვილი მყავდა ჩამოყვანილი (ჰაერის გამოსაცვლელად, დასასვენებლად) იმაზე ზრუნვა (საჭმელი დროზე, დასვენება დროზე, გართობა დროზე) ექსკურსიები ხომ იყო და იყო (ერეკლეს სასახლე, ნადიკვარი, შუამთა, გრემი, ალავერდი, და სხვ.)

ანგარიშის გაწევა ყოველი მასწავლებლისა: (ვის გული უღონდებოდა, მაგალითად, იყალთოდან ბარში ჩამოსულს გული უღონდებოდა, სოფ. გამარჯვებიდან საგნების დაძლევა უჭირდა, დუშეთიდან ოჯახის პრობლემა ჰქონდა).

ამას ყველაფერს შემლებისდაგვარად რეგულირებას ვუკეთებდი და ყველა კმაყოფილი იყო.

აი, ყველაფერი ეს, რომ დაინახა სოფ. გლდანის მასწავლებელმა ელენე გიორგობიანმა, ყველა მსმენელის მადლობა ჩემდამი ამ ლექსში მოათავსა, აღწერა, თვითონ ვერ გაბედა და ამხანაგის ხელით გამომიგზავნა. განსაკუთრებით მანანა მოეწონა, რომელსაც უძღვნა პატარა ლექსი და შეახსენა, რომ მამიდას, იმ მამიდას მთელი თვე «ხელისგულზე» რომ გატარა და ცივი ნიავი არ მოგაკარა, დაუფასეო. დღესდღეობით მიფასებს. ალბათ ბოლომდე ასეც იქნება, რომ იტყვიან «სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს». მე ასე ვფიქრობ.

პატ. ნათელას!

ნათელ, გონებით ნათელო,
ყველა ღირსებით შემკულო,
კეთილო ადამიანო,
სპეტაკს, სულო და გულო,

მოკრძალებულო და სათნოვ,
ნაკადულივით მჩქეფარე,
რამდენის სული შეიცან
სიკეთედ გადაეფარე.

ვერცხლის წყალივით მოძრავო,
სიკეთით გაღიმებულო,
შენი ლამაზი ქცევითა

ჩვენს თვალში ამაღლებულო.

მინდა მადლობა მოგიძღვნა
შენი კეთილი ქცევისა,
სიტყვა არ მყოფნის გამოვთქვა
აზრი მე შენი ქებისა.

ადამიანის ზრდილობა
თავიდან მოედინება,
რაც სისხლში არ აქვს,
არასდროს, ფულით არ შეიძინება.

იცოცხლე, დიდხანს იცოცხლე,
გზად ია-ვარდი გეფინოს.
ამ ქვეყნად მუდამ სიკეთე
და სიხარული გეხილოს.

ელენე გიორგობიანი, გარდაბნის რაიონი,
გლდანის საშუალო სკოლა
1972 წელი. 19/VII, თელავი

ნათელა მამიდა და მანანა

მანანას!

ნათელ კაბაში მანანა
შემოგამსგავსე ყაყაჩოს,
იმ პირველ გაზაფხულზე რომ
მინდორ და ველზე ამაყოფს.

სულ ასე კარგი იყავი
როგორც მთის წყარო ანკარა,
პატივსა სცემდე მამიდას
ხელის გულით, რომ გატარა.

ელენე გიორგობიანი.
1972 წელი, თელავი

ბლიც ანკეტა

1) ზოდიაქოს ნიშანი _ მერწყული.
2) საყვარელი მწერალი _ ბევრი. გამორჩეულად: კ. გამსახურდია, ლევ ტოლსტოი, დრაიზერი.
3) საყვარელი ლიტერატურული ქმნილება _ უსიტყვოდ «ვეფხისტყაოსანი».
4) საყვარელი მხატვარი: ლ. გუდიაშვილი, რაფაელი.
5) საყვარელი რეჟისორი _ კ. მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი, ვახტანგ ტაბლიაშვილი.
6) საყვარელი ფილმი: «დიდი ვალსი», «ძმები კარამაზოვები», «დიდოსტატის მარჯვენა».
7) საყვარელი მსახიობი (ქალი) _ ვერიკო, სოფიკო, მედეა ჯაფარიძე, სიმონა სინიორე.
8) საყვარელი მსახიობი (მამაკაცი) _ სერგო ზაქარიაძე, თენგიზ არჩვაძე, ჟან გაბენი.
9) საყვარელი მუსიკალური ნაწარმოები: მოცარტის რეკვიექმი, ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტი, ზ. ფალიაშვილის ოპერა «დაისის» შესავალი.
10) საყვარელი ხალხური სიმღერა: ლილეო, ჩაკრულო, წინწყარო, ჰამლეტ გონაშვილის შესრულებით.
11) უდიდესი პოლიტიკოსი – სტალინი, ნაპოლეონი.
12) ყველაზე პატივსაცემი ისტორიული პიროვნება (ქალი) _ თამარ მეფე, ქეთევან წამებული.
13) ყველაზე პატივსაცემი ისტორიული პიროვნება (მამაკაცი) _ დავით აღმაშენებელი, მეფე ერეკლე.
14) ცნობილი მამულიშვილნი _ დიმიტრი ყიფიანი, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი.
15) საყვარელი ქალაქი – თბილისი.
16) სპორტის საყვარელი სახეობა _ კალათბურთი.
17) გატაცება – თეატრი, მხოლოდ თეატრი.
18) საკუთარი ღირსება _ ბავშვებისა და ცხოველების სიყვარული.
19) რას ვერ იტანთ ადამიანში _ ღალატს, უმადურობას.
20) თქვენი ყველაზე დიდი წარმატება – წიგნის გამოცემა «შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, მოგონებები».
21) ყველაზე მიმზიდველი ქალი _ ნატა ვაჩნაძე, სიმონა სინიორე.
22) ყველაზე სიმპატიური მამაკაცი _ გრიგორი პეკი, ვ. ტიხონოვი, პეტრე გრუზინსკი ბაგრატიონი, რეზო თაბუკაშვილი.
23) მეგობართა წრე _ ნატა მაისაშვილი, ერნა ბარათაშვილი, ჯულიეტა ქვათაძე, ციალა დიდებულიძე, ეთერი ხუბუა, დოდო ლიპარტელიანი, ნუნუ ზაალიშვილი, (ყველაზე უმცროსი, მაგრამ საუკეთესო).

24) რას აფასებთ ადამიანში _ სიწრფელეს, სულის სილამაზეს.
25) საყვარელი კულინარული ნაწარმი _ შემწვარი გოჭი, საცივი, აჩმა.
26) საყვარელი სასმისი _ ღვინო «ხვანჩკარა», ლაღიძის ლიმონათი.
27) სანუკვარი ოცნება – ჩემი ახლობლების ძალიან, ძალიან კარგად ყოფნა, მშვიდობა.
28) რას უსურვებდით დღევანდელ ახალგაზრდობას _ სწავლას, მხოლოდ სწავლას, პროფესიის კარგად დაუფლებას თავის საქმეში და ადამიანთა სიყვარულს.

რუბრიკას უძღვებოდა ჟურნალ «ქარავანის»
ჟურნალისტი ნინო ამირეჯიბი.

რეზიუმე

დასრულდა ჩემი წიგნი სათაურით: «შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, მოგონებები».

პირველ ნაწილში მე ვყვები, თუ რა საინტერესო ადამიანებთან მქონდა შეხვედრები.

როგორ ვუსრულებდი ჩემს მოსწავლე-ახალგაზრდობას მათ სურვილებს რათა ახლო გაეცნოთ, შეხვედროდნენ და მოესმინათ მათთვის. ჩემი სკოლა [1]85 ეკუთვნოდა 26 კომ. რაიონს, სადაც მუშების – მშრომელი ხალხის შვილები იყვნენ და არ ჰქონდათ საშუალება კინო-თეატრის ყურების.

ნათელა ყიფიანი

სწორედ ეს ვაკუუმი რომ ამომევსო, მე მათ მივმართავდი, აბა, ბავშვებო, ვინ გინდათ, მოვიყვანოთ სკოლის საპატიო სტუმრად: მწერალი, პოეტი, კომპოზიტორი თუ მსახიობი? შეთანხმდით, მოილაპარაკეთ და მე მზად ვარ, სიტყვა შეგისრულოთ.

როცა მთელი ჯგუფი მოსწავლეებისა შეთანხმდებოდნენ, მეც ვიწყებდი ამ საქმის მოგვარებას. (საქმე კი დიდი იყო, მომავალ სტუმართან მისვლა, დათანხმება, ავტობიოგრაფიის დაზუსტება, შემდეგ ბავშვების სათანადო მომზადება) (სიტყვები, ცეკვები, სიმღერები) და მერე გრანდიოზული ზეიმის მოწყობა, რათა სტუმარი და მასპინძელი კმაყოფილი ყოფილიყო.

ყოველი ჩემი გამორჩეული სტუმარი (სხვადასხვა დარგის) მომყავდა იმ ფიქრით, რომ ეს ღირსეული ხალხის მიერ დამსახურებული მოღვაწენი, თავიანთი სიტყვით,

მოყოლით იმოქმედებდნენ ბავშვების თვითშეგნებაზე, რამეთუ მათი ყოველი ბრძნული სიტყვა მათთვის აღმზრდელობითი მნიშვნელობისა იყო.

აი, ეს არის ჩემი ოჯახი, ამათვის ვცოცხლობ მე

ამ დიდებული ხალხის სიტყვაში იკვეთებოდა, რომ თუ გინდა კაცური კაცი გამოხვიდე, გიყვარდეს შენი სამშობლო, დედ-მამა, ამხანაგ-მეგობარი, გქონდეს პატივისცემა უფროსისა და არ დაჩაგრო სუსტი, ჯერ შენ იყავი სამართლიანი, უბოროტო, კეთილი, რაც მთავარია ბეჯითი, მიზანდასახული და სახელი, დიდება და ხალხის სიყვარული თავისთავად მოვა, ე. ი. შენ გახდები ქვეყნის ღირსეული შვილი, შენი ქვეყნის მოამაგე და «პატრონი», ამაზე მეტი ბედნიერება რა უნდა უნდოდეს კაცს? ეს ყველაფერი თქვენს ხელთაა ყმაწვილებო, ჯერი თქვენზეაო.

ბევრზე ბევრმა ეს შეგონება სწორად გაიგო და ჩვენი ქვეყნის სამსახურში ჩადგა: ექიმად, ინჟინრად, ვექილად, ხელოვნების მუშაკად თუ ქარხნის მუშად, მაგრამ კაცურად, შეგნებულად გააგრძელა თავისი ცხოვრება: დაოჯახდა, დაკაცდა, დაქალდა და ახლა თვითონ ზრდიან თავიანთ შვილებს, ჩვენი ქვეყნის მომავალს და აბა ამას რა სჯობს, იმრავლონ, იხარონ, იხარონ.

ამ წიგნის მეორე ნაწილი ეხება ადამიანებს, რომელნიც ჩემთვის ძალიან ძვირფასნი არიან და ამ ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ჩემთან ერთად იზიარებენ ჩემს სიხარულს თუ ტკივილს. ალალად, გულით, სიმართლით. (თვალთმაქცები ჩემგან შორს, მათთან საერთო არაფერი მაქვს).

მაგრამ ცხოვრება თავისას მოითხოვს, ჩემი ამხანაგ-მეგობრების თუ ნათესავ-ახლობლების წრე «შაგრენის» ტყავივით მცირდება და ვცადე მათი აღარ ყოფნა ამ მოგონებებით შემევსო და ვინც დარჩა, მოვფერებოდი. თუ როგორ გამომივიდა ეს ყველაფერი, ჩემო მკითხველო, თქვენს სამსჯავროზე გამომაქვს, ძალიანაც მკაცრი ნუ იქნებით. მე გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ და ვფიქრობ: თქვენი და ჩემი კარგად ყოფნით ბევრი კარგი სიკეთე გველის წინ და მოდი, ნუ იცოცხლებ, როდესაც ასეთი გვრიტებივით შთამომავლობა გყავს მოსაფერებლად და სასიყვარულოდ.

მაშ, ვიდღეგრძელოთ მრავალჟამიერ!...



ნიკოლოზ ქრისტინაშვილი



ელენე ჩადუნაშვილი

სარჩევი

წინათქმა;
სტუმრად უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმში;
საოცარი წყვილი;
«ფუფალა»;
განუმეორებელი გიგანტური დუეტი;
სამი საოცრების მომსწრე;
დიდი მსახიობის შეგონება;
«ჭეშმარიტი ხელოვნება»;
კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს!;
სიკეთე არ იკარგება;
«ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა»;
შევყურებ ახალგაზრდობას და ვამბობ: «კიდევაც დაიზრდებიან...»;
აი, რა თქვა ბატონმა ტაბლიაშვილმა ბატონ დოდო აბაშიძეზე;
რა უთხრა კ. გამსახურდიამ ვ. ტაბლიაშვილს ბელადის შესახებ;
ჩემი სოსო!;
«სიტყვის ძალა»;
«21 საუკუნის საოცრება»;
პოეზიის დედოფალი!;
«ქარი ქრის, ქარი ქრის…»;
«მამყოფე შენთან»;
შეხვედრა ლევან გოთუასთან;
«იმწიმნი» მოგონება სოსო გრიშაშვილზე;
მიხეილ გელოვანი;
«გამორჩეული სიყვარული»;
დიდებული ბანოვანი ქალბატონი მარიკა;
ირაკლი ყიფიანი;
სისხლი სისხლის წილ;
«ის ურჩევნია მამულსა...»;
«უსიტყვოდ გამგები»;
«იუბილეზე»;
მოგონებანი კონსტანტინე გამსახურდიაზე;
კიდევაც დაიზრდებიან;
ბედნიერი შეხვედრა;
დავით ყიფიანი;
არჩილ გელოვანი;
მოგონებები ძირძველ გორელებზე;
მოგონებები გორზე;
«უცნაური გაცნობა»;
«პატარა სასწაული»;
შემოდგომის მზე;
დიდი აღიარება!;
«ფიანდაზები»;
«თვით უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ»;

«ნამდვილი საჩუქარი»;
სამადლობელი;
ბლიც ანკეტა;
რეზიუმე.